სპორტი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 19 ოქტომბერი 2000 №202 (1224) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 მსაჯებმა გადაატარბეს

რამაც „მერანი“ აღაშფოთა, „სიონი“ აღაფრთოვანა

9 ტკბილ მოგონებებს გაუმარჯოს

ავადმყოფი პუშკაში
დი სტეფანომ მოინახულა

11 Sydney 2000 ჩვენი მედალოსნები

ვლადიმერ ჭანტურია



რა არის საჭირო
საიმისოდ, რომ
სტიუარდესა მუხლებზე
გაჯდებოდეს?

15 „ის“ სხვა ყოფილა...

ალექსანდერ ლაიპოლდს
მედალს ართმევენ, რაც
ელდარ კურტანიძეს არას
არგებს

არავინ წინ, არავინ შკვან

REUTERS მიღებიდან

მილანი — ბარსელონა, მალდინი — რივალდო, დიდი სახელები და დიდი შეჯახება

CHAMPIONS LEAGUE

წუხელ თამაშობდა 16 გუნდი, რომელთაგან შემდეგ ეტაპზე გასვლა ვერავინ გაინაღდა, თუმცა არც ეს შანსი დაუკარგავს ვინმეს.

წუხელ რივალდომ დაამტკიცა, რომ „არ მომკვდარა“, მხოლოდ „ეძინა“ და „მილანს“ საიდანაც დაურტყა, იქიდან გაუტანა, თუმცა ალბერტინის ანალოგიური პასუხების გამო ქულის მეტი ვერ იშოვა.

წუხელ კახა კალაძემ პირველი ტაიმის პირველივე წუთზე გაიტანა, თუმცა იმავე ტაიმის ბოლოს მისი „დინამო“ უკვე 1:4-ს აგებდა.

წუხელ „ლიდსის“ მორიგმა სტუმრობამ სტამბოლში საბედნიეროდ უმსხვერპლოდ, თუმცა უგოლოდაც ჩაიარა...

იხილეთ მეორე გვერდი

E ჯგუფი	
დეპორტივო	1
იუვენტუსი	1
პანათინაიკოსი	0
ჰამბურგი	0

F ჯგუფი	
ბაიერნი	2
პარი სენ ჟერმენი	0
ჰელსინგბორგი	2
რუსენბორგი	0

G ჯგუფი	
მანჩესტერი	3
პსვ ეინდჰოვენი	1
ანდერლეხტი	4
დინამო	2

H ჯგუფი	
ბეშიქთაში	0
ლიდსი	0
მილანი	3
ბარსელონა	3

რატიანი ციხეში დარჩება

ხვალ მერაბ რატიანის სამთვიანი პატიმრობის ბოლო დღეა, თუმცა თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი გარეთ მაინც ვერ გამოვა და ციხეში სასამართლო პროცესამდე იჯდება. რატიანის ადვოკატის თქმით, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშოა...

იხილეთ მესამე გვერდი

გუშინ ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტური

E ჯგუფი

დეპორტივო 1:1 იუვენტუსი

0:1 ინძაგი (10), 1:1 ვიქტორ სანჩესი (12)

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, დონატო, რომერო, ეფერსონი, სეზარ სამპაიო, ვიქტორ სანჩესი (სკალონი 87), ჯალმინია, პანდიანი (დიეგო ტრისტანი 76), ტურუ ფლორესი (ფერნანდო 67)

მწვრთნელი: სავიერ ირურეტა

იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, ტუდორი, იულიანო, კონტე, დავიდსი, ტაკინარდი (ბირინდელი 88), პესოტო, კოვაჩევიჩი (ბაკინი 61), ფ. ინძაგი (ტრეზეგე 71), დელ პიერო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

მსაჯი: ფილ ვეს�i (საფრანგეთი)

25 000 მაყურებელი

პანათინაიკოსი 0:0 ჰამბურგი

პანათინაიკოსი: კალიასი, პეტრიკესენი, გუმესი, ვოკოლოსი, ოლივარესი (პეფლიპსენი 61), ფისასი, გალეტი (ვარფისა 71), კარაგუნისი, ბასინასი, ვლაოვიჩი, ლიბეროპულოსი

მწვრთნელი: ანგელოს ანასტადიადისი

ჰამბურგი: ბუტი, პანადიჩი, ბერნი, ჰოიმბერგ, გროთი (ბრეგერი 61), ჰაინეი, ნ. კოვაჩი, ტოფტინგი, ბარბარესი, იეზეკ (ბესტერი 77), ჰოლერბახი (კუტელაერი 71)

მწვრთნელი: ფრანც ბეგენბაუერი

მსაჯი: ლესლი ირვინი (ჩრდ. ირლანდია)

32 000 მაყურებელი

იუვენტუსი	4	1	3	0	7:6	6
დეპორტივო	4	1	3	0	4:3	6
პანათინაიკოსი	4	1	2	1	3:3	5
ჰამბურგი	4	0	2	2	5:7	2

F ჯგუფი

ბაიერნი 2:0 პარი სენ ჟერმენი

1:0 სალიჰამიჯიჩი (4), 2:0 პაულო სერგიო (89)

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ბ. ანდერსონი, ლინკე (იერემისი 29), ტარნატი, სალიჰამიჯიჩი, ფინი, სფორეა, სანტა კრუზი (პაულო სერგიო 76), იანკერი (ელბერი 58), შოლი

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, ალეგორინო, დეფერანდერატანა, დისტინი, ლუკესენი, დალმა, მენდი (ოკოჩა 71), კრისტიანი, ანელკა, რობერი

მწვრთნელი: ფილიპ ბერეტერო

მსაჯი: ფიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

33 000 მაყურებელი

ჰელსინგბორგი 2:0 რუსენბორგი

1:0 ი. იანსონი (32), 2:0 ალვარო (77)

ჰელსინგბორგი: ს. ანდერსონი, ო. ნილსონი, რ. ნილსონი, მატოვიჩი, პერსონი, ბ. იოჰანსენი, უ. იანსონი (ვალშტედტი 74), ი. იანსონი, პრინკა (კ. ანდერსონი 84), ს. იოჰანსენი, ეკლუნდი (ალვარო 55)

მწვრთნელი: ნინე ბერგსტადი

რუსენბორგი: არასონი, ჰოფტუნი, ბასმა, ბ. იონსენი, სტენსასი, ო. ბერგი, სკამელსრუდი, ვინსანქი (სტორვიკი 84), რ. სტრანდი, ფ. იონსენი (ბელსვიკი 55), სორენსენი

მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი

გაძევება: ჰოფტუნი (77)

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

12 587 მაყურებელი

ბაიერნი	4	3	0	1	8:3	9
რუსენბორგი	4	2	0	2	10:7	6
პსჟ	4	2	0	2	6:6	6
ჰელსინგბორგი	4	1	0	3	5:13	3

G ჯგუფი

მანჩესტერი 3:1 პსვ ეინდჰოვენი

1:0 შერინგემი (8), 1:1 ვან ბომელი (75), 2:1 სქოულზი (82), 3:1 იორკი (87)

მანჩესტერი: ბარტეზი, ჯ. ნევილი, ირვინი (ბრაუნი 81), სილვესტრი, რ. იონსენი, ბეკჰემი (ბეთი 88), კინი, სქოულზი, გიგზი, იორკი, შერინგემი (იორკი 74)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ჰაინეკე, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი, ვან დერ ვეერდენი, ვან ბომელი, ვოგელი, ვან დერ დულენი (დე იონგი 73), რამოსი (კოლეა 65), კეზმანი, ბრუგინკი (ლუსიუსი 28)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

მსაჯი: ხუან ფერნანდეს მარინი (ესპანეთი)

66 313 მაყურებელი

ანდერლეხტი 4:2 დინამო

0:1 ძალაძე (1), 1:1 ვაშეუკი (10ს.კ.), 2:1, 3:1 რაძინსკი (37, 41), 4:1 სტოიკა (45), 4:2 ბელკევიჩი (88)

ანდერლეხტი: დე ვილდე, დე ბოეკი, სტალენსი, კრასონი, დეედენი, გოორი, ვანდერეგენ, ბასეჯიო, სტოიკა (დინდანე 87), კოლერი, რაძინსკი

მწვრთნელი: ემე ანტუნესი

დინამო: შოტკოვსკი, ხაცკევიჩი, გოლოვკო, ვაშეუკი (ტერასიმენკო 57), იაშკინი (კუზმიჩევი 50), ძალაძე, ბელკევიჩი, გუსინი, ნესმაჩნი, ბოდნარი, დიმიტრაძე (სერებრენიკოვი 76)

მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

25 000 მაყურებელი

მანჩესტერი	4	2	1	1	9:5	7
ანდერლეხტი	4	2	0	2	6:11	6
პსვ ეინდჰოვენი	4	2	0	2	6:6	6
დინამო	4	1	1	2	7:6	4

H ჯგუფი

მილანი 3:3 ბარსელონა

0:1 რივალდო (19), 1:1, 2:1 ალბერტინი (25, 39), 2:2 რივალდო (43), 3:2 ხოსე მარი (45), 3:3 რივალდო (68)

მილანი: აბიატი, როკე ფენიორი, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო, ალბერტინი, ამბროზინი, კოკო, შევჩენკო, ბირპოფი, ხოსე მარი (ბობანი 69)

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

ბარსელონა: დუტრუელი, პუიოლი, აბელარდო, პეტი (რაიციგერი 25), სერხი, კოკუ (ფ. დე ბური 46), ხავი, ლუის ენრიკე, სიმაო, რივალდო, ალფონსო (დანი 62)

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

მსაჯი: პიუ დალასი (შოტლანდია)

80 000 მაყურებელი

ბეშიქთაში 0:0 ლიდსი

ბეშიქთაში: შორუმუ, კარპანი, ტაიფური, ბესერლერი (ბურატი 63), ალმეთი (აქმანი 81), ნიპათი, მეპმეთი (იბრაჰიმი 46), მიუნხი, ბოზკურტი, ხლესტოვი, სულუნი

მწვრთნელი: ნეფიო სკალა

ლიდსი: რობინსონი, კელი, ჰარტი, ჯუდგეტი, ბრიჯესი (ბაკერი 27; ბაკ�i 86), ვიდუკა, ბოიერი, მილსი, ბაკე, მატეო, ბარნსი

მწვრთნელი: დეივიდ ოლირი

მსაჯი: იან ვეგერეეი (ჰოლანდია)

20 000 მაყურებელი

ლიდსი	4	2	1	1	7:4	7
მილანი	4	2	1	1	9:5	7
ბეშიქთაში	4	1	1	2	4:10	4
ბარსელონა	4	1	1	2	7:8	4



REUTERS სტამბოლიდან

სტამბოლში მყოფ 140 ლიდსელ ფანს ნახევარი თურქეთი იცავდა

REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — პსვ 3:1. ფერგიუსონის გუნდს გამარჯვება პოლ სქოულზის ამ დარტყმამ მოუტანა

REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — პსჟ 2:0. ბრძოლა იყო, მიუნხენელი ჭოვანი ელბერი ფრანგ სილვენ დისტინს არ აიყვანდა (ზემო ფოტოზე). ქვემოთ: მარცხნივ სტუმარი ერიკ რაბესანდრატანაა, მარჯვნივ კი, თუ გვენდობით, ტორსტენ ფინკი

REUTERS ბარსელონიდან

კიეველთა განადგურება „ანდერლეხტის“ რუმინელმა ალინ სტოიკამ დასრულა

აზიის თასი

A ჯგუფი III ტური

ირანი 1:0 ერაყი

1:0 დაეი (77)

ლიბანი 1:1 ტაილანდი

0:1 პატურატანა (57), 1:1 ფერნანდესი (82)

ირანი	3	2	1	0	6:1	7
ერაყი	3	1	1	1	4:3	4
ტაილანდი	3	0	2	1	2:4	2
ლიბანი	3	0	2	1	2:7	2

ესპანეთი

გადადებული მატჩი

ესპანიოლი 1:2 სოსიედადი

0:1 არიეტი (143), 1:1 მანელი (35), 1:2 იდიაკესი (39)

გუნდებმა მხოლოდ შეწყვეტილი მატჩის დარჩენილი მეორე ტაიმი ითამაშეს

ინგლისი

I დივიზიონი

XIII ტური

ფულემი 3:1 კრისტალ პალასი

უიმბლდონი 0:2 გლეიზერნი

III დივიზიონი

XIII ტური

ბრაიტონი 4:2 ჰარტლპული

ჩეხეთი

გულეიოვიცე 2:2 ტეპლიცე

ნორვეგია

სტარტი 3:4 ლილესტრიომი

ჰოლანდია

თასის მეთექვსმეტედფინალი

დენ ბოსხი 3:2 როზენდალი



ბურაბ ფულიანაშვილის ფოტო

ხელჩაქნეული ზურაბ როსტიაშვილი (მარჯვნივ) და გაკვირვებული მერაბ რატიანი

რატიანი ზის და ავადმყოფობს

უკანონო ქვეყანაში შავსაც ათეთრებენ, თვლის რატიანის ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი

ხვალ სამი თვე შესრულდება მას შემდეგ, რაც სამართალდამცავებმა „დინამოს“ პრეზიდენტ მერაბ რატიანს პატიმრობა მიუსაჯეს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ რატიანს მძიმე ბრალდება წაუყენეს და სხვისი ქონების მითვისებაში დაადანაშაულეს.

სამი თვის წინ სკანდალი მოულოდნელად გაგრძელდა. მაშინ, როდესაც ბევრი აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას ელოდა, საოლქო სასამართლომ არ დაკმაყოფილა რატიანის ადვოკატის, ზურაბ როსტიაშვილის სარჩელი და „დინამოს“ პრეზიდენტს სამთვიანი პატიმრობა ძალაში დაუტოვა.

ხვალ რატიანის სასჯელს ვადა გასდის, მაგრამ მას კვლავ ციხეში მოუწევს ყოფნა. რატიანის ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი ერთობ შეფიქრიანებული ესაუბრა „სარბიელს“.

— რა გითხრათ, ჩვენ ხომ უკანონო ქვეყანაში ვცხოვრობთ. კოდექსში შავით თეთრზე წერია, რომ აღმკვეთი ღონისძიების განხილვისას ოპერატიულ მონაცემებზე დაყრდნობა დაუშვებელია, საოლქო სასამართლომ კი ამაზე თვალი დახუჭა... მერაბს ჯანმრთელობა გაუუარესდა და მძიმე დღეშია.

— კონკრეტულად რა აწუხებს რატიანს?

— დაავადებული აქვს ფილტვები, ბრონქებს უჩივის, გარდა ამისა, მან დაპატიმრებამდე ორჯერ გადაიტანა ბოტკინი და შესაბამისად, ღვიძლიც აწუხებს... ვიმეორებ, მისი მდგომარეობა საგანგაშოა.

— ბოლოს როდის ნახეთ რატიანი?

— ორი დღის წინ...

— არ გიცდიათ მისი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანა?

— რას ამბობთ? ეს არც ისე ადვილი მოსახერხებელია.

— ხვალ სამთვიანი პატიმრობის ვადა იწურება. რა იქნება შემდეგ?

— რატიანი სასამართლო პროცესამდე ციხეში იჯდება. წინასწარი გამოძიება დასრულდა და მალე საქმეს დიდუბის რაიონული სასამართლო განიხილავს, ოღონდ ვერ გეტყვით, თუ როდის შედგება სხდომა.

— რა შედეგს ელოდებით?

— ხომ გითხარით, ჩვენ უკანონო ქვეყანაში ვცხოვრობთ...

მოკლედ, „დინამოს“ პრეზიდენტის სანუგეშოდ ჯერ არაფერი შეცვლილა, რატიანი კვლავაც ციხეშია. ისე, ოპტიმიზმი დიდად მის ადვოკატს არც ეტყობა და ამთავითვე შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება. თუმც ჯობს, დიდუბის რაიონულ სასამართლოს დაველოდოთ.

ბაბა კვანტალიანი

ეშველება დინამოს?

საქართველოს ათგზის ჩემპიონის, ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე ტიტულიანი გუნდის, თბილისის „დინამოს“ გასაჭირი ბევრისთვის ცნობილია. ერთ დროს წელგამართული და ფინანსურად მძლავრი კლუბი ახლა სხვათა სამადლო და საპატრონო გამხდარა.

„დინამოს“ პრეზიდენტი, მერაბ რატიანი ჯერაც ციხეშია, მის არყოფნაში პრეზიდენტობის არაერთი მსურველი გამოჩნდა. ხან ამერიკელი ბიზნესმენთა ჯგუფიო, ხანაც ინგლისური კომპანია „პრიზმა“ იქნება „დინამოს“ მფარველიო...

დრო კი გადის, ვალები გაღაუხდელია, კლუბი იურიდიულად ისევ არ არსებობს, მეთორმეტე ჩემპიონატშიც უფერულად გამოდის „დინამო“ და ასე შემდეგ.

20 ოქტომბერს, არ არის გამორიცხული, ათგზის ჩემპიონთა გასაჭირს ბოლო მოეღოს და ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს მეპატრონის ვინაობა. იმ დღეს ყველა ის პირი და ორგანიზაცია შეიკრიბება, ვინც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება „დინამოს“ და კრება, ყრილობა თუ თათბირი (რაც გნებავთ, ის დაარქვით) ჩატარდება. ამბობენ, „დინამოს“ ბედიც მაშინ გადაწყდებაო.

20 ოქტომბერს, „დინამოს“ ამჟამინდელი პრეზიდენტის, მერაბ რატიანის წინასწარი პატიმრობის ვადაც იწურება, მაგრამ, საეჭვოა, თავყრილობაზე ისიც ვიხილოთ. თუმცა, პარასკევს „დინამოს“, მისით თუ უმისოდ, უნდა ეშველოს.

გამუცა კვანტალიანი

ბაბო ჯეფლაძის ფოტო

სხედან და ელიან დინამოელები ძველსა თუ ახალ პატრონს

«ჯეოსელი»: გორდას ქსელი

„გორდაში“ გამოცოცხლებაა. კლუბის ახალმა პრეზიდენტმა თემურ ბუიღლიშვილმა რომ გუნდი საგრძნობლად მოაფერინა, ამის შესახებ მკითხველმაც იცის. ბუიღლიშვილის გუნდში მისვლას მრავალი სიკეთე მოჰყვა. ფეხბურთელებს სათამაშო ფორმის ახალი კომპლექტები დაურიგდათ, გაუუმჯობესდათ პირობები, რაც მთავარია, დასრულდა მათი თვეობით ლოდინი: „გორდაში“ ხელფასები დარიგდა და გუნდმაც ასე თუ ისე აუწყო ფეხი ჩემპიონატის მსვლელობას.

რუსთავულ კლუბში სიახლე ის არის, რომ თემურ ბუიღლიშვილს გუნდით „ჯეოსელის“ თურქული მხარე დაუინტერესებია. წინასწარი ინფორმაციით, თურქები კლუბში სოლიდური ინვესტიციის ჩადებას აპირებენ. საუბარია აგრეთვე მათი მხრიდან სტადიონის რეკონსტრუქციასა და საფეხბურთო დარბაზის აგებაზე. ამასთან დაკავშირებით „გორდას“ ხელმძღვანელობა ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებს „ჯეოსელთან“. ეს პროცესი სავარაუდოდ 3-4 დღეში დასრულდება და რა გამოვა აქედან, მალე შევიტყობთ.

ბაბა კვანტალიანი



ნუგზარ ბარდანიძის ფოტო

„გორდას“ პრეზიდენტი: თემურ ბუიღლიშვილი

მეკარეებს ტრავმები მიეძალათ

ფეხბურთისთვის ტრავმა ჩვეული ამბავია. მაგრამ ტრავმაც არის და ტრავმაც. არიან მოთამაშეები, რომლებიც ექიმის დახმარებას იშვიათად საჭიროებენ, ზოგი კი მთელი კარიერის განმავლობაში მკურნალობს.

გორის „დილასა“ და ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა მეკარემ, რამაზ სოღოლაშვილმა დაიჩივლოს, ბედი არა მქონიაო. მართალია, მას ზუგდიდურ „ოდიშსა“ და თბილისის „დინამოშიც“ მოუსწრია თამაში, მაგრამ სეზონი ისე არ ჩაუმთავრებია, ტრავმას არ შეეწუხებინოს.

ჯერ იყო და ბრმანაწლავი ასტკივდა და ქრონიკული წყლულში გადაზრდილმა ორგანომ (საჭიროა თუ საარგებლომ, საკითხავია), გვარიანად აწვალა. მერე არეცოში, იტალიელ თანატოლებთან მატჩის წინ მარჯვენა ხელის თითი დაიზიანა, რომლის მოშუშებასაც წელიწადი დასჭირდა.

შემდეგ იყო ფეხი და გარკვეული დრო ამანაც წაიღო. მერე მხარი და რამაზსაც საფეხბურთო მატჩებისას ხშირად ტრიბუნებზე მჯდომს ვხედავდით.

სოღოლაშვილმა მეთორმეტე ეროვნულშიც ცოტა ითამაშა. 14 ოქტომბერსაც შორიდან უცქერდა თანაგუნდელთა გარჯას. მიზეზი ამჯერად მაჯა გახლავთ, რომელიც რამაზმა ბოლნისში „სიონთან“ თამაშში იტკინა. არადა, მაშინ იგი სტუმართა შორის საუკეთესოდ აღიარეს. როგორც გორელმა მეკარემ გვითხრა, წყლულის მორჩენას სულ ცოტა ერთი კვირა კიდევ დასჭირდება.

კიდევ ერთი მეკარე, რომელიც იძულებით დაისვენებს, დინამოელი სოსო გრიშიკაშვილია. სოსომ ვარჯიშზე თითი იღრძო და ერთი კვირა კარში ვერ ჩადგება. მან „დილასთან“ გასვლითი მატჩი უკვე გამოტოვა.

გორის „დილასა“და „დინამოს“ ტრავმირებული მეკარეების შემცვლელები ორ-ორიც მოეძებნებათ, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ რა ეშველება, საკითხავია.

ბაბო ჯეფლაძის ფოტო

რამაზ სოღოლაშვილი

სერგო ჭურაძემ მენისკის ოპერაციის შემდეგ ახლაღა დაიწყო ძუნძული. მირზა მერლანი ლოკომოტიველ რუსიასთან ორთაბრძოლაში დაშავდა და მუხლის დასაამებლად სულ მცირე, ერთი კვირა დასჭირდება. ზვიად სტურუამ ტრავმისგან განკურნება ცოტა ხნის წინ კი შეძლო, „ლოკომოტივთან“ და ს.ა. „იბერიასთანაც“ დამაჯერებლად ითამაშა, მაგრამ ტრავმა თავს როდის შეახსენებს, არავინ იცის. ასე რომ, ვიტელთა დამრიგებელ ვლადიმერ ხაჩიძეს საფიქრალი არ აკლია.

ტრავმას შ[illegible] ის“ ს[illegible] ნაძეც, რომელსაც ამ მიზეზით უკრაინულ ალჩევსკის „სტალში“ გადასვლაც ვერ მოახერხა.

გამუცა კვანტალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივეჩიანი ნაღდად გასუმელდება

ექსიბერიელმა თავდამსხმელმა ბიძინა ივეჩიანმა, მოგეხსენებათ, მეთორმეტე ეროვნულ ჩემპიონატში ახალ გუნდში — „გორდაში“ დაიწყო თამაში და რუსთაველთა შემადგენლობაში ოთხი მატჩიც ჩაატარა. ოღონდ ამის შემდეგ ფეხბურთელმა თვითნებურად მიატოვა გუნდი. გასაგები იყო რუსთაველთა აღშფოთება. — ივეჩიანს ამ საქციელს არ ვაპატიებთ, სამაგალითოდ დავსჯითო — დაიქადნენ „გორდას“ მესვეურებმა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ბიძინა ივეჩიანი სამტრედიული „იბერიას“ პრეზიდენტს ნუგზარ ნიკოლაიშვილს გაჰყოლია უკრაინაში, რაღა თქმა უნდა, რომელიმე იქაურ გუნდში მოსაწყობად. პრეზიდენტი და ფეხბურთელი ერთხანს სიმფეროპოლში შეჩერებულან, უმაღლესლიგელ „ტავრიაში“ მოუსინჯავთ ნიადაგი.

„ტავრიაში“, იცით, ორი ქართველი უკვე ბურთაობს — გოჩა ტრაპაიძე და ვასო გიგიაძე. ამათ ორ თვეში კიდევ ორი თანამემამულე — ტერნოპოლის „ნივაში“ მოთამაშე შოთა ჩომახიძე და ვასოს ტყუპისცალი იბერიელი სოსო დაემატებათ. სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ — ამ საქმეს წყალი არ გაეპარება. ჰოდა, ოთხი ქართველი საკმარისი იქნებაო — უთქვამთ „ტავრიას“ ხელმძღვანელებს.

ერთი სიტყვით, სიმფეროპოლელებმა ივეჩიანის აყვანაზე თავი შეიკავეს. მაგრამ გამოჩნდა კლუბი, რომელიც ივეჩიანით დაინტერესდა და გასასინჯადაც მიიწვია. ლაპარაკია უკრაინის მეორელიგელ სუმის „სპარტაკზე“. ამ გუნდმა, რომელსაც ქართველი ვიცე-პრეზიდენტობს, ცოტა ხნის წინ ქვეყნის თასის გათამაშებიდან თვით კიევის „დინამო“ გამოაგდო და ზედ „ტავრიაც“ მიაყოლა.

სუმის „სპარტაკი“ ჩემპიონატშიც კარგად გამოდის, ზედა ლიგაში აღზევებას ლამობს და ამ საქმეში, ალბათ, ალბათ კი არა, ნაღდად, ივეჩიანსაც დაიხმარს. ქართველი ფეხბურთელი აგერ ერთი თვეა გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მისი „სპარტაკში“ დარჩენა გადაწყვეტილიცაა, ეგ არის, ბიძინა სუმის გუნდს ოფიციალურად ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ შეუერთდება. რაღა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „გორდას“ მესვეურთ გული მოულბათ, დანაქადნევი არ შეასრულეს და ფეხბურთელს ტრანსფერში ხელი არ შეუშალეს. უნდა ვივარაუდოთ, ალბათ, ასეც მოხდება.

იუზა კაციტაძე

ვლადიმერ ჩერქეზოვმა (მარცხნივ) არბიტრ კახაბერ მესხისკენ (მარცხნიდან მეორე) გაიწია, მაგრამ...

მურმან დოლიძისა და ბ. ფოტო

მსაჯებმა გადააჭარბეს

რამაც მერანი აღაშფოთა, სიონი აღაფრთოვანა

„მერანელი ოთარ როსტიაშვილი კი მეტოქის საჯარიმოში იდგა, როცა ბურთი მიუვიდა და ერთ-ერთმა ბოლნისელმა უკნიდან ფეხებში ისეთი ამოსცხო (ბურთთან შეუხებლად), რომ ატალახებულ მინდორზე უმალ წაიქცა. ჰოდა, ძალიან საინტერესოა, წიგნად თუ ბროშურად დაბეჭდილი თამაშის წესების რომელი პუნქტის რომელ პარაგრაფში ამოიკითხა არბიტრმა, ასეთ სიტუაციაში ხელები უნდა დაიბანოო. ორივე თვალით რაც ვიხილეთ, ის არაფერია?“

აი, ერთი აბზაცი საქართველოს ჩემპიონატის მე-8 ტურის „მერან“ — „სიონის“ მატჩის რეპორტაჟიდან (17 ოქტომბრის „სარბიელი“).

ამ მატჩს ზუგდიდელი კახაბერ მესხი სჯიდა და მასპინძლებიც აღუშფოთებია, რაკი მათ სასარგებლოდ უდავო პენალტი არ დაუნიშნავს.

„ასეთი დაძაბული მატჩი, რომელიც მსაჯმა კიდევ უფრო გაამძაფრა, მშვიდობიანად კი ჩამთავრდა, მაგრამ მატჩის მერე არბიტრისკენ „მერანის“ მენეჯერმა ვლადიმერ ჩერქეზოვმა ისე გაიწია, რომ არ დაეკავებინათ, კახაბერ მესხს პანღური არ ასცდებოდა“. ამასაც ჩვენი გაზეთის სამშაბათის ნომერში ამოიკითხავდით.

იმავე დღეს, 17 ოქტომბერს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცი თუ „სარბიელს“ არა, ალბათ ერთ წერილს მაინც წაიკითხავდნენ, რომელიც მათ ბოლნისის „სიონის“ ხელმძღვანელებმა გაუგზავნეს და გუშინ ფედერაციაში ჩვენ გადმოგვცეს, ოღონდ „სარბიელში“ დაბეჭდილი მატჩის რეპორტაჟისა და „სიონის“ ბეჭედდასმული წერილის შინაარსი ძალიან კი განსხვავდება ერთმანეთისაგან. სხვაგვარია „მერანის“ პრეზიდენტ დავით ფურცელაძის აზრიც, რომელსაც წუხელ შევეხმიანეთ:

— მე არ ვარ ის კაცი, მატჩის შემდეგ ვინმეზე ცუდი რამ ვთქვა. რაც იყო, იყო. „სიონთან“ თამაშის მსაჯობით კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ. ჩვენ ის საეჭვო ეპიზოდი, როცა „სიონის“ საჯარიმოში როსტიაშვილი წაიქცა, ფირზე რამდენჯერმე ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ პენალტი დასანიშნი იყო. გარდა ამისა, მსაჯს ერთხელაც შეეძლო ჩვენს სასარგებლოდ პენალტის დანიშვნა და ისიც სათქმელია, რომ ბოლნისელებს მატჩის დრო შეგნებულად გაჭყავდათ, მსაჯს კი ამაზე რეაგირება არ მოუხდენია.

დავით ფურცელაძემ ესიც გვითხრა, შეხვედრის დაწყებამდე მსაჯთა ბრიგადასა და ფედერაციის ინსპექტორს ვთხოვე, წესიერად ემსაჯათო.

ამ მატჩის ინსპექტორი ვლადიმერ ელოშვილი გახლდათ. ჩვენთვის უცნობია, როგორ შეაფასა მან მესხის მსაჯობა. ინსპექტორთა ჩანაწერების წაკითხვას ფედერაციაში კატეგორიულად გვიკრძალავენ.

ახლა იმ წერილსაც გაეცანით, რომელიც ფედერაციის ხელმძღვანელობამ ბოლნისელთაგან მიიღო. მას უცვლელად ვბეჭდავთ და დანარჩენი თავად განსაჯეთ. ისე, საინტერესოა, ფედერაციას ასეთი პათოსით აღსავსე სამადლობელი რამდენჯერ მიუღია. ისიც საინტერესოა, მესხს რომ ის პენალტი დაენიშნა, მაშინ რა აზრზე დადგებოდნენ ბოლნისელები. ერთიც, უშეცდომო მსაჯობისთვის მადლობაო, ამბობენ „სიონის“ ხელმძღვანელები. განა, ეს მსაჯთა ვალი არაა?

კოტა ინასარიძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს
ბატონ მ. ჟორდანიას
სფფ-ის სამსაჯო-საინსპექციო კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ა. მილჩენკოს

ბოლნისის საფეხბურთო კლუბ „სიონის“ ხელმძღვანელობა გაცნობებთ, რომ საქართველოს 2000-2001 წლების XII ეროვნული ჩემპიონატის VIII ტურის 14 ოქტომბრის კალენდარულ მატჩზე თბილისის „მერანი-91“-ისა და ბოლნისის „სიონს“ შორის მსაჯობის ასეთმა მაღალმა დონემ გადააჭარბა მაყურებელთა და გუნდის ხელმძღვანელობის ყოველგვარ მოლოდინს.

მსაჯთა ბრიგადამ მთავარი მსაჯის კ. მესხის ხელმძღვანელობით მატჩის პირველივე წუთებიდან ხელში აიღო მთელი თამაშის სადავეები, დროულად და ზუსტად აფიქსირებდნენ ყოველივე შეცდომასა და დარღვევებს, რის გამოც მთელი 90 წუთის განმავლობაში არ შეგვინიშნავს თუნდაც ერთი მცირეოდენი მიკერძოება რომელიმე გუნდის მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თამაში გამოდგა ძალიან კორექტული და ლამაზი სანახავი მაყურებელთათვის.

ასეთი მაღალკვალიფიცირებული მსაჯობა გვისახავს იმედს, რომ ქართული ფეხბურთი დღეს სწორ გზაზეა და მას ნამდვილად ეშველება.

უმორჩილესად გთხოვთ „სიონის“ ხელმძღვანელობისა და გულშემატკივართა სახელით მადლობა გადსცეთ მთელ მსაჯთა ბრიგადას ბატონ კ. მესხის ხელმძღვანელობით ასეთი კარგი და უშეცდომო მსაჯობისათვის.

ბოლნისის ს. კ. „სიონის“ პრეზიდენტი: ზ. ლობჟანიძე

ერთი გორელიც ვიტ ჯორჯიაში

ცალ-ცალკე: რომან ახალკაცი (მარჯვნივ) „კოლხეთში“, მიხეილ თაყაძე „ვიტ ჯორჯიაში“

მურმან დოლიძისა და ბ. ფოტო

ქვეყნის ვიცე-ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ გორის საფეხბურთო სკოლის აღზრდილი ერთი მოთამაშეც შეემატა. აქამდე საბა სულთანიშვილი ამაგრებდა ვიტელთა მარცხენა ფლანგს, ახლა მეგობარს მიხეილ თაყაძეც შეუერთდება.

თაყაძემ „ვიტ ჯორჯიასთან“ სამწლიანი კონტრაქტი მეთორმეტე ეროვნულის დაწყებამდე გააფორმა, მაგრამ აქამდე არ უთამაშია. მიზეზი ის სატრანსფერო ფურცელი იყო, რომელსაც კლუბი და ფეხბურთელი უკვე დიდი ხანია ელიან.

შეგახსენებთ, რომ გორის „დილაში“ მამის, ივანე თაყაძის ხელმძღვანელობით ერთწლიანი ბურთაობის შემდეგ მიხეილმა მოლდოვას მიაშურა და იქაურ „შერიფში“ მოეწყო. ჩვენებური კი ვარჯიშობდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ერთადერთხელ ათამაშეს და საქართველოში დაბრუნდა.

ცოტა ხნით ადრე ასევე მოიქცა თაყაძის ტყუპისცალი რომან ახალკაცი (ის დედის გვარზეა), რომელიც ბულგარული „შუმენიდან“ დაბრუნების მერე მეორე სეზონია, „კოლხეთში“ თამაშობს.

ცხადია, „შერიფი“ თავის ფეხბურთელს უსასყიდლოდ არსად გაუშვებდა. საქმეც გაჯანჯლდა. დიდხანს იკამათეს მოლდოვურმა და ქართულმა კლუბებმა და საბოლოოდ, როგორც იქნა, შეთანხმდნენ. სატრანსფერო ფურცელიც ჩამოვიდა. თაყაძე წინა ტურის მატჩში „ლოკომოტივთან“ განაცხადშიც იყო შეყვანილი და რომ არა ვეტერინართა მეკარის, მირზა მერლანის გაუთვალისწინებელი ტრავმა, ალბათ ითამაშებდა კიდეც. ვერ გეტყვით, როდის გამოვა სათამაშოდ თაყაძე, მაგრამ ფაქტი ერთია — ვიტელთა ხელმძღვანელობას მისი ეიმედება.

დათო დანელია

მილანი სხვებს დაეწევა

ევროპის რეგიონთა თასის შესარჩევ ეტაპზე წლეულს საქართველოს სამოყვარულო გუნდი „კახეთი“ წარმოადგენდა, რომელიც ქართული „მილანის“ ბაზაზე იყო დაკომპლექტებული. „კახეთმა“ ბოსნიაში გამართული შესარჩევი ეტაპი ვერ დასძლია და უკან დაბრუნებული ფეხბურთელებიც თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ. „მილანი“, რომლის ბაზაზეც მოყვარულთა ნაკრები იყო ჩამოყალიბებული, ჩემპიონატში ისვენებდა, ამიტომ ახლა იძულებულია, სხვებს დაეწიოს და მატჩებიც ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით ჩაატაროს. ერთერთი ასეთი შეხვედრა 23 ოქტომბერსაა დაგეგმილი ხაშურის „ივერიასთან“. მერე კიდევ ერთი გადადებული თამაშია ლანჩხუთის „გურიასთან“, ოღონდ მისი გამართვის თარიღს ფეხბურთის ფედერაცია მოგვიანებით გამოაცხადებს.

დათო დანელია

„მერანის“ ფეხბურთელებმა კლუბის მენეჯერს მსაჯთა შეურაცხყოფა არ დაანებეს

მურმან დოლიძისა და ბ. ფოტო

საქართველოს თასი

მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები. 17 ოქტომბერი

უმაღლესი 12 გათრთმეტდა

ეროვნული თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩებმა ის თექვსმეტი გუნდი გამოარკვია, რომლებიც 22 ოქტომბერს კენჭისყრის პრინციპით დაწყვილდებიან და თასის მეოთხედფინალის საგზურებისთვის განაგრძობენ ბრძოლას.

თასის ამ ეტაპის მატჩები ერთობ ლოგიკურად დამთავრდა. მერვედფინალის საგზური უმაღლესი ლიგის თერთმეტმა გუნდმა მოიპოვა, ხუთმა პირველლიგელმაც ისახელა თავი. თუმც საეჭვოა, „მეტალურგს“, „გურიას“, „ზუგდიდს“, „თბილისს“ და „სამგურალს“ რაიმე განსაკუთრებული მიზნები ამოძრავებდეთ წლევანდელ გათამაშებაში. უმაღლესი ლიგის თორმეტეულმა სამერვედფინალოდ მხოლოდ „იბერია“ მოისაკლისა, თუმც სამტრედიელთა ორმატჩიან მარცხში მოულოდნელი არაფერია. რეალურად დღესდღეობით „სამგურალი“ „იბერიაზე“ ძლიერია.

ამ გუნდების პირველ მატჩში სტუმრებმა იმარჯვეს. „სამგურალს“ საპასუხო შეხვედრაში დიდად არც გასჭირვებია სასურველი ანგარიშის შენარჩუნება, წყალტუბოურმა 0:0-მა მასპინძლები მერვედფინალში გაიყვანა.

„ხობმა“ „ზუგდიდს“ 3:2 კი მოუგო, მაგრამ სტუმრად 0:3 წაეგო და საბოლოოდ დამარცხებული დარჩა. ხობში სტუმრებმა გახსნეს ანგარიში და პირველი ტაიმიც გამარჯვებულებმა დატოვეს. მეორე ტაიმში მასპინძლები კალისტარტე ხურცილავას მონდომების შედეგად გააქტიურდნენ. ჯერ ჭეეიამ გათანაბრა, შემდეგ ხურცილავამ დაწინაურა თავისიანები, მერე კი მანვე ერთიც რომ გაიტანა, ხობელებს საბოლოო წარმატების იმედი მიეცათ, მაგრამ საპასუხო შეტევა ზუგდიდელმა საჯაიამ გოლად აქცია. 86-ე წუთზე მასპინძელთა რიგებში შეცვლაზე შესული მეკარე შოთა გოგიას აცილებული პენალტი ბევრს არაფერს წყვეტდა.

უმაღლესი ლიგის საგზურზე დაგეშილმა „ცხინვალმა“ სათადარიგოები იახლა თბილისს და დიდი ანგარიშითაც დამარცხდა. „ცხინვალის“ ჩანაფიქრი გასაგებია, ზედმეტ მატჩებს ერიდება, ცდილობს, მთელი ყურადღება პირველი ლიგის შეხვედრებზე გადაიტანოს.

„მეტალურგმა“ მეორე მატჩიც მოუგო „გურია 2“-ს და ახლა ალბათ მხოლოდ იღბლიანი კენჭისყრის იმედადღა თუ იქნება.

მერვედფინალში გასულ პირველლიგელებზე საუბარი „გურიათი“ დავასრულოთ. ლანჩხუთელებმა მძიმე ბრძოლა გადაიტანეს თანალიგელ „შუქურასთან“. პირველ ტაიმშივე დაწინაურებული ზღვისპირელები გარკვეულ უპირატესობას ფლობდნენ ლანჩხუთურ მატჩში. კიდევ ერთი გოლი მათ საბოლოო წარმატების კარგ შანსს მისცემდა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება, სტუმრებს მოწინააღმდეგის კონტრშეტევა გაეპარათ და შედეგად ფაცურიამ თერთმეტმეტრიანით წონასწორობა აღადგინა.

„ლოკომოტივი“ — „თორის“ მატჩს ლევან სილაგაძის თამამი პროგნოზი უძღოდა. „ერთი რამ ვიცი, დღეს მე და აბრამიძე გავიტანთ“ — გვითხრა მოედანზე გასვლის წინ ლევანმა. როგორ ახდა რკინიგზელთა მცველის სიტყვები, ამ მატჩის ოქმიდანაც კარგად ჩანს. „ლოკომოტივმა“ კი კოშმარი დაატეხა თავს ბორჯომელებს და გვარიანად შეარცხვინა მეტოქე.

„მილანი“ ექსნემპაონ „დინამოსთან“ 0:5-ის გამქვითავი რომ არ იყო, ყველამ კარგად იცოდა, თუმც ქიზიყელებმა რანგით მაღალ მეტოქესთან ერთობ მონდომებით ითამაშეს და საპატიო ფრეს გამოჰკრეს ხელი.

სირცხვილს გადაურჩა გორის „დილა“ რეგიონულლიგელ „ჭაბუკიანთან“. 70-ე წუთზე კახელები 2:0 უგებდნენ ქართლელებს და მინიმუმ ორი ბურთი სჭირდებოდათ, რომ სასურველი ანგარიშისთვის მიეღწიათ, მაგრამ, ზაკუტაშვილმა მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებშიღა გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრას ამას წინათ სფფ-სგან დაქვეითებული გამოცდილი მსაჯი, თამაზ ლაცაბიძე სჯიდა.

ერთნაირი ანგარიშით (1:0) იმარჯვეს „ბათუმმა“ და „კოლხეთმა“. ორივე მათგანს ჯერ კიდევ პირველ მატჩებში ჰქონდა საქმე მოთავებული და ამიტომაც დიდად აღარ გამოუდვია თავი. ბათუმელებს ერთობ გაუთვალისწინებელი რამ შეემთხვათ კულაშში, მატჩისას სტუმართა გასახდელი გატეხეს და ოთხი ბათუმელი ფეხბურთელის სამოსი და პირადი ნივთები წაიღეს.

პირველ მატჩში რეგიონალლიგელთან საშინლად შერცხვენილმა თსუ-მ სრულფასოვანი რევანში აიღო. „დინამო 2“-მა მხოლოდ ორმოც წუთს გაძლო, მერე კი სტუდენტებმა ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანეს მეტოქეს. აქედან ორი ბოლო დროს კარგად ათამაშებულმა თავდამსხმელმა არჩილ ბოკერიამ გაიტანა.

„ვიტ ჯორჯიამ“ ძალების დაზოგვით ისევ მოუგო ს.ა. „იბერიას“. ხაჩიძის შეგირდებმა დავით თოდაძის საპასუხო გოლი ვერ აიტანეს და მატჩის დარჩენილ დროში ვლადიმერ გოჩაშვილმა და შეცვლაზე შესულმა გიორგი ქორიძემ მანამდე გატანილ ორს ორიც მიამატეს. ორი მატჩის ჯამში კი ვიტელელებმა 8:1-ით მოინელეს კლასით დაბალი მეტოქე, რომელსაც მათი ყოფილი თავკაცი ჯემალ მახარაშვილი წვრთნიდა.

გაუთვალისწინებელი გაფრთხილება მიიღო „ლაზიკასთან“ მატჩში ჩემპიონმა კახა კვეტენაძემ. არადა, საკვირველია, რა ჰქონდა მსაჯთან გასარჩევი, მისმა „ტორპედომ“ ხომ საპასუხო შეხვედრაშიც ცალი ფეხით იმარჯვა.

„ლოკომოტივ 3“-ს ისევ სამი გოლი გაუტანა რუსთავის „გორდამ“, თუმც სათადარიგოებით მოთამაშე იასონ ალადაშვილის გუნდმა ორი საკუთარ კარში გაუშვა, მაგრამ ამას რუსთაველებისთვის ხელი არ შეუშლია, წარმატებით დაეძლიათ რკინიგზელი შლაგბაუმი.

ასევე სათადარიგოებით გაუმკლავდა „სიონი“ პირველი ლიგის აუტსაიდერ „ივერიას“. ბოლნისელთა რიგებში თითქმის სრულად ითამაშა დავით პეტრიაშვილმა და „სიონის“ ხუთი გოლიდან ორი თავის აქტივში ჩაიწერა.

„მერანმა“ ერთ წუთში გაუქვითა „სანათლეზე“ დაწინაურებულ „თბილისი 2“-ს და მშვიდად მიიყვანა მატჩი სასურველ შედეგამდე.

მერვედფინალის კენჭისყრა ფეხბურთის ფედერაციაში კვირას, 22 ოქტომბერს შედგება და 12 საათზე დაიწყება.

პაატა კვანტალიანი

ზუგდიდი
17 ოქტომბერი
15 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 7 500)

ლაზიკა 0:3 ტორპედო

პირველი მატჩი: 0:4

0:1 იონანიძე (21), 0:2 იმედაძე (23), 0:3 გუნუა (60)
ლაზიკა: ჯ. თოდუა, კ. ქუთია (ა. ნაფოფია 33), ი. ფიფია, ო. გვაზავა, გულორდავა (სანაია 72), ქარჩავა, მებონია, ჯოჯუა, გვიჩია (დ. ?. ჯანაშია 85), გ. თოდუა, ლიპარტია
სათადარიგო: ჯ. ჯაბუა, ქირია
ტორპედო: ი. ზოიძე შალამბერიძე, ხვადაგიანი (თურმანიძე 46), მახვილაძე, ა. შეფილაძე, კ. კვეტენაძე, გ. ჩაიაძე (ვაჩიბერიძე 60), გუნუა, ჩიტიანი, იმედაძე (მ. ბობოხიძე 46), იონანიძე
სათადარიგო: გრ. ქანტურია; ასათიანი, კვირიძე, გაბიდაური
გაფრთხილება: ზ. ჯვარიძე (54), მებონია (67)
მსაჯები: ზ. ჯვარიძე (თბილისი); მ. ნაკაიძე, ა. გუნთაძე (ორივე ლაზოთი);

ხაშური
17 ოქტომბერი
15 საათი
მარიჯოლ ჯიშკარიანის
100 (ტევადობა 8 000)

ივერია 2:5 სიონი

პირველი მატჩი: 0:3

0:1 ჩაგელიშვილი (15), 0:2 მეტრეველი (29), 0:3, 0:4 პეტრიაშვილი (32, 34), 1:4 ჩალიძე (37), 2:4 ჯაფარაშვილი (67), 2:5 ჩაგელიშვილი (80)
ივერია: ხვედელიძე, გ. ფარლაგაშვილი (გ. ხაჩიძე 46), ჯუშაძე, ბ. მელაძე, პაიელიაშვილი, გოგალაძე (ნ. ლეკიშვილი 46), ჯობაძე, ვლასოვი, მინაძე (ულუმბელაშვილი 70), ჯაფარაშვილი, ნ. ჩალიძე
სათადარიგო: ბალიანი; ვ. კობერიძე
სიონი: დალაქიშვილი, კ. გოფერიძეშვილი, ასპირელაშვილი, სვანიძე, მირდიანაშვილი, გამყრელიძე, მ. გოგოლაძე (დიმიტრიაშვილი 70), კ. მეტრეველი, ჯაფარიძე, ლ. ჩაგელიშვილი, კენჭოშვილი (პეტრიაშვილი 5)
სათადარიგო: ვოლკოვი;
მსაჯები: ვ. ჩოჩიშვილი; თ. მამისაშვილი, ს. შალამბერიძე (სამივე თბილისი);

თბილისი
17 ოქტომბერი
15 საათი
ფუნტალური
300 (ტევადობა 500)

თბილისი 3:0 ცხინვალი

პირველი მატჩი: 2:2

1:0 ტყეშელია (21), კობრელიძე (45), 3:0 კაპანაძე (74)
გორელები: ჯერ გიტანა ბენალტი (38, მეკარე)
თბილისი: კუბატაძე (ჯყარიშვილი (78), დ. სტურუა, ბერიაშვილი, დ. ტყეშელია, მანაგაძე, დ. შენგელია, გუშარაშვილი (ბ. ფირცხალავა 57), ქუხილავა, კობრელიძე (ლ. კაპანაძე 7), გოგმაჩაძე, ლეჟავშვილი
ცხინვალი: დ. მისურაძე (ქასანაშვილი 46), კობაური, გუფულაშვილი, ტყეშელიძე მურადელი, ნიკრაშვილი, ზ. მისურაძე ნასუბაშვილი, ბრეკინინი, ჯვრელიშვილი
სათადარიგო: მოსიაშვილი, მარლიშვილი, გრ. ვარლაგაშვილი
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ა. ნინაფაშვილი, ზ. ზანდარიშვილი (ორივე თბილისი); ბ. ცირდავა (ბულგარეთი)

ნაალტუბო
17 ოქტომბერი
15 საათი
26 მაისი
700 (ტევადობა 12 000)

სამგურალი 0:0 იბერია

პირველი მატჩი: 1:0

სამგურალი: ბოდოკია, ბერაძე, თორქია, ტყილიძე, მ. ჯანტარაძე, მაჭარაძე (კაკვიძე 26), შ. ფუტკარაძე (ლ. ქობულაძე 80), ზ. ფხაკაძე, დარსაძე, დ. ჯიქია, ზ. ქუთათელაძე (გოლეთიანი 80)
სათადარიგო: გ. გიორგაძე ტბეოფა, ჯ. ლეონელია
იბერია: ვარდანიძე, ფეანია, გ. ნოზაძე, სანკოძე, მიქელაძე, ლ. ხმალაძე, ა. ბობოხიძე (შ. მუმლაძე 33), ნ. გიორგაძე (შ. ონიანი 50), ბიწაძე, დ. ოდიკაძე, გიგიაძე
სათადარიგო: ა. ჩომახიძე
მსაჯები: ს. კვარაცხელია; ბ. ცირდავა, ზ. ერქვანია; კ. მქსი (ყველა თბილისი)

თბილისი
17 ოქტომბერი
15 საათი
ოქროვანი
200 (ტევადობა 70 900)

ლოკომოტივი 9:0 თორი

პირველი მატჩი: 2:1

1:0 დავითაშვილი (4), 2:0 კვარაცხელია (12), 3:0 დავითაშვილი (25), 4:0 შენგელია (41), 5:0 პარამონოვი (65), 6:0 აბრამიძე (74ბ), 7:0 გოგიჩაიშვილი (80), 8:0 სილაგაძე (84), 9:0 ძოძუაშვილი (87)
ლოკომოტივი: ლომია, სალუქვაძე, აბრამიძე ლევან სილაგაძე, ს. ათოდუა, ხიზანიშვილი (კვლაური 46), გ. კვარაცხელია (პარამონოვი 55), გ. შენგელია, გოგიჩაიშვილი, დავითაშვილი, გორსაროვი (ძოძუაშვილი 46)
სათადარიგო: რუსი, ხურძე ბალაშვილი, ტყეშელი
თორი: სულავა, დ. ლეკაშვილი, გურამ ლომიძე, ელისაშვილი, კ. ჯანაშია (ნამგალაძე 86), სეფერთელაძე, ზაქარიაშვილი, თალაკვაძე, ვ. ფირცხალავა, გლურჭიძე, ვარდიაშვილი (ნიქარიშვილი 46)
სათადარიგო: ა. ლაბაძე, ბ. ზარანდია
მსაჯები: ჯ. ბუაფალი (ქუთაისი); ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ავთანდილ ორდენიძე (ონი);

ბორჯომი
17 ოქტომბერი
15 საათი
ბრაზილი
100 (ტევადობა 3 000)

თსუ 5:0 დინამო 2

პირველი მატჩი: 1:3

1:0 ერაძე (40), 2:0 ბოკერია (43), 3:0 ახალაძე (48ბ), 4:0 ბოკერია (69), 5:0 წულუკიძე (74)
თსუ: მამარდაშვილი, ხარებავა, ჯ. ებრალიძე, ე. ალადადაშვილი, სვანაძე (მორჩილაძე 60), რ. გოგორიძე, წულუკიძე, ახალაძე, მესხი, ერაძე (არეშიძე 76), ბოკერია (ადამია 69)
სათადარიგო: გუფუნავა; ზვ. ლაბაძე, ჯადაჭარია, ბ. ნოზაძე
დინამო 2: დოლაძე, კასნიაშვილი, ნ. ებრალიძე, თ. სულაქველიძე, გადაბაძე, ბანნაკაგა, ნორაკიძე (წილოსანი 46), მიკუჩაძე, მ. ცქიფურიშვილი, ლილაძე (მ. ტყეშელიშვილი 46), ქარდავა (ბოგვერაძე 46)
სათადარიგო: თარხნიშვილი; თუთბერიაშვილი, გულგუნაძე, დადათელიანი
გაფრთხილება: ქარდავა (24), ერაძე (28), სულაქველიძე (55)
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); დ. რეხვიაშვილი (რუსთავი), ბ. ჯულაფინე (სამტრედია)

ფოთი
17 ოქტომბერი
15.30 საათი
ფაზისი
300 (ტევადობა 6 000)

კოლხეთი 2 0:1 კოლხეთი

პირველი მატჩი: 0:4

0:1 კრასოვსკი (22)
კოლხეთი 2: გ. ზ. მიქაძე, ნადარაია (გაგუა 60), ნარსია, ბ. გვაზავა, ყურუა, ბაკობია, დ. კვირკველია, გ. ქუდი (ფილია 46), ჩხეიძე, ზვიდლავა (დ. სულაქველიძე 55), ვ. ყურაშვილი
სათადარიგო: გ. ბერია; ი. ლონდარიძე ფინტლალია
კოლხეთი: მ. გვასალია, ბურკვაძე, გორგოზია (ღაღანიძე 46), გ. ჩიტაია, პაპავა, თედეევი (ი. მალაკელიძე 73), ქანტარიძე, ახალაია, კიკალიშვილი, შიგფულიძე, ე. გვასალია (კრასოვსკი 9)
სათადარიგო: ჩეჩია, ქუნთელია, თოფურია, ტორჩინავა
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

კულაში
17 ოქტომბერი
15 საათი
ცენტრალური
50 (ტევადობა 100)

ოკეანე 0:1 გათუმი

პირველი მატჩი: 0:6

0:1 ღლონტი (22)
ოკეანე: ქეკასელი, ტონია, კ. თოდაძე, თ. მალალაკელიძე, ს. გოგია (ქელეხსაშვილი 76), ლორთქიფანიძე, კრავეშვილი, გოგიბერიძე, ო. ფხაკაძე (?. ფუტკარაძე 76), მალალურაძე (ფირცხალეიშვილი 55), მესიანერგი
სათადარიგო: თაგაძე
გათუმი: ბედიაშვილი, ჩიჩუა, ზ. მინდაძე, მეგვანაძე, თედორაძე, ღლონტი, კაკაბაძე (ჩოხელი 26), რომანაძე (ვ. სიხარულიძე 57), ბაფსაბაგი, დარჩიძე, ყულეფაშვილი (ფურცვანიძე 76)
სათადარიგო: სამნიძე ქერაშვილი
მსაჯები: ბ. დოდოფარაშვილი (ქუთაისი); მ. ლომსაძე (ხარაგაული), ვ. ნარმანია (ტყვარჩელი);

ლანჩხუთი
17 ოქტომბერი
15 საათი
ბეჭრასეთ შუქურაში
500 (ტევადობა 22 000)

გურია 1:1 შუქურა

პირველი მატჩი: 2:0

0:1 კაკალაძე (29), 1:1 ფაცურია (56ბ)
გურია: მერკვილიშვილი, ვოსკანოვი, გაბრიჩიძე, სულაკაძე, ჩიტენი, კუკულაძე, გ. ჩაჩხარაძე, შეფლიძე ფაცურია, კირკიტაძე, ლორია
სათადარიგო: გუფაბა დოლიძე, ორბელაძე, ძნელაძე, მ. ჯალარაია, ჯაჯელი, ენდელაძე
შუქური: გაბუნია, ჯეჯელაური, გეგეშიძე, ჩელებაძე, ყალიფა (ქობულიძე 71), ბაფანაშვილი (გურჯელაძე 60), კიკალაძე, ჩიდელელი, ჩახუნაშვილი, ჯორჯოლიანი (ლომოთიძე 60), ი. კვირკველია
სათადარიგო: გოგუა; ბოლქვაძე კალანდაძე მესხიძე
გაფრთხილება: ჩელებაძე (14)
მსაჯები: ლ. მიქელაძე; ვ. ბერაძე, თ. ხუციშვილი, თ. გიორგაძე (ყველა სამტრედია)

თბილისი
17 ოქტომბერი
15 საათი
სანათელი
150 (ტევადობა 3 000)

მერანი 1:1 თბილისი 2

პირველი მატჩი: 3:0

0:1 ხურცილავა (65), 1:1 როსტომაშვილი (66ბ)
მერანი: ჯორჯიაძე, ჩანდარია, ოდიშარია, ბ. ჯუტალიძე, კოტეკაშვილი (ფუხინი 46), ლ. თოლორდავა, კოტეკაძე, ტანქარაული, მ. ბინაშვილი, ბაგლელიძე, ივანინეული (როსტომაშვილი 73)
სათადარიგო: ნიფეფაი; ბ. ილურიძე
თბილისი 2: კოდალაური, ანტკაძე, ზვ. ფირცხალავიშვილი, ბაბაშვილი, ვ. ჩხეიძე, ჯ. ხურცილავა, ბერსარაშვილი (ნონაორია 46), ტუმანერიძე, კიკვიძეშვილი, ი. სიხარულიძე (ნამთობიძე 22), ბ. კაბანაძე
სათადარიგო: მჭედლიშვილი; ნიკოლაიშვილი
მსაჯები: ვ. ელიავა (ცხინვალი); ზ. ხუციშვილი (ფშავი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი);

ძველი ანანა
17 ოქტომბერი
15 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 3 000)

მილანი 0:0 დინამო

პირველი მატჩი: 0:5

მილანი: გ. სიმონიშვილი, ტარეულაშვილი, ლუფუშური, კობაძე, თელიანაშვილი, ჩიტაური, ბაგანიშვილი (მეტრიძე 43), მ. სიმონიშვილი, სოხელი (ინასარიძე 43), გოლიაშვილი, კიკვიძე (ტოკლიკიშვილი 43)
სათადარიგო: ქყონია, დ. კანანაძე, ბაიდოშვილი
დინამო: ბაბალიშვილი, ი. ფიშაკიძე, ზამთარაძე, ბ. ჯინტარაძე (ი. მისურაძე 74), ზაზიაშვილი, კანდელაკი, მაზიაშვილი, ბურდული, რუხაძე (ტაფელი 82), კ. გოგოლაძე, ბ. ვ. მიქაძე (დალვაძე 60)
სათადარიგო: ჩიხრაძე; ქუმოკელიძე
გაფრთხილება: ჩიტაური (54), მაზიაშვილი (71)
მსაჯები: ო. ხეკაძე; კ. თბილელი, მ. ურუშაძე, ვ. ელისაბედაშვილი (ყველა თბილისი);

ქუთაისი
17 ოქტომბერი
15 საათი
ვასანაძე რუხვიაშვილი
500 (ტევადობა 1 000)

ჭაბუკიანი 3:0 დილა

პირველი მატჩი: 0:4

1:0 ომანაშვილი (153), 2:0 უ. მეტრეველი (70), 3:0 ზაკუტაშვილი (90)
ჭაბუკიანი: ი. სილაგაძე ყიფლაშვილი, გ. მეტრეველი, ტალახაძე (შეფლაძე 78), ზაკუტაშვილი, უ. მეტრეველი, გუნია (ლ. ოდიკაძე 72), აგაბაბიანი, ბ. ა. მიქაძე, ბ. გოგორიძე (კაკიტაძე 46), ომანაშვილი
სათადარიგო: შ. ტაბატაძე, ბ. სირაძე, დ. მოდებაძე
დილა: თ. ილურიძე, აკოფიანი, გაგნიძე, გიორგი ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, საყვარელიძე, რეფაზიშვილი, ციცქიშვილი, ოლგაკაშვილი (ხობობაშვილი 40), ფეხუაშვილი, ტალეში (შ. ბურნაძე 55)
სათადარიგო: მდივანი; გ. გოჩაშვილი, იასაშვილი
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), დ. გიგაშვილი, დ. ხარტიშვილი (ორივე თბილისი);

ბრეთელი
17 ოქტომბერი
15 საათი
ეროვნული
200

ლოკომოტივი 3 2:3 გორდა

პირველი მატჩი: 0:3

0:1 ლ. კაბანაძე (8), 1:1 ნაროუშვილი (75), 1:2 სილაგაძე (86), 2:2 ბაქრაძე (89), 2:3 სილაგაძე (90)
ლოკომოტივი 3: ივანიდაი, გოგანაძე, ძაგნიძე (ტაბიძე 46), ჩაჩუა, ტაბატაძე (სიმონიშვილი 46), არუდაშვილი, ხოჭმაზი, ნ. ბაქრაძე, ლ. ხურცილავა, გ. ზოიძე (ი. კვარაცხელია 60), ნაროუშვილი
სათადარიგო: სირაძე, კოტეკიძე, ლაცაბიძე, ქადეშვილი
გორდა: ნიკურაძე (ტონგაძე 70), ლ. კაბანაძე (ნიკლაური 88), დ. ბერიძე, ბატარიძე, გაბელაია, მ. სახვაძე (ოსკანაშვილი 61), ფიფუნა, ლაშა სილაგაძე, ს. ბაჩილაგა, გ. ბ. მიქაძე, მჭედლიძე
გაფრთხილება: ხურცილავა (10), ბატარიძე (19), არუდაშვილი (30), ნაროუშვილი (52), ჩაჩუა (87)
მსაჯები: ბ. ბერეკეთი (ქუთაისი); ე. ბოგვერაძე, ო. მოლოდინაშვილი, ა. მეჩაგი (ორივე თბილისი)

ზესტაფონი
17 ოქტომბერი
15 საათი
ბიბალური
200 (ტევადობა 10 000)

მეტალურგი 3:1 გურია 2

პირველი მატჩი: 1:0

1:0 ლეონიძეშვილი (7), 2:0 ბეგიაგა (62ბ), 2:1 რობაქიძე (87ბ), 3:1 ლეონიძეშვილი (88)
ნასრიდენ ვერ გიტანა ბენალტი (86, ბაცილა)
ბიბალური: ი. ოდიკაძე (ბუბენერიძე 74), ბურეშიძე ბ. ლეონიძეშვილი, ბახალაძე, ბერეკეთიშვილი, ბაზაძე კაციაშვილი, აფარაძე (ქანყეფტაძე 70), ფანტაცა (ვანტრიშვილი 55), ბ. გვაზავა, ნ. მოდებაძე
სათადარიგო: დ. ფირეფხალაიშვილი, ბოგაძე, ორმოციძე, მურეფაშვილი
გურია 2: ბ. ზეგრელიძე, ნიქარიშვილი, კუკულაძე, კ. თაბეგრეიძე, კ. ნიკოლაიშვილი, გიგაშვილი (ჯ. ონიანი 75), ნასრაძე, რობაქიძე, ორაგველიძე, სეფასტაფელი, ბერეკეთ ფალიანი
სათადარიგო: ბეკეთიძე, სარეკლადე
მსაჯები: ბ. ბეკეთიძე; ვ. ბერეკეთ; ნ. როქვიშვილი (ყველა ქუთაისი);

ხობი
17 ოქტომბერი
15 საათი
კოლხეთი
300 (ტევადობა 8 000)

ხობი 3:2 ზუგდიდი

პირველი მატჩი: 0:3

0:1 ონიანი (8), 1:1 ტეფია (56), 2:1, 3:1 ხურცილავა (58, 68), 3:2 სიფაია (68)
გოგიას ვერ გიტანა ბენალტი (86, ბაცილა)
ხობი: რ. თოლორდავა (შ. გოგია 46), ს. ბერაია, ა. ფიფია, ხორავა, ჯამბერია, ბ. ბერეკეთ (ქანბაძე 72), ვართაგავა, ტეფია, ს. ტეფია, ბრ. ჯიქია, ალბაკელი (ყორშია 72)
სათადარიგო: ბარანელი, ტოტინაძე
ზუგდიდი: მ. ნაფოფია, ლურნ ჯაია (ან. [illegible] ტოთაგავა, ბეგლერიძე, დიდიანი, ფოფ[illegible] (ზ. სიფაია 46), [illegible] ლეონელი, რ. ონიანი
სათადარიგო: მ. ყვარაცხელია, ჩიქობავა, თორია
მსაჯები: ლ. რაზმაძე (გორი); ლ. ბურტანაძე (სურამი), დ. მალრიძე (ზესტაფონი); ბ. დოდოფარაშვილი (ქუთაისი)

რეალი 5:3 ლევერკუზენი

1:0 გუტი (3), 1:1 ბრდარიჩი (19), 2:1 ელგერა (24), 2:2 კირსტენი (55), 3:2 გუტი (65), 4:2 რაული (75), 4:3 რინკი (78), 5:3 ფიგუ (88ჯ)

რეალი: სესარი, ჯერემი, კამპო, იერო (სელადესი 46), რობერტო კარლოსი, მაკელელე, ელგერა, გუტი, ფიგუ (მუნიტისი 89), სავიო (სოლარი 71), რაული

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, ჟივკოვიჩი, იენს ნოვოტნი, რ. კოვაჩი, რეები, რამელო (რინკი 71), ბალაკი, ზე რობერტო, ბრდარიჩი (შნაიდერი 89), ნოვოილი, კირსტენი

მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი

მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)

60 000 მაყურებელი

მადრიდელებს ძირითადის სამი ფეხბურთელი აკლდათ, სამივე ტრავმის გამო. მეკარე კასილიასი სესარ სანჩესმა შეცვალა, მცველები — მიჩელ სალგადო და აიტორ კარანკა კი კამერუნელმა ჯერემი ნჯიტაპმა და ივან კამპომ. „რეალმა“ სტუმრებს, რომ იტყვიან, გამარჯობის თქმა არ აცალა და უკვე მე-3 წუთზე გაიტანა. გოლის ავტორი, მართალია, ხოსე მარია გუტია, მაგრამ იგი თავის წარმატებას ლუიშ ფიგუს ბრწყინვალე თამაშს უნდა უმადლოდეს. დებიუტში გაშვებულმა გოლმა „ლევერკუზენი“ არ გატეხა და 16 წუთში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თომას ბრდარიჩმა წონასწორობა აღადგინა.

ექვს წუთში ქომაგმა კვლავ გაიხარა, როცა საყრდენმა ელგერამ ცუბერბიულერს მშვენიერი თავური გაუტანა, ასისტენტობა კვლავაც ფიგუმ ითავა. მეორე ტაიმში ორივე გუნდის ფეხბურთელებმა „ბერნაბეუზე“ შეკრებილთ გახსნილი თამაში შესთავაზეს, მომენტებიც საკმაოდ შექმნეს და 5 გატანილი ბურთით ასიამოვნეს. როგორ ფიქრობთ, „ოქროს ბიჭუნა“ თავს არ გამოიჩენდა? სხვაგვარად არც შეიძლებოდა და რაულმაც ჩვეულ სტილში იხეირა — შეცვლაზე შესულ სოლარის პასს ძელთან ახლოს დაუხვდა და მიიღო თუ არა ბურთი, მყისვე, ერთი შეხებით ცუბერბიულერს ფეხებშუა გაუტარა. მერე რინკმაც შეაგდო, რომელმაც თითქმის დაკარგული ბურთი იგდო ხელთ. ბოლოს კი ფიგუმ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა, როცა მეტოქის საჯარიმოში ვირტუოზულად შეჭრილი რეებმა წაქცია. პენალტი თავად პორტუგალიელმა დაარტყა.

ნამატჩევს „რეალის“ მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე კმაყოფილებას ვერ მალავდა. რატომაც არა — მოგებით ხომ მოიგო, მისი გუნდი ლიგის მეორე ეტაპზეც გავიდა. თუმც დელ ბოსკეს არ დაუმალავს, რომ მისი მთავარი საფიქრალი ახლა „ბარსელონასთან“ მოახლოებული შაბათის მატჩია. „დაცვის ასეთი შეუთანხმებელი თამაშიც ამის ბრალია, ბიჭები „ბარსაზე“ ფიქრობენ, ამიტომაც იყო, ყურადღება რომ მოადუნეს“ — დასძინა დელ ბოსკემ. „ლევერკუზენის“ თავკაც კრისტოფ დაუმს კი დანა პირს არ უხსნიდა, მაგრამ მაინც თქვა: „აღშფოთებული ვარ დაცვის თამაშით. „რეალი“ ჩვენს კართან ძალიან ახლოს მივუშვით და ძალიან ბევრი შანსი მივეცით. ხოლო, როგორ უნდა გაიტანოს, „რეალს“ არ ეშლება, თან შემსრულებლებიც უმაღლესი კლასის ჰყავს.“

სპორტინგი 0:3 სპარტაკი

0:1 დიმაში (16ს.კ.), 0:2, 0:3 ტიტოვი (52, 67)

სპორტინგი: შმაიხელი, ანდრე კრუზი, დიმაში, რუი ჟორჟე (ფაბრი 37), ბინუ, ბეტუ სევერუ, პრატესი, ჰ. ჰორვატი (ბარბოსა 57), ჟოაუ პინტუ (მ. მპენზა 57), აკოსტა, ზა პინტუ

მწვრთნელი: აუგუსტო ინასიო

სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისე, ანანკო, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, მარკაო (კალინიჩენკო 62), პარფიონოვი, ბეზროდნი, რობსონი (პისარევი 84)

მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი

მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)

30 000 მაყურებელი

რეალი — ლევერკუზენი 5:3. მადრიდელთა ბრაზილიელი სავიო ბერნდ შნაიდერისთვის ბურთის ართმევას ასე ახერხებს

REUTERS მადრიდიდან

საბრალო მანუელ დიმაში. ყოფილი იუვენტუსელი პორტუგალიის ეროვნული გუნდის დაცვაში შეუცვლელია, ასევეა „სპორტინგშიც“, მაგრამ... გუშინწინდელი საღამო დიმაშს, ალბათ, არასოდეს დააავიწყდება: ჯერ იყო და ბეზროდნის ჩაწოდებული ბურთი მოხვდა და შმაიხელს გაუტანა, მერე კი ორჯერ ტიტოვს, ჯერ ფეხით, მერე თავით გაუწია ასისტენტობა. ცხადია, დიმაშს ასე განზრახ არ უთამაშია, მცველს უპირველესად მეტოქის შეტევის ჩაშლა-მოგერიება ევალება. მანუელსაც ამის გაკეთება სურდა, მაგრამ...

ოლეგ რომანცევი კი ლისაბონში მოსაგებად ჩასულა — ფეხბურთელებისთვის უთქვამს, მოგების გარდა სხვა შედეგი არ მაინტერესებსო. „სპარტაკსაც“ რა უნდა ექნა, მასპინძლებს კონტრშეტევებზე ეთამაშა და თავისი მწვრთნელ-პრეზიდენტიც დიდად ასიამოვნა. სტუმრებიდან, რა თქმა უნდა, დუბლის ავტორი ეორ ტიტოვია გამოსარჩევი, მაგრამ ნურც სხვებს დავუკარგავთ ჯაფას. უკრაინელმა მცველმა პარფიონოვმა და მეკარე ფილიმონოვმა ყველაფერი იღონეს, რათა კარი ხელუხლებლად დაეტოვათ. პარფიონოვი დაცვაში გაუვალი იყო, აი, „ფილიას“ კი რამდენიმეჯერ თავისი ოსტატობის ჩვენებაც კი მოუხდა. ვინ აღარ გაამწარა მეკარემ: აკოსტა, ზა პინტუ, ფაბრი, ბარბოსა და... დიმაშიც დიახ, დიმაშს ძალიან უნდოდა შეცდომის გამოსწორება, ბოლოს რუსს ღონიერი თავურიც კი დურტყა, მაგრამ ფილიმონოვმა სასწაულებრივი რეაქცია შეაგება და მასპინძელთა მესამე ნომერი კიდევ ერთხელ დააღონა.

ნამატჩევს მაყურებელმა ოვაცია მოუწყო სტუმრებს, თავის ფეხბურთელებს კი ლანძღვა-გინება დაატეხა თავს. პრესკონფერენციაზე რომანცევი ჩვეულებისამებრ არ გამოცხადდა და, ბუნებრივია, არც არაფერი უთქვამს. აუგუსტო ინასიომ კი, რომელიც მატჩის დაწყებამდე ამბობდა, თუ ვერ მოვიგებთ, გადავდგებიო, განაცხადა: „რა მეთქმის, დღეს ბედი არ გვწყალობდა. წაგებული პირველი ტაიმის მერეც გვეგონა, რომ თამაშს შემოვატრიალებდით, მაგრამ მეორე გაშვებულმა ბურთმა გაგვტეხა. რაც შეეხება დიმაშს, გეტყვით, ფეხბურთელზე ჯობი არასდროს გადამტეხია — აგებს გუნდი, აგებს მწვრთნელი, თამაშს კი ფეხბურთელები იგებენ“.

გიორგი ვაშაკიძე

	A ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	რეალი		1:0	5:3	25.10	11:7	10
2	სპარტაკი	7.11		2:0	3:1	8:2	9
3	ლევერკუზენი	2:3	25.10		3:2	8:12	3
4	სპორტინგი	2:2	0:3	7.11		5:11	1

ლაციო 1:1 არსენალი

1:0 ნედვედი (24), 1:1 პირესი (88)

ლაციო: პერუჩი, ნეგრო, მიხაილოვიჩი, ნესტა, პანკარო, სტანკოვიჩი (ლაუდიო ლოპესი 46), სიმეონე, ნედვედი, ვერონი, ს. ინძაგი (კრესპო 69), სალასი

მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი

არსენალი: ლუკიჩი, დიქსონი, კიოუნი, ლუფნი, სილვინიო, პარლოუ (პირესი 60), ვიეირა, გრიმანდი (ლორენი 69), ლიუნგბერგი (ვილტორდი 74), კანუ, ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მსაჯი: პელმუტ კრუგი (გერმანია)

55 000 მაყურებელი

დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ფრანგი რობერ პირესის გატანილმა ბურთმა „არსენალს“ რომის ოლიმპიურ სტადიონზე ერთი ქულა და მეორე ეტაპზე გამსვლელი საგზური მოუტანა, „ლაციოს“ კი მორიგი იმედგაცრუება.

პირესის გოლი რომაელთა კაპიტნის ალესანდრო ნესტას სინდისზეა, რომელმაც მთელი მატჩი ჩინებულად ჩაატარა, მაგრამ ბოლოს შეტევით გაერთო, თავისი ზონა ცარიელი დატოვა და დაისაჯა კიდეც. სილვენ ვილტორდმა გრძელი პასით პირესს მეკარე პერუჩისკენ გაუხსნა გზა, პირესმაც სწრაფად გაირბინა ოცდაათიოდე მეტრი და პერუჩის მარჯვენა მაღალ კუთხეში აუღებელი დაურტყა.

არსენ ვენგერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გონიერი მწვრთნელია. ვილტორდიც და პირესიც მეორე ტაიმში გაიყვანა მინდორზე და სასურველი შედეგიც მიიღო: „ჩემს გუნდს მებრძოლი სული გამოუმუშავდა და ეს ბოლო ხანს არაერთხელ დავამტკიცეთ. როცა დამთავრებამდე სამი წუთი რჩებოდა, მჯეროდა, რომ დრო გვეყოფოდა და საპასუხოს გავიტანდით. ასეც მოხდა. თუ იმასაც გავიხსენებთ, როგორი გოლი გავიდა „არსენალის“ კარში... თუმცა, „ლაციო“ უმაღლესი დონის გუნდია და ვფიქრობ, ფრე ყველაზე სამართლიანი შედეგი იყო“ — თქვა ვენგერმა.

მისი მოწინააღმდეგე კოლეგა კი აშკარად ვერ გახლდათ ხასიათზე. თამაშის დროსაც ბევრს ნერვიულობდა, ცხადია, გრძნობდა, რომ მის გუნდს თამაში მაინცდამაინც არ გამოსდიოდა: „საწყენია. მეგონა სამი ქულა უკვე ჩანთაში გვქონდა, მაგრამ რა გაეწყობა. ერთი ნაღდია, დღეს უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე ორი კვირის წინ ლონდონში. ახლა აუცილებლად უნდა მოვუგოთ „შახტარს“ — განაცხადა სვენ გორან ერიკსონმა.

თამაში კი „არსენალს“ უკეთ გამოუვიდა. არადა, ლონდონელებს არ ჰყავდათ ტონი ადამსი, ხოლო კარში 39 წლის ჯონ ლუკიჩი იდგა, რომლისთვისაც ბოლო სამწელიწადნახევარში პირველად მიენდოთ „მეთოფეთა“ ძირითადის მაისურა. შეგახსენებთ, ორი მთავარი მეკარე დევიდ სიმენი და ავსტრიელი ალექს მანინგერი ტრავმებს იშუშებენ.

გოლი კი „ლაციომ“ ისეთი გაიტანა, უფრო სწორად, „არსენალმა“ ისეთი გაუშვა, ინგლისელებს რომ ემართებათ ხოლმე. თავისი საჯარიმოს სიახლოვეს სილვინიომ პაველ ნედვედს დაასწრო და საკუთარ კარში ისეთი დაარტყა, იმ ბურთის ამღები კაცი არ იყო. გოლი კი ნედვედს მიათვალეს.

მეორე ტაიმში ვნებებმაც იძალა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჟილ გრიმანდისთან ბრძოლაში დიეგო სიმეონეს წარბი გაუსკდა. მერე მიჰყვა და მიჰყვა. ხან თავშეხვეული სიმეონე იქაჩებოდა, ხან სინიშა მიხაილოვიჩი და ხანაც ნესტა. სტუმართაგან კი ყველაზე მეტს მარტინ კიოუნი ცხარობდა. შედეგად ყვითელი ბარათი მიიღო და მომდევნო მატჩს გამოტოვებს.

ლაციო — არსენალი 1:1.
რომაელი ალესანდრო ნესტა (მარცხნივ) და მეთოფე ტიერი ანრი

REUTERS რომიდან

შახტარი 2:1 სპარტა

0:1 იაროშიკი (16), 1:1 გლევეცასი (35), 2:1 ზუბოვი (87ჯ)

ვორობეიმ პენალტი ვერ გაიტანა (18, მეკარე)

შახტარი: ვირტი, სტაროსტიკი (ბიელიკი 65), გლევეცასი, ტიმოშჩუკი, პოპოვი, ბახარევი, ზუბოვი, ატელკინი, ვორობეი (კოვალევი 90), აბრამოვი (კრივენცოვი 57), ოკორონკვო

მწვრთნელი: ვიქტორ პროკოპენკო

სპარტა: პოსტულკა, გრიგერა, ჰორნაკი, ირჟი ნოვოტნი, ბოლფი (კინჩლი 89), ლაბანტი, ჰაშეკი, იაროშიკი, როსიცკი, ობაიდინი (კოლუშეკი 78), სიონკო

მწვრთნელი: ივან ჰაშეკი

გაძევება: გრიგერა (87)

მსაჯი: ათანას უზუნოვი (ბულგარეთი)

20 000 მაყურებელი

სამშაბათს ხარობდა სრულიად დონეცკი. მათმა „შახტარმა“ ჩემპიონთა ლიგაში პირველად გაიმარჯვა. არადა უკვე მე-16 წუთზე აგებდა: კუთხურისას მასპინძელი მცველები შეცდნენ და ირჟი იაროშიკმა თავურით გახსნა ანგარიში.

ორ წუთში უკრაინელებს გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ „სპარტას“ მეკარე ტომაშ პოსტულკამ ანდრეი ვორობეის პენალტი მოიგერია. თერთმეტმეტრიანი მსაჯმა იმიტომ დანიშნა, რომ ჩეხმა ვლადიმირ ლაბანტმა ვორობეი საჯარიმოში წაქცია.

ტაიმის ბოლოსკენ მასპინძლებმა მაინც გაიტანეს: „შახტარის“ ლიტველ დაინიუს გლევეცასის თავურს ჩეხებმა ვერაფერი მოუხერხეს.

„შახტარი“ შესვენების შემდეგაც ბევრს უტევდა. სერგეი ატელკინის დარტყმა პოსტულკამ ძლივს მოიგერია. მაგრამ ნავსი მაინც გატყდა. დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ზდენეკ გრიგერამ თავის საჯარიმოში ხელით ითამაშა და წითელი ბარათიც მიიღო. პენალტი კი ზუსტად დაარტყა გენადი ზუბოვმა.

„ფეხბურთელები არაერთხელ გავაფრთხილე, მაღალ გადაცემებს მორიდებოდნენ, მაგრამ პირველ ტაიმში დავალება კარგად ვერ შეასრულეს. ამიტომ, ჩეხების მაღალ მცველებს ჩვენი შეტევების ჩაშლა არ უჭირდათ. კარგია, რომ ეს ხარვეზი თამაშის მსვლელობისას გამოვასწორეთ. ეს იყო თანაბარი ძალის მეტოქეთა მატჩი. თუმცა, გამარჯვებას „შახტარი“ უფრო იმსახურებდა და ბედნიერი ვარ, რომ ჩემპიონთა ლიგაში პირველი სამი ქულა ჩავიწერეთ“ — თქვა მატჩის შემდეგ დონეცკელთა მწვრთნელმა ვიქტორ პროკოპენკომ.

სოლომონ გულისაშვილი

	B ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	არსენალი		2:0	3:2	25.10	7:3	10
2	ლაციო	1:1		25.10	3:0	7:3	7
3	შახტარი	7.11	0:3		2:1	6:10	3
4	სპარტა	0:1	7.11	3:2		4:8	3

ლიონი 2:2 ვალენსია

0:1 ხუან სანჩესი (45), 0:2 ბარახა (85), 1:2 მარლე (90)

ლიონი: კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი, ლავილი, მარლე, ლეგლი (ვიოლო 67), ს. ანდერსონი, დელმოტი (ვერელი 67), ფოე, მალბრანკი (ლინარესი 67), ბრეშე

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ჯუკიჩი, მენდიეტა (ანგულო 70), კარეუ, ზაპოვიჩი, კარბონი, ხუან სანჩესი, კილი გონსალესი (დიეგო ალონსო 46), ბარახა, ანგლომა

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

გაძევება: ფოე (61)

მსაჯი: პოლ დარკინი (ინგლისი)

38 959 მაყურებელი

REUTERS ლიონიდან

ლიონი — ვალენსია 1:2. მასპინძელი სონი ანდერსონი გაისკა მენდიეტამ (მარცხნივ) და რუბენ ბარახამ შებოჭეს

ქულადაუკარგავი გუნდი გნებავთ? ინებეთ, „ვალენსია". ძებნას ნუ გააგრძელებთ, ერთსაც ვერ იპოვით. „ლიონი" — „ვალენსიას" მატჩის შემდეგ ამის თაობაზე ექტორ რაულ კუპერმაც შეგვახსენა, თითქოს გათამაშების ცხრილში ჩახედვა გვეზარება. კუპერმა სხვა რამეც თქვა: „თამაშმა გვაჩვენა, რომ ჩვენ მართლაც ძალიან ძლიერი გუნდი ვართ. „ვალენსიას" წარმატების საიდუმლო მისი ყოველი რგოლის, ყოველი ფეხბურთელის ურთიერთშეთანხმებულ თამაშშია. ერთი ამოცანა უკვე შევასრულეთ — ჯგუფიდან გავედით, თუმცა, რომ ვთქვათ, ეს არც ყოფილა ამოცანა, თავისთავად იგულისხმებოდა. ნუ იფიქრებთ, რომ დარჩენილ ორ შეხვედრაში უმოტივაციოდ დარჩენილნი მოგებას არ ვეცდებით".

სამართლიანობისთვის უნდა ვთქვათ, რომ „ლიონს" ცუდად არ უთამაშია. მეტიც, მასპინძლები შესამჩნევ უპირატესობასაც ფლობდნენ და მხოლოდ 61-ე წუთზე, კამერუნელი მარკ ვივიენ ფოეს გაძევების შემდეგ გატყდნენ. ფოეს მეორე ყვითელი ბარათის გამო მოუხდა მოედნის დატოვება.

სამართლიანობისთვის ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ვალენსიელებმა ანგარიში ფოეს გაძევებამდე გახსნეს. პრომერადივიზიონის ბომბარდირმა ხუან სანჩესმა (ექვსი გოლი ხუთ მატჩში) იონ კარეუს პასით იხეირა. არადა, ფრანგებს წუთიც რომ გაეძლოთ, ინგლისელი არბიტრი პოლ დარკინი შესვენების მაუწყებლად დასტვენდა.

მეორე ტაიმში ფოეს გაძევებას ლიონელთა სამმაგი შეცვლა მოჰყვა. ჟაკ სანტინს ყველაზე მეტად კრისტოფ დელმოტის ტონი ვერელით ჩანაცვლებამ გაუმართლა, იმ თვალსაზრისით, რომ ვერელმა თამაში გაამწვავა და თუ მასპინძლებმა გათანაბრება ვერ შეძლეს, უპირველესად სანტიაგო კანისარესის დამსახურებაა.

„ლიონის" კარში მეორე გოლი შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გავიდა. კლასიკური შემთხვევა იყო — შეტევაში გართული მასპინძლები სტუმრებმა კონტრიერიშზე გამოიჭირეს. დიეგო ალონსოსა და რუბენ ბარახას გარღვევა ამ უკანასკნელის იმ გოლით დასრულდა, რომლის ამსახველი ფოტოც შეგიძლიათ გუშინდელი „სარბიელის" მეორე გვერდზე ნახოთ.

მსაჯის მიერ წამატებულ დროში სტივ მარლეს ლამაზი თავურით სხვაობის შემცირებას დიდი სიხარული არ მოჰყოლია, ან რა აზრი ჰქონდა?

„პირველ ტაიმში ბრწყინვალედ ვითამაშეთ — თქვა მატჩის შემდეგ ფრანგმა ნახევარმცველმა კრისტოფ დელმოტმა — სამწუხაროა, რომ ერთადერთხელ მოვადუნეთ ყურადღება და გოლი გავუშვით. მეორე ტაიმიც იმ შეცდომის ლოგიკური გაგრძელება იყო. რას ვიზამთ, ჩემპიონთა ლიგა ჩვენთვის გაკვეთილია, მწარე გაკვეთილი".

დავუმატოთ, რომ „ლიონმა" ზედიზედ მესამე მატჩი წააგო ლიგაში, სამი გაკვეთილიდან კი კაცმა რაღაც უნდა ისწავლოს.

ჰერენვენი 1:0 ოლიმპიაკოსი

1:0 იენსენი (82)

ჰერენვენი: ვონკი, ვენემა, კლომპე, გ. დე ნოიერი, რადომსკი, ნურმელა, ტალანი, იენსენი, ლურლინგი, ჰუიზინგი, ნვანკპა (ვან გესელი 31)

მწვრთნელი: ფოპ დე ჰაანი

ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, პაგაგოღლუ, ამანატიდისი, ლუსიანო (ანატოლაკისი 75), ჯოვანი, ჯორჯევიჩი, ზე ელიასი, ზეტერბერგი, გეორგგატოსი (ხუტოსი 83), კონტისი, ოფორი კუბე

მწვრთნელი: იანის მაცურაკისი

მსაჯი: ჰარტმუტ შტრამპე (გერმანია)

12 000 მაყურებელი

საინტერესოა, როგორ ხასიათზეა იანის მაცურაკისი, „ოლიმპიაკოსის" მწვრთნელი — მისი გუნდი ცალი ფეხით მეორე ეტაპზე იყო და უდავო აუტსაიდერთან დამარცხდა. ეს კიდევ ერთი დასტური ხომ არ არის იმისა, რომ ბერძნები, თურქებისა არ იყოს, მხოლოდ საკუთარ კედლებში, შმაგი ქომაგებისგან გამხნევებულები არიან ძლიერნი?

თამაში ასე შეგვიძლია შევაფასოთ — მოსაწყენი და უხეში. მოსაწყენი იმიტომ, რომ ხეირიანი მომენტი 90 წუთის მანძილზე ორი თუ იყო, ხოლო უხეშობაზე ექვსი ყვითელი ბარათი მიგვანიშნებს.

როგორც ოქმიდან ჩანს, ერთადერთი გოლი საკმაოდ გვიან, 82-ე წუთზე გავიდა. პირეოსელთა საჯარიმოსთან ახლოს ხრისტოს კონტისმა მასპინძელთა ფინელ თავდამსხმელ მიკა ნურმელას სახეში ჩასცხო და საჯარიმო დარტყმა დაინიშნა. ჰერენვენელთა მეორე ლეგიონერმა, დანიელმა დანიელ იენსენმა ბურთი მცველთა შორის გააძვრინა და გუნდს პირველი სამი ქულა მოუხვეჭა. მსაჯის წამატებულ დროში „ჰერენვენს" მეორეს გატანაც შეეძლო, მაგრამ ნურმელას კარგი ჩაწოდება ჰარის ჰუიზინგმა ვერ გამოიყენა.

როგორ ფიქრობთ, რა ჰქნა მატჩის შემდეგ ჰოლანდიელთა თავკაცმა, „ჰერენვენის" „სულიერ მამად" წოდებულმა ფოპ დე ჰაანმა? არც ჩვენ ვიცით, თუმცა ერთ ვარაუდს გამოთქვამთ. თამაშის წინ დე ჰაანს განუცხადებია: „ოლიმპიაკოსის" დამარცხების იმედი არ მაქვს, მაგრამ თუ სასწაული მოხდა და მოვიგეთ, გვარიანად გამოვთვრები".

გიორგი დარჯანია

	C ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	ვალენსია		2:1	1:0	7.11	6:2	12
2	ოლიმპიაკოსი	25.10		2:1	2:0	5:4	6
3	ლიონი	1:2	7.11		3:1	5:6	3
4	ჰერენვენი	0:1	1:0	25.10		2:6	3

რეინჯერსი 0:0 გალათასარაი

რეინჯერსი: კლოსი, რეინა, ვიდმარი (უილსონი 71), კონტერმანი, პორინი, კანჩელსკისი, ფერგიუსონი, თუგაი, ალბერტაცი, რ. დე ბური, ლოვენკრანდსი (მაკკანი 55)

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

გალათასარაი: ტაფარელი, პოპესკუ, ბიულენთ ქორქმაზი, ფათიჰი, ბიულენთ აქინი, ჰაქან უნსალი, დავალა უმითი, ჰაჯი (ოკანი 71), ერგუნი, ფარდელი (მარსიო 86), ჰასან სასი

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

49 603 მაყურებელი

უსაზიზღრესი — აი, ასე თუ შეფასდება სამშაბათს გლაზგოს „აიბროქსზე" გამართული ამ მატჩის პირველი ტაიმი. მართლაც საცოდავი იყო სტადიონზე მისული 50 ათასამდე გულშემატკივარი, რომელიც თავსხმა წვიმასაც არ მოერიდა და თავის გუნდს გვერდით დაუდგა.

მთელი პირველი ტაიმი ისე გაილია, ერთი სახიფათო მომენტი რაა, ისიც არ შექმნილა. კლოსი და ტაფარელი ძელებს შორის უსაქმოდ იდგნენ და 20 ფეხბურთელის ტანჯვა-წამებას შეჰყურებდნენ. გლაზგოელთა თავდასხმის ინერტულობა კიდევ შეიძლება გაიგოს კაცმა, „რეინჯერსს" ხომ ყველა მთავარი მეგოლე აკლდა: ჰოლანდიელები ვან ბრონკჰორსტი და მოლსი, ინგლისელი როდნი უოლესი და სქოთთა პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი ბილი დოდსი ტრავმირებულნი იყვნენ. ამიტომაც იყო, რომ მასპინძელთა თავკაცს, დიკ ადვოკაატს თავდასხმაში ბევრისთვის უცნობი 20 წლის დანიელის, პეტერ ლოვენკრანდსის გაშწესება მოუხდა. არ გაუმართლა მწვრთნელს და იძულებული გახდა, მეორე ტაიმის დასაწყისში ეს ფეხბურთელი შეეცვალა. მის ნაცვლად მინდორზე ნილ მაკკანი გავიდა. ჰოდა, მთელი 35 წუთი „რეინჯერსი" ნომინალური თავდამსხმელის გარეშე თამაშობდა. მიუხედავად ამისა, მასპინძლებს მაინც უნდა მოეგოთ. ბოლო წუთებზე თურქების კართან რამდენიმე ძალიან სახიფათო მომენტი შეიქმნა, თუმცა სტუმართა ბრაზილიელი მეკარე, შოფლიოს ჩემპიონი კლაუდიო ტაფარელი შეუვალი გახლდათ. მან ჯერ ბარი ფერგიუსონი გააწბილა, როცა შორიდან მოჭრილად დარტყმული ხარიხის ქვემოდან გამოაძრო, მერე „რეინჯერსის" თურქ ლეგიონერ თუგაის აუღო, ბოლოს კი დე ბურის ჩაწოდებულზე მაკკანის ხუთიოდე მეტრიდან თავით დარტყმული სასწაულებრივ მოიგერია. ამას „გალათასარაიმ" სულ ვერაფრით უპასუხა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ თურქთა რუმინელმა მწვრთნელმა დისკვალიფიკაციამოხდილი გეორგე ჰაჯი და გუნდის უპირველესი მეგოლე ჟარდელი შეცვალა, თუმც არც მათ შემცველებს გამოუდვიათ თავი. საბოლოოდ შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა, რითაც „რეინჯერსმა" მნიშვნელოვნად გაირთულა ჯგუფიდან გასვლის საქმე.

„ბოლომდე ვიბრძოლეთ, ბურთსაც ვაკონტროლებდით, შანსებიც გვქონდა, მაგრამ... აშკარად მეტს ვიმსახურებდით, უმაყოფილო ვარ. ნაღდია, მატჩის შედეგზე გავლენა გუნდის ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელის არყოფნამაც მოახდინა — წუხდა ნამატჩევს დიკ ადვოკაატი, რომელიც უკვე მომავალ კვირაში ავსტრიაში გასამართ შეხვედრაზე ფიქრობს — გრაცში კიდევ ერთხელ დამტკიცდა „შტურმის" სიძლიერე: ჯერ იყო და ავსტრიაში „გალათასარაი" 0:3 განადგურდა, დღეს კი იქ „მონაკომ" წაგო. უკვე ვიცი, რაოდენ რთული მატჩი გველის მომავალ ოთხშაბათს".

მისგან განსხვავებით, თურქთა მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ კარგ ხასიათზე იყო, გლაზგოში აღებულმა ქულამ „გალათასარაი" ძალიან გაახარა. „კმაყოფილი ვარ. ასეთ გუნდთან გასვლაზე თამაში ყველას უჭირს, ამიტომაც ფრემ გამახარა. როგორც ჩანს, ჩვენი ჯგუფი ინტრიგას ბოლომდე შეინარჩუნებს" — თქვა რუმინელმა მწვრთნელმა.

შტურმი 2:0 მონაკო

1:0, 2:0 შობი (40, 88)

შტურმი: სიდორჩუკი (შიკლგრუბერი 83), პოპოვიჩი (პრილასნიგი 59), მამედოვი, ნოიკირხნერი, შობი, შუბი, რაინმაიერი (შტრაფნერი 70), ფლურკინი, კორსოში, ვასტიჩი, კოციანი

მწვრთნელი: ივიცა ოსიმი

მონაკო: პორატო, ფურიეტი, კრისტენვალი, ირლი, კონტრერასი, ფიული, ჯეტუ, დაბო (ბონალი 46), გალიარდო, სიმონე, პრსო (ელუა 83)

მწვრთნელი: კლოდ პუელი

მსაჯი: გრაციანო ჩეზარი (იტალია)

15 400 მაყურებელი

ძალიან უცნაური გუნდია ეს თქვენი „შტურმი". გრაცელებს შეუძლიათ, გლაზგოში 0:5 წააგონ „რეინჯერსთან", ცოტა ხანში შინ გადაუარონ „გალათასარაის" — 3:0. მერე ისევ 0:5 შერცხვნენ საფრანგეთში „მონაკოსთან" და სამ კვირაში შინ თავად დაიბრიყვონ ეს ფრანგული გუნდი.

„შტურმს" გუშინწინდელი მატჩისთვის ერთბაშად ხუთი ტრავმირებული ფეხბურთელი დაუბრუნდა. სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, შუბი, ვასტიჩი და კოციანი ძირითადშივე გამოჩნდნენ. მასპინძლებმა ლაღად დაიწყეს თამაში და შესვენებამდე ასევე გააგრძელეს. პორატოს კართან წამდაუწუმ იქმნებოდა საგოლე მომენტი. სტუმართა მეკარე ყველას გაუმკლავდა, ერთის გარდა — 39-ე წუთზე კოციანის სახიფათო დარტყმული კი მოიგერია, მაგრამ შობის დამატებულთან ვერაფერი გააწყო.

მეორე ნახევარში სიტუაცია შეიცვალა. ანგარიშში ჩამორჩენამ „მონაკო" შეტევაზე დაგეშა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა. არადა, მომენტები ჰქონდა. ჯერ იყო, სიმონემ გაარტყა ძელს, მერე კი პრსომ ვერ გამოიყენა ორი მომენტი — ორჯერვე სიდორჩუკმა აჯობა, რომელიც მატჩის მიწურულს ისევ დაშავდა, ამჯერად კიდევ უფრო მძიმედ და შიკლგრუბერმა, როგორც ვარაუდობენ, მისი ადგილი ორი თვით მაინც დაიკავა.

88-ე წუთზე „შტურმმა" მორიგი კონტრშეტევა განახორციელა. ფლურკინმა ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი ისევ შობმა იმარჯვა და თავით 2:0 გახადა. შეხვედრასაც წერტილი ამით დაესვა.

შობს, კარგის გარდა, ცუდი ამბავიც შეემთხვა: პირველ ტაიმში სრულიად უაზრო ვითარებაში ყვითელი ბარათი მიიღო და ახლა დისკვალიფიკაციის გამო მომავალ ტურში „რეინჯერსთან" მინდორზე ვერ გავა.

„ვცდილობდი, დღეს გაფრთხილება არ მიმეღო, მაგრამ მაინც ვერ გადავრჩი. არა უშავს, „შტურში" უჩემოდაც ძლიერია და ამას მომავალ კვირაშივე დაამტკიცებს" — მაინც იმედიანადაა მარკუს შობი.

ვანო ოძროგირიძე

REUTERS გლაზგოდან

რეინჯერსი — გალათასარაი 0:0. გლაზგოელთა გერმანელმა ლეგიონერმა იორგ ალბერტაცმა თურქი ჰასან სასი იოლად გააცურა

	D ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	გალათასარაი		3:2	7.11	3:2	6:7	7
2	რეინჯერსი	0:0		5:0	7.11		
3	შტურმი	3:0	25.10		2:0	5:10	6
4	მონაკო	25.10	0:1	5:0		7:6	3

ვინ გააღვიძებს ლომს

მაითი მაუსის
მორიგი გაუჩინარება

ყველამ იცოდა, რომ ის არ არის ჭკვიანი ტაქტიკოსი. ყველამ იცოდა, რომ ეს კაცი კრიტიკულ ვითარებაში ვერ ერევა საკუთარ თავს და სადღაც გარბის. ყველამ იცოდა, რომ მას ემოცია მართავს და არა თვისი გონება. ისიც ცნობილი იყო, რომ თუ მოუგია რაიმე, როგორც მწვრთნელს, მხოლოდ დაბალ ლიგებში. „ნიუკასლიდან" საერთოდაც გაიქცა, როცა 12-ქულიანი ლიდერობა დაკარგა თავისი ზედაპირული მწვრთნელობის გამო და ჩემპიონობა „მანჩესტერს" გადაულოცა.

ყველამ იცოდა და მაინც დანიშნეს.

რადგან ის კევინ კიგანი იყო — ერთადერთი ინგლისელი მოთამაშე, რომელიც ორჯერ გახდა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი. ის დანიშნეს იმიტომ, რომ კარგი კაცია, დიდი ფეხბურთელი იყო და მთელს ინგლისს გულწრფელად უყვარს, მათ შორის ფეხბურთელებსაც. მასზე კარგი მოტივატორი ძნელი საპოვნელი იყო.

ის დანიშნეს, მაგრამ სინამდვილეში ის ხალხმა აირჩია. და არავის უფიქრია, რომ სანამ მწვრთნელობას დაიწყებდა, 8 წელიწადს ესპანეთში ცხოვრობდა, გოლფის თამაშით ერთობოდა და ფეხბურთისა არაფერი იცოდა.

მისმა ერთგულმა ფანებმა „უემბლის" უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ უსტვინეს და მძიმედ მოსათმენი რაშეები დაუძახეს. ოც წუთში საშხაპესთან მდგომი კიგანი გადადგა.

არ გაჭრა ასოციაციის თავკაცის ადამ კროზიეს, კაპიტან ტონი ადამსისა და ვიცე-კაპიტან დევიდ ბექემის მუდარამ, ოთხ დღეში ფინეთში ვთამაშობთ და გუნდს ნუ დაგვინგრევო.

კიგანმა ტელეკამერების წინაშე თქვა: მე ცუდი ვიყავი, მე მივდივარ. ჩემს ოჯახთან ერთად. ფეხბურთიდან შორს.

ამით დამთავრდა.

გერმანელებთან მარცხი საბედისწერო იყო. პრესამ, რაც ორ წელიწადს ითმინა, ახლაღა ამოანთხია. პრესა მართალი იყო. კიგანი ძალიან ნერვიულობდა ამ მატჩის წინ. ამას პირადი დრამა დაერთო — თამაშამდე ათი დღით ადრე კევინს დედა გარდაეცვალა.

თამაშში კი მან დაარღვია ნაკრებისა და კლუბების მენეჯერებს შორის არსებული ჯანტლმენური პირობა: ათამაშა ტრავმირებული ფეხბურთელი — ბექემი.

თამაშის წინა დღეს მან გადაწყვიტა, დაშავებული სტივენ ჯერარდის ნაცვლად საყრდენ პოზიციაზე გარეთ საუთგეიტი ეთამაშებინა. ამან პოლ ინსი გაამხეცა, გუნდი კი დააბნია: საუთგეიტს კარიერაში არასდროს გაუწევია ეს ფუნქცია...

შედეგი სახეზეა და კიგანი გაქრა.

დროებით თუ დიდხანს

წამხდარ ინგლისის ნაკრებს ფინეთში „ლიდსის" ყოფილი მწვრთნელი, უჯიგრო, უსისხლო და უფერული ფეხბურთის დიდმოხელე ჰოვარდ უილკინსონი გაუძღვა. მან ექვსი მოთამაშე შეცვალა, ოუენი სკამზე დასვა და ფინეთიდან ქულა და რეი პარლოუს ჩაუთვლელი „ა-ლა ჰერსტის" გოლი ჩამოიტანა.

დროებითი მწვრთნელობა, სულ ორი ამხანაგური მატჩით, „ნიუკასლის" მხცოვან მენეჯერ ბობი რობსონს სთხოვეს, მისი თანაშემწეობა კი — ლესტერელ პიტერ ტეილორს.

ორივე თანახმაა და ახლა საკლუბო სამუშაოსთან შეთავსების ამბავი წყდება. რობსონი რვა წელიწადს წვრთნიდა ნაკრებს და ინგლისში ყველაზე გამოცდილ და მცოდნე ინგლისელ მენეჯერად ითვლება. ტეილორი ჭაბუკების თავკაცი იყო და გლენ ჰოდლს ეროვნული გუნდის გაწვრთნაში ეხმარებოდა. მის ხელში ახალგაზრდულს არ წაუგია. გადაყენეს გაუგებარი მიზეზით, იმავ უილკინსონთან კონფლიქტის გამო. და საერთოდ, ტეილორს ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა ინგლისელ მენეჯერად მიიჩნევენ და მომავალში ნაკრების მწვრთნელობასაც უწინასწარმეტყველებენ.

მაგრამ ეს დროებითი ამბავია. შესარჩევ ჯგუფში ინგლისი ბოლო ადგილზეა და მწვრთნელი სასწრაფოდაა საპოვნელი. თანაც ისეთი, კარგა ხნით რომ დაიკავებს პოსტს. თუნდაც ორი წლით, სანამ უკვე „დიდ კანდიდატთან" მოლაპარაკებები გაიმართება და ინგლისი დიდ მიზნებს შეეჭიდება. ასეთია ადამ კროზიეს გეგმა, თუმცა ისიც არ არის გამორიცხული, „დიდი კანდიდატი" ამ დღეებშივე გამოჩნდეს.

უცხოელი?

კროზიე შავ დღეშია.

ნაკრების ახალი მწვრთნელის ძებნაში მთელი ერი ჩართულა. არის ერთი ინტერაქტიული გამოკითხვები და მთელი ამბავი. ბუქმეიკერებმა თორმეტ კანდიდატზე გამოაქვეყნეს ფსონები. ფავორიტი (3-1) ტერი ვენეიბლზი იყო, აუტსაიდერი კი — რიი ჰოჯსონი (66-1).

მაგრამ ეს ტოტალიზატორია და კროზიესა და საერთაშორისო საქმეთა ექსკაციან კომიტეტს თავის ტკივილს არ ურჩენს. სწორედ ამ შვიდმა კაცმა უნდა აირჩიოს ახალი მესაჭე.

მედია მეტად კრიტიკულია და უფრო უცხოელი მწვრთნელის გამოძებნას ითხოვს. კანდიდატთა სიაში უმუშევრად დარჩენილი მარჩელო ლიპი და „ლივერპულის" თავკაცი ჟერარ ულიეც კი არიან. ოტმარ ჰიცფელდიც სასურველი იქნებოდა, მაგრამ გერმანელების წინააღმდეგ როგორ ვენდოთო — ხითხითებენ გაზეთები. გუშინწინ „დეილი მირორი" ბერტი ფოგთსაც შეეხმიანა, ამან კი განაცხადა: „თუ ფეხბურთის ასოციაციამ შემომთავაზა, სიამოვნებით ვიმუშავებ ინგლისის ნაკრებში. ეს ჩემთვის უდიდესი პატივი იქნებოდა. ამაზე სერიოზულად ვფიქრობ."

ყველაზე სასურველი უცხოელი ორია და ორივე ფრანგი: მეთოფეთა თავკაცი არსენ ვენგერი და ახლა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში მომუშავე ემე ჟაკე, მსოფლიოს ჩემპიონების მენტორი.

კროზიე თავად სქოთია და უცხოელის პრობლემა არ აღელვებს. გულით უნდა, რომ მის ხელში ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს, ამიტომ ხშირხშირად ახსენებს ჟაკეს.

ვენგერმა კი განაცხადა, რომ ბედნიერია „არსენალში" და ამგვარ შეთავაზებას არ მიიღებს. თანაც მას კონფლიქტი აქვს ასოციაციასთან, რომელმაც წინა კვირაში 12-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. ფრანგიც სასამართლოში უჩივის დისციპლინარულ კომიტეტს. მოკლედ, ლანკასტერ გეიტთან (ქუჩა, სადაც ასოციაცია მდებარეობს) ცხელა.

და არის კიდევ ერთი უცხოელი, რომლის ნაკრების საჭესთან ყოფნაც კროზიეს გაახარებდა: ორმა სქოთმა ინგლისური ფეხბურთი ავაღორძინოთო. სამწუხაროდ, ალექს ფერგიუსონი არასოდეს ჩაუდგება სათავეში ინგლისის ნაკრებს.

კროზიემ თქვა, ფერგის უნდა დავეკითხო, ვინ მიაჩნია საუკეთესო კანდიდატადო. გასულ უქმეებზე სერ ალექსის პასუხმა არ დაგვიანა:

„ინგლისის ნაკრების მწვრთნელს სამი რამ მოეთხოვება. პირველი — ის ინგლისელი უნდა იყოს, ამიტომ უცხოელის ძებნას თავი დაანებეთ; მეორე — ის დიდი საერთაშორისო გამოცდილების მწვრთნელი უნდა იყოს; და მესამე — მას უნდა ერქვას..."

ტერი ვენეიბლზი

კიგანის გადადგომის საღამოსვე ჩატარებულმა პირველივე ინტერაქტიულმა გამოკითხვამ უჩვენა, რომ ხალხის რჩეული კანდიდატი ტერი ვენეიბლზია. ეს სამოცს მიტანებული კაცი ბოლოს ავსტრალიის ნაკრებს წვრთნიდა, ახლა კი ნაირგვარ ტოკ-შოუებში ჩანს და ღამის კლუბი აქვს ლონდონში.

ვენეიბლზის დიდ გამოცდილებას ზურგს ისიც უმაგრებს, რომ უცხოეთში უმუშავია („არსენალნას" წვრთნიდა და ჩემპიონთა თასის ფინალი პენალტებით წააგო „სტიაუასთან") და ნაკრების მენეჯერიც ყოფილა (ამ პოსტზე ერთადერთხელ წააგო ამხანაგური ბრაზილიასთან და კიდევ პენალტებით გერმანიასთან ევრო 96-ის ნახევარფინალში).

ტერი ვენეიბლზს მტერიც ბლომად ჰყავს და მოყეთეც

ესეც არ იყოს, ვენეიბლზი ნამდვილ სახალხო მოღვაწედ ითვლება. მას დიდ პატივს ცემენ ფეხბურთელები, რომელთაც არაფერს უშლის და რომელთაც აბეზარი პრესისგან ყოველთვის იცავს. ვენეიბლზს ჰყავს რამდენიმე ფავორიტი მოთამაშე, რომლებიც „ტოტენჰემში" მისი მენეჯერობისას ამობრწყინდნენ. ამ მოთამაშეთა ჩამოთვლა იოლად მიგახვედრებთ, თუ როგორი ფეხბურთი უყვარს ტელს (ტელ — მისი მეტსახელია): ტედი შერინგემი, დარენ ანდერტონი, ნიკ ბარმბი და პოლ გესქოინი.

ვენეიბლზის სახალხო და ბუქმეიკერული ფავორიტობა სამ დღეს გაგრძელდა. ამ სამ დღეში გაზეთებმა კარგად განუმარტეს ერს, რომ იმ ექვსკაცა კომიტეტში, რომელიც კროზიესთან ერთად მისცემს ხმას ახალ მწვრთნელს, სამი ვენეიბლზის ძველი მტერია, ერთი კი იმ სამ დაუჭერს მხარს. ასე რომ, კანდიდატურა ვერ გავა.

გასული კვირის სამშაბათიდან კი ახალი ფავორიტი გამოჩნდა.

სასწორზე

თუკი საერთაშორისო და სანაკრებო გამოცდილებაზე მიდგება საქმე, რიი ჰოჯსონს სამი კაცი თუ შეედრება ინგლისში. ეს მან ათამაშა შვეიცარიელებს თანამედროვე ფეხბურთი და მილანის „ინტერშიც" ნაბიჯი დააკლდა ევროთასის მოგებამდე.

ჰოჯსონის ბოლო თანამდებობა უიღლო გამოდგა — „ბლეკბერნში" საქმე აერია, გადადგა და იმ წელიწადს გუნდი პრემიერლიგიდან გავარდა. ამის მიუხედავად, ჰოჯსონის რეპუტაცია და კვალიფიკაცია მეტად მაღალია. ეს არის მხოლოდ, რომ ცხელ გულზე არავის გახსენებია, ვინაიდან მისი ქარიზმა შეუდარებლად მკრთალია, ვიდრე ვენეიბლზისა.

მაგრამ ჰოჯსონს მტრები არ ჰყავს.

პორტუგალიაში დასასვენებლად მყოფმა ვენეიბლზმა ჟურნალისტებს უთხრა, რა ვთქვა, რაც არ ვიცი, ჩამოვალ და უკეთ შევისწავლი საკითხსო.

ბოლო მომენტამდე ასე იყო, რომ მთელმა ინგლისმა იცოდა: 70 წლის ნოელ ვაიტი, „ლივერპულის" ლეგენდარული ექს-თავმჯდომარე, ვენეიბლზის პირადი მოქიშპეა და მის ნაკრებიდან წასვლაში ლომის წილი უდევს. ისე, მწვრთნელად უცხოელიც არ უნდა, ამიტომ, თუ რამეა, მხარს ჰოჯსონს დაუჭერს; 57 წლის დევიდ რიჩარდსი „შეფილდ უენსდის" ყოფილი თავმჯდომარეა, ვაიტისა და ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარის, ჯეფ ტომპსონის ახლო მეგობარი, ამიტომ მისი ხმა ვაიტის ხმაა; დევიდ დინიც 57 წლისაა, ძველი საფეხბურთო მოღვაწე და „არსენალის" მმართველი. ძულს ჯორჯ გრემი, გრემი კი ვენეიბლზის მეგობარია. ამიტომ ვაიტის მხარეს დაიჭერს; „ლიდსის" 48 წლის თავკაცი პიტერ რიდსდეილი კოლეგებში ყველაზე პროგრესულ კაცად ითვლება, მაგრამ მის გადაწყვეტილებას ვენეიბლზ-ვაიტის კონფლიქტი სათუოს ხდის.

ვენეიბლზის კანდიდატურას ალბათ მხარს დაუჭერენ ზემოთ ნახსენები უილკინსონი და დევიდ დევისი — BBC-ის ყოფილი რეპორტიორი, ასოციაციის პრეს-მდივანი, გლენ ჰოდლის მეგობარი და მისი წიგნის თანაავტორი.

თავად ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი ადამ კროზიე ჯერჯერობით დუმს, თუმცა ამ ექვს კაცთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ამბობენ, რომ მას ვენეიბლზი ურჩევნია, ოღონდ ამ პოზიციისთვის საყრდენი სჭირდება.

და მეტი რაღა უნდა?

ამჟამად პორტუგალიის მზის ქვეშ ჩაფიქრებული ტერი ვენეიბლზის უკან დგას ინგლისური ფეხბურთის ყველაზე მძლავრი ფიგურა.

გასულ კვირას სერ ალექს ფერგიუსონმა უთხრა მედიას:

„და მესამე — ამ კაცს აუცილებლად უნდა ერქვას ტერი ვენეიბლზი".

ირაკლი გამყრელიძე

ესპანურმა „სელტამ" გადაწყვიტა, ბელგრადში ჩავიდეს და უეფას თასის შეხვედრა „ცრვენა ზვეზდას" თავისივე სტადიონზე ეთამაშოს. შეგახსენებთ, რომ იუგოსლავიაში შექმნილი არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციის გამო უეფამ წინა ეტაპის მატჩის ბელგრადში გამართვა აკრძალა და „ცრვენა ზვეზდა" ინგლისურ „ლესტერს" ვენაში, ნეიტრალურ სტადიონზე ეთამაშა. მართალია, ვიგოური კლუბი თანახმაა იუგოსლავიაში სტუმრობაზე, მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც უეფას ეკუთვნის.

იტალიური „მილანი" მწვრთნელ ალბერტო ძაკერონისთან კონტრაქტის გახანგძლივებას აპირებს. ამას წინათ გავრცელებული ინფორმაციით, სპეციალისტი შეთანხმების ვადის დასრულების შემდეგ „სან სიროდან" წასვლას აპირებდა, თუმცა მილანური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა: „როგორც წესი, გუნდი კონტრაქტის გაგრძელებაზე მოლაპარაკებებს შობამდე არ იწყებს, თუმცა თუ ძაკერონის სურს, გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია. კარგია, თუ იგი ჩვენთან კიდევ ორ წელიწადს დარჩება." შეგახსენებთ, რომ 47 წლის მწვრთნელი „მილანში" 1998 წელს „უდინეზედან" მივიდა და 1999 წელს გუნდს იტალიის ჩემპიონობა მოაპოვებინა.

ესპანეთის ჩემპიონ „დეპორტივოს" კაპიტანი ფრანი ტრავმის გამო დაახლოებით ექვს კვირას ვერ ითამაშებს. ნახევარმცველი წინა შაბათს მადრიდის „რეალთან" შეხვედრაში დაშავდა. კლუბში ერთი სასიხარულო სიახლეცაა — ბრაზილიელმა ჯალმინიამ კუნთის ტრავმა მოირჩინა და ალბათ მალე მინდორზეც გამოჩნდება.

იტალიელი მცველის, პაოლო კანავაროს შეიენა „ვერონას" სურს. „სკუადრა აძურას" წამყვანი მცველის, ფაბიოს ძმა 19 წლისაა და „პარმაში" ირიცხება. არ არის გამორიცხული, უმცროსი კანავარო სათამაშო პრაქტიკის მისაღებად „ვერონაში" დროებით გაანათხოვროს, თორემ ჯერ „პარმას" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, გუნდიდან საბოლოოდ გაშვება კი მწვრთნელ ალბერტო მალესანის არ სურს.

იუგოსლავიელი მცველი მიროსლავ სავიჩი ალბათ კლუბს გამოიცვლის და სალონიკის „არისიდან" ბულგარეთის ჩემპიონ სოფიის „ლევსკიში" ჩაირიცხება. კლუბებს შორის შეთანხმება მიღწეულია, თუმცა დეტალები არ გაცხადებულა. სოფიური გუნდიდან კი ბულგარეთის ნაკრების მცველი პრედრაგ პაჟინი წავიდა. ივი სავარაუდოდ თურქულ „ქოჯაელისფორთან" გააფორმებს კონტრაქტს.

ბრაზილიის ჩემპიონატში სან პაულუს" მეკარე როჟერიო რენიმ ჯარიმიდან გოლი გაიტანა და თავის გუნდს „ინტერნასიონალთან" შეხვედრაში ქულა მოუპოვა. ამ გოლკიპერმა, ლუის ჩილავერტის მსგავსად ჯარიმები და პენალტები ზმირად რომ გააქვს, კარიერაში უკვე მე-19 გოლი შეაგდო.

შოტლანდია

გამოტოვებული მატჩი

სენტ ჯონსტონი 0:2 სელტიკი

0:1 ვალგარენი (42), 0:2 ლარსონი (86)

გაძეგება: მალკოლმი (83, სენტ ჯონსტონი)

სელტიკი	11	10	1	0	26:8	31
ჰიბერნიანი	11	8	2	1	20:5	26
რეინჯერსი	10	7	1	2	21:13	22
კილმარნოკი	11	6	2	3	14:11	20
ჰარტსი	11	4	4	3	17:11	16
დანდი	11	4	4	3	14:10	16
აბერდინი	10	2	5	3	11:13	11
სტ. ჯონსტონი	11	2	5	4	9:17	11
დანფერმლაინი	11	2	3	6	8:17	9
მოზერუელი	11	2	2	7	9:15	8
სენტ მირენი	11	2	1	8	6:16	7
დანდი იუნ.	11	0	2	9	6:25	2

დიდი მუქთისტი

მოხერხებული და ჭკვიანი კაცია ფაბიენ ბარტეზი. 29 წლის ბიჭის კვალობაზე მთლად მოთავებული აქვს ყველაფერი: მზეთუნახავი ლინდა ევანგელისტა მისი გოგოა, შეკვეთილი „ვოლვო“ გარაჟში უყენია, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები კი კედელზე უკიდია. ახლა მსოფლიოს უმდიდრესი კლუბის კარშიც დგას და მეტი რა მოასწროს?

ოღონდ ეგ კი არის, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ გვარიანად ძვირი უჯდება მელოტი ფრანგის შენახვა. საქმე ისაა, რომ სანამ ბარტეზი სახლს შეარჩევდა და იყიდდა, თვეები გავიდა. როგორც იქნა, ფაბიენმა სახლი შეარჩია და 750 ათასი გირვანქაც გადაიხადა. სახლი კი არა, სასახლეა — ჩეშირში დგას და ბექემიანთ მამულს თვალს უბრმავებს. ახლა მოწყობა და მთელი ამბავი... მოკლედ, დეკემბრის ბოლომდე ლინდა იმ სახლის სამზარეულოში თეფშებს ვერ გარეცხავს.

და სად ცხოვრობენ ბარტეზ-ევანგელისტები მთელი ამ დროის განმავლობაში? რა თქმა უნდა, სასტუმროში. მათ აპარტამენტში ყველაფერია: ფაქსი, სატელიტი, ორი სართული, ოთხი სატელეფონი ნომერი და ასე დაუსრულებლად. ეს ხუთი ვარსკვლავი კი „მანჩესტერ იუნაიტედს“ უკვე 91 ათასი გირვანქა უზის. დიახ, ბარტეზისთვის ყველაფერი უფასოა. ასე იცის მსოფლიოს ჩემპიონობამ და კაი ბიჭის სახელმა.

მაგრამ ეს მანჩესტერული სიმუქთის დასასრული არ არის. ხომ გახსოვთ, ბარტეზმა თავის პირველ აქაურ ვარჯიშზე ორი საათი რომ დაიგვიანა? მიზეზი ინგლისური გზების არცოდნა იყო — ფაბიენმა თავისი „ვოლვო“ ლივერპულში შეაგელვა და „ენფილდის“ ადგილას ჯიუტად ეძებდა „ოლდ ტრაფორდს“.

ამის შემდეგ ისედაც მუქთისტმა მეკარემ აიჩემა, ინგლისურ გზებს ალღო ვერ ავუღე და ასე ვერ ვივლიო. კლუბმაც საგანგებო მუქთი ტაქსი გამოუყო, რომელიც სასტუმროს წინ დგას და ბარტეზს დაატარებს. ფრანგი ქალაქს არ იცნობს და 300 ნაბიჯზე მდებარე რესტორანშიაც კი ტაქსით დაიარება.

მეტი კომუნიზმი წარმოუდგენელია. დიდ ხალხს დიდი მუქთაც შეხვდებათ ხოლმე.

ირაკლი გამყრელიძე

REUTERS მაგანიდან

ალმაგროელი დანიელ ვალენსია, გილერმო კოპოლა და დიეგო მარადონა მოლაპარაკებისას

მარადონა ფიქრობს

არგენტინელთა პირველ დივიზიონში საცოდავად გამოიყურება ბოლოადგილოსანი „ატლეტიკო ალმაგრო“: ათ ტურში მხოლოდ ოთხ ფრეს გამორჩენია, დანარჩენი ექვსი კი წაუგია.

„ალმაგრო“ ბუენოსაირესული გუნდია და ჩემპიონატში ქალაქის იმ გარეუბანს წარმოადგენს, რომელიც გაჭირვებული ხალხითაა დასახლებული. გაჭირვებული უბნის გაჭირვებულ გუნდს აბა, რა შემოსავალი უნდა ჰქონდეს. არა, „ალმაგრო“ სახელოვან თანაქალაქელებს „რივერ პლეიტსა“ და „ბოკა ხუნიორსს“ არ ედრება და ოდენ წელში გამართვასა და დივიზიონში დარჩენაზე კი ფიქრობს. მაგრამ როგორ? ძლიერი სპონსორი? ვის სჭირდება წყალწაღებული „ალმაგრო“. საუკეთესო მწვრთნელი? სად, ქოხმახებით გარშემორტყმულ სტადიონზე? მოკლედ, რაღაც განსაკუთრებულია საჭირო, გენიალური, იქნებ გიჟურიც.

გიჟი, გენიოსი, არგენტინა — ამ ჯაჭვს ერთი მიმართულებით მივყავართ, ჰავანისკენ. შეცდომა გამორიცხულია — მხოლოდ დიეგო არმანდო თუ შეძლებს შველას. მარადონას აგენტი გილერმო კოპოლა, რომლის სიტყვასაც მეტი ფასი აქვს, ვიდრე თავად მარადონას ნათქვამს, ამბობს: „დიეგო ფიქრობს, დიეგო დაინტერესდა.“

მარადონა მართლაც ფიქრობს. მას ძალიან უნდა მწვრთნელობა. რამდენი იძახა, სიამოვნებით ვიმუშავებდი „რეალში“, „მანჩესტერში“, „იუვენტუსში“, „ბარსელონაში“, ან „ბოკა ხუნიორსშიო“, მაგრამ ვინ მოუსმინა. გრანდებს მარადონასნაირები არ სჭირდებათ, თორემ ერთხელაც აღმოაჩენენ, რომ გუნდი კოკაინით გაბრუებულ მწვრთნელს უფსკრულის პირას მიუყვანია.

„ალმაგრო“ კი? „ალმაგრო“ უკვე დგას უფსკრულთან და მარადონათი თუ უიმისოდ ისედაც გადაიჩეხება, მაგრამ სადაც ლოგიკა და პროფესიონალიზმი უძლურია, ეგებ ჩეგევარას პორტრეტამოსვირინგებულმა დიეგო არმანდომ რაღაც გაახერხოს? გუნდს თუ ვერ აათამაშებს, ხალხს ხომ მაინც მიიზიდავს. გინდ „ბოკა“ და „რივერი“ თამაშობდნენ, ქომაგს თვალი მაინც იქით გაექცევა, სადაც სათადარიგოთა სკამზე მარადონა იჯდება.

მაგრამ ნაკრები? აკი არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ახლახან საქვეყნოდ განაცხადა, ოღონდ დიეგომ ისურვოს და იმ დღესვე დავნიშნავ მარსელო ბიელსას თანაშემწედო. სასაცილოა პირდაპირ — სად დიეგო და სად თანაშემწეობა. ის მუდამ ლიდერი იყო და ახლაც ლიდერობა სურს. ოღონდ სანამ „რეალის“, „მანჩესტერის“, „იუვენტუსის“, „ბარსელონას“ ან „ბოკა ხუნიორსის“ ჯერი დადგება, ჯანდაბას, იყოს „ალმაგრო“.

მარადონა ფიქრობს, მარადონა დაინტერესდა.

გიორგი დარჯანია

ნისიად მოთამაშე ფეხბურთელი

კიკოს აფასებენ და... არ ათამაშებენ

„ბარსელონაში“ ასეთი გვარდიოლაა, „რეალში“ — რაული... თავისი კერპი უიღბლო „ატლეტიკოს“ ქომაგებსაც ჰყავთ — კიკო, ესპანეთის ნაკრების ყოფილი წევრი, რომელიც „ატლეტიკოში“ 20 წლისა მივიდა და უკვე რვა სეზონია, იქაა. თუმცა ყოფნაც არის და ყოფნაც. რეალელი მანუელ სანჩისვით ცოცხალ ლეგენდობას კიკოს თამაში ურჩევნია, არადა, არ ათამაშებენ. მუხლის მძიმე ტრავმის შემდეგ, რომელმაც ფეხბურთელს თითქმის მთელი წინა სეზონი გააცდენინა, მწვრთნელები მას აღარ ენდობიან. ბოლო 15 წუთი — ესაა მისი შესაძლებლობების ზღვარიო, ფიქრობდა ფერნანდო სამბრანო და ფიქრობს ახალი მწვრთნელი მარკოს ალონსო. ისინი არად აგდებენ ქომაგთა ხმაშეწყობილ მოთხოვნას: „კიკო, კიკო!“

კიკო „ატლეტიკოში“ უხელფასოდ თამაშობს. მას შემდეგ, რაც ხესუს ხილმა კლუბის სალარო დააცარიელა, ხოლო „ატლეტიკო“ მეორე დივიზიონში დაქვეითდა, კიკომ ჯამაგირზე უარი თქვა — აი, კიდევ ერთი საბაბი მისგან კერპის შექმნისა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხილი ფეხბურთელს დაჰპირებია, პრიმერადივიზიონში დავბრუნდებით და რასაც დაგაკლებ, უკლებლივ აგინაზღაურებო (კიკოს ხელფასი კი წელიწადში 128 მილიონი დოლარი იყო). კიკოს ფეხბურთელის კარიერის დასრულების მერე „ატლეტიკოს“ დირექტორატშიც ჰპირდებიან ადგილს. დაპირება კარგია, მაგრამ როდის გადავა „ატლეტიკო“ უძლიერესთა დივიზიონში? ასეთი თამაშით კარგა ხანს მოუწევს ლოდინი.

კიკოს კი არ ათამაშებენ. „მწვრთნელს ვუთხარი, რომ ლოდინი არ შემიძლია — თქვა ფეხბურთელმა — გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შემიძლია. არადა, რა გამოდის? არც ხელფასს ვიღებ და არც მათამაშებენ. იძულებული ვხდები, სხვა კლუბი ვეძებო. მე ყველაფერი გავაკეთე „ატლეტიკოსთვის“ და თუ წავალ, ქომაგებთან საბოდიშო არაფერი მექნება“.

კიკოს „მილანი“ შეხმიანებია და რამდენიმე დღის წინ იტალიაშიც ჩასულა სამედიცინო შემოწმების გასავლელად. ექიმთა დასკვნა არცთუ სახარბიელოა — კიკოს მუხლი დამატებით მკურნალობას საჭიროებს. სჭირდება სილვიო ბერლუსკონის ფეხმტკივანი ფეხბურთელი? მილანელი პრეზიდენტი ფიქრობს, კიკო კი ჯერ ისევ „ატლეტიკოშია“.

გიორგი დარჯანია

დიდხანს არ უცდია

ძნელად თუ მოძებნით ფეხბურთელს, მოკლე დროში ოთხი კლუბი გამოეცვალოს. აი, ჟორჟ ვეამ კი მოახერხა. ჯერ „მილანიდან“ „ჩელსიში“ გაანთხოვრეს, თუმცა ლონდონურ კლუბში დიდხანს არ გაჩერებულა, იქიდან მანჩესტერისკენ აიღო გეზი და „სიტიში“ ჩაირიცხა. მერე „მეინ როუდზეც“ აიცრუა გული და თქვა, აქ აღარ გავჩერდებიო, მაგრამ უკლუბოდ არც ამჯერად დარჩენილა დიდხანს — ლიბერიელი ფორვარდი ამიერიდან მარსელის „ოლიმპიკის“ ღირსებას დაიცავს. ვეამ სამედიცინო შემოწმება გაიარა და ფრანგი ექიმების დასკვნით, იგი სავსებით ჯანმრთელია.

კონტრაქტით ლიბერიელი კლუბში სეზონის ბოლომდე უნდა დარჩეს, თუმცა გათვალისწინებულია, რომ მხარეების სურვილის შემთხვევაში შეთანხმება კიდევ ერთი სეზონით გახანგრძლივდება. იმედოვნებენ, რომ ჟორჟი მარსელელებს უკვე მომავალ ტურში დაეხმარება, როცა „ოლიმპიკი“ „ლილს“ უმასპინძლებს.

თავის დროზე ვეამ სახელი სწორედ საფრანგეთში გაითქვა. ჯერ „მონაკოში“ თამაშობდა, მერე „პარი სენ ჟერმენში“. „სიტისთან“ გაყრის შემდეგ ვეას იტალიაში, კერძოდ „ბოლონიაში“ და „პერუჯაში“ იწვევდნენ, მან კი „მარსელში“ თამაში არჩია. რამდენი ხნით, მხოლოდ მან იცის.

სტუმრად პუშკაშთან

ფერენც პუშკაში

მადრიდის „რეალის“ საპატიო პრეზიდენტი ალფრედო დი სტეფანო და კლუბის დირექტორი ამანსიო ამარო ბუდაპეშტში ჩავიდნენ — ლეგენდარულმა არგენტინელმა ბუდაპეშტის საავადმყოფოში ლეგენდარული უნგრელი ფერენც პუშკაში მოინახულა. „ცრემლები მომადგა — თქვა პუშკაშის მეუღლე ელიზაბეტმა — ორი ძველი მეგობრის შეხვედრა ყოველთვის ძალიან ამაღელვებელია, განსაკუთრებით კი ახლა, როცა ფერენცი ავადაა“. გუშინ ვწერდით, რომ 73 წლის პუშკაშს სკლეროზის რთული ფორმა აღმოაჩნდა.

რამდენადმე დამაიმედებელია პუშკაშის აგენტის, იოზეფ ბერკოვიჩის სიტყვები: „პუშკაშის მდგომარეობა, მისი ასაკის გათვალისწინებით, საკმაოდ კარგია. დიახ, მას ათეროსკლეროზი აქვს, მაგრამ ეს სიცოცხლისთვის საშიში არაა. ექიმები გამოკვლევას განაგრძობენ. მეტს ვერაფერს ვიტყვი. დეტალებზე საუბარი ოჯახს არ სურს და საერთოდაც, არაეთიკურია“.

ისევ დი სტეფანოს ვიზიტს მივუბრუნდეთ. რაზე ისაუბრა ორმა მეგობარმა, არ ამბობენ, თუმცა ძნელი მისახვედრიც არ უნდა იყოს. ალბათ გარდასულ დღეებზე, როცა მათი სახელების გაგონებაც კი შიშის ზარს სცემდა მეტოქეებს. ეგებ 1960 წლის ჩემპიონთა თასის ფინალიც გაიხსენეს, რომელშიც ფრანკფურტის „აინტრახტის“ კარში დი სტეფანომ სამი გოლი შეაგდო, პუშკაშმა — ოთხი.

გასახსენებელი სხვაც ბევრია: როგორ გახდნენ პუშკაში და უნგრეთის ნაკრები „უემბლიზე“ ინგლისელთა მძლეველი პირველი არაბრიტანელები, როგორ არ ჩათვალა ინგლისელმა მსაჯმა პუშკაშის გოლი 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, როგორ ითვლიდნენ სტატისტიკოსები მის გატანილ გოლებს და 1200-ზე შეჩერდნენ, ოკუპირებული უნგრეთიდან გაქცევა...

ამ დღეებში პუშკაშისადმი პატივისცემას ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ანხელ მარია ვილარიც დაადასტურებს ბუდაპეშტში ჩასვლით, ხოლო მისმა პირველმა კლუბმა „ჰონვედმა“ 10-ნომრიანი მაისურის სხვა ფეხბურთელისთვის გადაცემა სამუდამოდ აკრძალა.

გიორგი დარჯანია

სარბიელი
სპორტული ლატარია

BOOKMAKERS

CROCO

დროებით შეჩერდა კროკოს ბიუროს მუშაობა

ქუთაისში

მუშაობის განახლების თარიღი წინასწარ გამოცხადდება

გათუმში მალე კვლავ ამუშავდება კროკოს ბიურო ახალ მისამართზე: მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, ნაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

არაბი გოგოებისა და ფოთელი ბიჭის ამბავი

ARABI ZALIის ასკეტურობის ამბავი კარგად მოგეხსენებათ. დედამისის შვილია და უცხო მამაკაცს თვალებში შეხედოს, იქნებ გაროზგვაც არ აკმარონ. ამ ჩვენმა არაბმა სტიუარდესებმა კი მთლად აიშვეს და ყირაზე გადადიან. ისინი არაბული ავიაკომპანია „გალფეარის“ „ბოინგის“ სტიუარდესები არიან, ჩვენ კი იმათი მგზავრები, რომლებიც სიდნეის ოლიმპიური თამაშებიდან მოვფრინავთ. ღამით ავსტრალიის კონტინენტი მოვიტოვეთ, დილით სინგაპური და ახლა, შუადღისას ინდოეთის ოკეანის თავზე ვართ, მაგრამ სტიუარდესები ჩვენს ბრინჯაოსმედალოსან ოლიმპიელებს ჯერ კიდევ სიდნეის ცაში რომ აუცუნდრუკდნენ, მერე და მერე მთლად გადაირივნენ და აქამდე მათ დაშოშმინებას საშველი ვერა და ვერ დაადგა. ისინი ხან ერთ ჩვენს დაკუნთულ ბიჭს ამოაღებინებენ ჯიბიდან ოლიმპიურ მედალს და ხან მეორეს, მერე კი მათთან ერთად სამახსოვრო სურათებს იღებენ.

ჰოდა, არის ფოტოაპარატების ჩხაკუნი და ბლიცთა სხივების თვალისმომჭრელი ელვარება.

ეს შავტუხა, თვალებბრიალა გოგოები და ერთიც ჩრდილოულად ქერა განსაკუთრებით ვლადიმერ ჭანტურიას გადაეკიდნენ. ბოლოს ისე გაუთამამდნენ ამ ჩვენს მოკრივეს, რომ რიგრიგობით კალთაში უხტებიან, მის მედალს კისერზე იკიდებენ და გუგულებივით ჩახუტებულები სამახსოვრო სურათებს იღებენ. ეს ამბავი არც ერთ მხარეს სწყინდება და არც მეორეს. მერე, როგორც იქნა, სასაუბროდ დავიმარტოხელე ჭანტურია.

— ამ გოგოებმა, მგონი, ქართველ მკითხველზე უკეთ გაგიცნეს. ჩვენებურებმა ჯერჯერობით მხოლოდ ის იციან, რომ ფოთელი ხარ და ბრინჯაოს მედალი მოიპოვე.

— 1978 წლის 1 ივლისს დავიბადე. მყავს მშობლები და ძმა — ირაკლი. ისიც მოკრივეა, ჩემზე უმცროსი — 15 წლის, მაგრამ 100 კილოგრამზე მეტს იწონის.

— მერედა ფოთში მაგ წონის სპარინგპარტნიორი სადაა?

— ერთმანეთში ვჩხუბობთ.

— გიძლებს?

— გამირბის. მაგრად მირტყამო.

— როგორ ატყობ, იმისგან თუ გამოვა მოკრივე?

— უნდა გამოვიდეს.

— მამაც მოკრივე ხომ არ იყო?

— არა, მამა თავისუფალს ჭიდაობდა. საქართველოს მასშტაბით ჰქონდა გარკვეული წარმატებები.

— მამამ თავიდან ჭიდაობაზე ხომ არ მიგბარა?

— არა, კრივამდე აკადემიურ ნიჩბოსნობაზე დავდიოდი. იქ თავად მივედი და მთელი ოთხი წელიწადი ნიჩბებს ვუსმევდი. კარგი მონაცემები და დიდი იმედები მქონდა, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— სულ მპირდებოდნენ, აი, ახლა აქა და აქ წაგიყვანთ შეჯიბრებაზეო, მაგრამ უსახსრობის გამო საშველი არ დაადგა.

— სად ნიჩბოსნობა და სად კრივი? ნავიდან რინგზე რამ აგიყვანა?

— ბავშვობიდან ჩხუბი ძალიან მიყვარდა.

— როგორ, თანატოლების გალახვა გიყვარდა?

— არა, მაგრამ სიამოვნებით ვჩხუბობდი.

— ესე იგი, ჩხუბისთავი იყავი?

— როგორ გითხრა, ჩხუბისთავი არა, მაგრამ შემთხვევას ხელიდან არ ვუშვებდი და უკან არ ვიხევდი. მერე ტელევიზორში ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე მოკრივეთა შეჯიბრებას რომ ვუყურე, მოსვენება დავკარგე. იმის მერე ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლაზე ვოცნებობდი. კრივზე მამამ და სოზარ კულუამ მიმიყვანეს. უფრო სწორად, კულუა მამაჩემის მეგობარია და იცოდა ჩემი ამბავი. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში გამაჩერა და მითხრა, ხვალ ამა და ამ დროს ჩემთან მოდიო. დავპირდი, მაგრამ არ მივედი, მეოთხე ჯერზე კი ვიკადრე პირობის შესრულება.

— ერთია ქუჩური ჩხუბი და სულ სხვა რინგზე კრივი. კოჭებში მალე შეგატყეს, რომ შენგან მოკრივე დადგებოდა?

— სექციაში მივედი თუ არა, კულუამ ერთი კარგი ბიჭი გამომიყვანა. უკვე დამდგარი მოკრივე იყო. მასთან საჩხუბრად რინგზე პირდაპირ შარვლით ავედი და ერთი კარგად გავლახე. მწვრთნელი გადაირია, შენ რა მაგარი ვინმე ყოფილხარო. ის დღე იყო და ის, შევუბერე...

— აქამდე ყველაზე მაგრად სად „შეუბერე“?

— პირველად ახალგაზრდებში ესენგეს პირველობაზე გავიმარჯვე. ათენში ევროპის თასის ფინალში ვიბრძოლე. 1998 წელს ხორვატიაში არმიელთა პირველობაზე გავიმარჯვე, წლეულს სევასტოპოლში ოლიმპიური ლიცენზია მოვიპოვე.

— ამ წარმატებებიდან ყველზე მეტად რომელი გაგიხარდა?

— სევასტოპოლში გამარჯვება.

— რატომ?

— ჯერ ერთი, ოლიმპიური ლიცენზია მოვიპოვე, რითაც ოცნება ავისრულე, მეორეც, იქ პირველ წრეში იტალიელ ევროპის ჩემპიონ ფრაკოლისაც ვძლიე 5:0. მერე ასეთივე უპირატესობით დავამარცხე ბელარუსი სერგეი დიჩკო, რამაც ძალიან გამახარა, რადგან მან ევროპის ჩემპიონატზე ძლია ა ის მარცხი ძალიან მწარედ დამამახსოვრდა. ბოლოს ფინალში თურქ მუჰამედს პირველივე რაუნდში აშკარა უპირატესობით ვაჯობე.

— ოლიმპიური ბრინჯაოს მედლამდე ასამაღლებლად ამგვარი კარიერა საკმარისად არ გვეჩვენებოდა. მაინც, სიდნეში როგორი იმედით მიდიოდი?

— გულში გამარჯვებაზე კი ვფიქრობდი, მაგრამ არავინ დამხმარებია და სიდნეიში მოუმზადებელი წავედი. ჩემი სპორტული კარიერა მართლაც ცოტა შეჯიბრებას ითვლის. სასიდნეოდ ერთადერთი ოცდღიანი შეკრება მხოლოდ მას მერე მომიხერხეს, რაც ოლიმპიური ლიცენზია მოვიპოვე.









ეს ფოტოსურათები სიდნეის ოლიმპიურ რინგზე რომ გადაიღეთ, ვლადიმერ ჭანტურია— სულთანასმედ იბრაგიმოვის ბრძოლის ეპიზოდებს ასახავს. ამ შეხვედრას მგონი მთელი ქართული დელეგაცია დაესწრო. ჩვენმა მოკრივემ ბრძოლამდე კიდევ ერთხელ გამოხედა თავის ქომაგთ და დაიწყო... თუმცა, დანარჩენი ამ ინტერვიუ-ჩანახატშიც წერია

— ეს ოლიმპიური მედალი ალბათ ყველაზე მეტად ამ ბრძოლისთვის ხელსაყრელი მომენტები გამოიყენებინა. იბრაგიმოვი გამოცდილი მებრძოლია. რიტმს კარგად გრძნობს და დარტყმებიც ძლიერი აქვს. თვითონ არ გაიხსნა, ფრთხილი და მოზომილი იყო. გულწრფელად გეტყვით, რომ ასეთ მეტოქესთან მოსაგებად ჩვენი მომზადების დონე საკმარისი არ არის. რაც ვოვამ ამ ოლიმპიურ რინგზე გაკეთა, მაქსიმუმი იყო. უკეთეს პირობებში შედეგიც უკეთესი გვექნებოდა. შიშველი ხელებით ბრინჯაოს მედალი ავიღეთ. ამ შედეგს არავინ ელოდა“...

იბრაგიმოვის ნათქვამიც გავიხსენოთ:

„ჩაგაევთან საჩხუბრად ვემზადებოდი. არ მეგონა, თუ ჭანტურიას ვერ გაუმკლავდებოდა. მე ვნახე ის ბრძოლა და მწვრთნელებთან ერთად დიდხანს ვბჭობდით ნახევარფინალური შეხვედრის ტაქტიკაზე. მძიმე ბრძოლისთვის განვეწყვე, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.“

ახლა სიდნეიდან ისევ ინდოეთის ოკეანის თავზე, ცაში დავბრუნდეთ, სადაც ვლადიმერ ჭანტურიას ვესაუბრებით:

— შენზე ამბობენ, უშიშარია და მეტოქეზე პირდაპირ იწევსო.

— სპორტული შიში ყველას აქვს. უფრო სწორად, ბრძოლამდე ენერვიულობ, მაგრამ რინგზე ასვლისთანავე ვეფხვივით ვხდები.

— ვეფხვობის გარდა შენი, როგორც მოკრივისა, დადებითი მხარე რა არის?

— ძალა და ენერგია, მოჩხუბარი ტიპის მოკრივე ვარ. თუ მეტოქეს არ დაარტყი და გაანგრიე, ისე გამარჯვებას არ მოგანიჭებენ. კრივში ჯანი დიდ როლს თამაშობს.

— ტექნიკურად ხომ არ მოიკოჭლებ?

— არაფერშიც არ მოვიკოჭლებ. უზბეკთან ტექნიკურად რომ არ მეჩხუბა, ვერ გავიმარჯვებდი.

— შენზე იმასაც ამბობდნენ, მეტოქეს თუ ერთი გემრიელად მოსდო, ნოკაუტში ჩააგდებს, მაგრამ თავად ძალიან ღიად იბრძვის და შესაძლოა დარტყმა გაუშვას და ნოკაუტში თვითონვე აღმოჩნდესო.

— თუ ვინმე ამბობს, რომ ჭანტურიას ტექნიკა არა აქვსო, იმან თავის თავს მიხედოს. მას კრივის არაფერი გაეგება.

— კრივზე საუბარი, ალბათ, გვეყოფა. ახლა შენს გატაცებებზეც გვითხარი.

— სიმღერა მიყვარს.

— სხვათა მოსმენა თუ თავადაც მღერი?

— თავადაც სიამოვნებით ვმღერი. ბავშვობაში დედამ მუსიკაზე მიმიყვანა. პიანინოზე ვუკრავდი. ექვსი თვე გავუძელი. ბიჭები შემიჩნდნენ, ეგ რა ვაჟკაცური საქმეაო. ისე, არც მამაჩემს მოსწონდა ჩემი მუსიკაზე სიარული.

— კიდევ რითი ხარ გატაცებული?

— მანქანის ტარება მიყვარს.

— ჰოო, აი, ახლა მაგ ოლიმპიურ მედალში პრემიად 20 ათას დოლარს მოგცემენ და ალბათ მანქანას იყიდ.

— მანქანა უკვე მყავს — „07“. როცა ოლიმპიური ლიცენზია მოვიპოვე, ეს ამბავი ისე გაუხარდათ ფოთის მერ გია დარჯანიას და ვიცემერ ბადრი დვალიშვილს — ჩვენი ქალაქის კრივის ფედერაციის პრეზიდენტს, რომ უმალ დამასაჩუქრეს.

— მანქანით?

— არა, ფულით, მაგრამ იმ თანხით მანქანა ვიყიდე და ოთხი თვეა, დავგრიალებ...

ამასობაში სტიუარდესები ისევ თავზე წამოგვადგნენ. ელდარ კურტანიძეს ჩაძინებია და აღარ შეუწუხებიათ. ამიტომ ისევ ჭანტურიას სტაცეს ხელი და თავის მედლიანად თვითმფრინავის კუდისკენ გაიტაცეს...

ავთანდილ გურასაშვილი

სიდნეი-თბილისი

ავტორის ფოტოები

ახალ შლაგბაუმი დაბრუნდა, ოლიმპიურ წარმომადგენელმა აქტიურად იკრივა ჭანტურია კი პასიურად გამოიყურებოდა და დამარცხდა.

შეგახსენებთ ჭანტურიას მწვრთნელ სოზარ კულუას სიტყვებს:

„იბრაგიმოვთან ღია კრივი არ ივარგებდა. ასეთი ტაქტიკა რომ აგვერჩია, უარესი მოხდებოდა, ვოვას დისტანცია უნდა დაეჭირა და შეტევისთვის ხელსაყრელი მომენტები გამოეყენებინა. იბრაგიმოვი გამოცდილი მებრძოლია. რიტმს კარგად გრძნობს და დარტყმებიც ძლიერი აქვს. თვითონ არ გაიხსნა, ფრთხილი და მოზომილი იყო. გულწრფელად გეტყვით, რომ ასეთ მეტოქესთან მოსაგებად ჩვენი მომზადების დონე საკმარისი არ არის. რაც ვოვამ ამ ოლიმპიურ რინგზე გაკეთა, მაქსიმუმი იყო. უკეთეს პირობებში შედეგიც უკეთესი გვექნებოდა. შიშველი ხელებით ბრინჯაოს მედალი ავიღეთ. ამ შედეგს არავინ ელოდა“...

იბრაგიმოვის ნათქვამიც გავიხსენოთ:

„ჩაგაევთან საჩხუბრად ვემზადებოდი. არ მეგონა, თუ ჭანტურიას ვერ გაუმკლავდებოდა. მე ვნახე ის ბრძოლა და მწვრთნელებთან ერთად დიდხანს ვბჭობდით ნახევარფინალური შეხვედრის ტაქტიკაზე. მძიმე ბრძოლისთვის განვეწყვე, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.“

ახლა სიდნეიდან ისევ ინდოეთის ოკეანის თავზე, ცაში დავბრუნდეთ, სადაც ვლადიმერ ჭანტურიას ვესაუბრებით:

შენ მიდიხარ ლისაბონში?

ანდრე აგასი

სიდნეის ოლიმპიადის გამო უსაშველოდ გაწელილი საჩოგბურთო სეზონის დასრულებამდე თვეზე ოდნავ მეტი რჩება და აქედანვე ნათელია, რამხელა ვინ ძეხვს შეწვდება ქალ-ვაჟების კლასიფიკაციაში თითზე ჩამოსათვლელი ტურნირების შემდეგ.

კაცებში მთავარი ბრძოლა სეზონის დამაგვირგვინებელ ATP ტურის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრი 8 საგზურისთვის მიმდინარეობს. ადგილების რაოდენობა მეტად შეზღუდულია: მდევართა ხროვისგან გვარიანად დაწინაურებულმა ოთხმა ჩოგბურთელმა — პიტ სამპრასმა, მარატ საფინმა, გუსტავო კუერტენმა და მაგნუს ნორმანმა კარგა ხანია, გაინაღდა წლეულს ლისაბონს შეკედლებულ ტურნირზე თამაში, რამდენიმე დღის წინ კი მათ ამერიკელი ანდრე აგასიც შეუერთდა.

აგასი „ჩემპიონთა რბოლა 2000"-ში მხოლოდ მერვე ადგილზეა და მთელი სეზონის მანძილზე ნაჩვენები შედეგებით იქნებ საუკეთესოთა შორის ვერც მოხვედრილიყო, მაგრამ მხსნელად ATP-ის ახალი რეგლამენტი მოევლინა. აწ გაუქმებული „დიდი სლემის თასის" მსოფლიოს ჩემპიონატთან გაერთიანების შედეგად ტურნირზე შერჩევის წესებში ერთი ცვლილება შეიტანეს — ერთი ადგილი უეჭველად უნდა ერგოს რომელიმე დიდი სლემის ტურნირის ჩემპიონს.

რაკი „მეიჯორების" სხვა გამარჯვებულებს (კუერტენი, სამპრასი, საფინი) საგზურები უკვე ჯიბეში ეგულებათ, იანვარში ავსტრალიის ღია პირველობაზე ტრიუმფი აგასისთვის ერთბაშად ლისაბონში წასასვლელ ბილეთადაც იქცა, თუნდაც წლის ბოლომდე ერთი მატჩიც კი ვეღარ მოიგოს.

„ძალიან მოხარული ვარ, რომ „მასტერსის თასზე" (ჩემპიონატის ახალი ოფიციალური სახელწოდება) ვიასპარეზებ. ამ ელიტარულ ჯგუფში ყოფნა ჩემთვის დიდი პატივია" — დიპლომატიური განცხადება მოაყოლა ფაქტს აგასიმ, რომელსაც ამ დღეებში სიმსივნით დაავადებული დედისა და დის მდგომარეობა უფრო აღელვებს.

დარჩენილ სამ საგზურზე რეალურ პრეტენზიას ხუთი ჩოგბურთელი აცხადებს. გასულ კვირამდე მათ შორის ტიმ ჰენმანს არ მოვიხსენიებდით, მაგრამ ორწლიანი შესვენების შემდეგ პირველი ტიტულის მოპოვებამ ვენაში ბრიტანელი შესამჩნევად წასწია წინ.

ქალებში მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთბაშად 16 ჩოგბურთელი თამაშობს, აქედან გამომდინარე, აქ დაძაბულობა და კონკურენციაც შედარებით ნაკლებია, მთავარი კითხვაც მხოლოდ ესაა — ვინ იქნება წლის ბოლოს მსოფლიოს პირველი ჩოგანი?

ბოლო სამი სეზონის მსგავსად, პირველობისთვის წლეულსაც მარტინა ჰინგისი და ლინდსი დევენპორტი იბრძოლებენ. ორიოდ კვირის წინ მათ შორის ძალთა თანაფარდობა იყო, მაგრამ სექტემბერში დასვენებულმა შვეიცარიელმა ზედიზედ ორ ტურნირზე ერთეულებშიც იმარჯვა და წყვილებშიც (ანა კურნიკოვასთან ერთად) და ოცი სანტიმეტრით მაღალ ამერიკელს ახლა ზევიდან დაჰყურებს.

„ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი, რომ ოლიმპიადაზე არ ვიასპარეზე. სხვები დაღლილები არიან, მე კი ენერგია სეზონის ბოლოსთვის შემოვინახე" — ისევ აჯობა ყველას ჭკუით მარტინამ.

ავთანდილ სვანიძე

კლასიფიკაცია

კაცები. ჩემპიონთა რბოლა 2000

1.1. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	649
2.2. მარატ საფინი (რუსეთი)	639
3.3. პიტ სამპრასი (აშშ)	637
4.4. მაგნუს ნორმანი (შვედეთი)	586
5.5. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)	460
6.6. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	435
7.7. ალექს კორეჩა (ესპანეთი)	424
8.8. ანდრე აგასი (აშშ)	418
9.9. ტომას ენკვისტი (შვედეთი)	402
10.10. ტიმ ჰენმანი (ინგლისი)	368
11.11. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	322
12.13. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი)	303
13.12. ფრანკო სკილარი (არგენტინა)	292
14.14. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	288
15.15. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია)	265
16.16. ნიკოლას კიფერი (გერმანია)	253
17.17. მარიანო პუერტა (არგენტინა)	244
18.18. უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა)	239
19.24. ტომი ჰაასი (გერმანია)	221
20.21. ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი)	218
21.20. არნო კლემანი (საფრანგეთი)	214
22.23. დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი)	211
23.19. იუნეს ელ აინაუი (მაროკო)	210
24.21. სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი)	195
25.24. ანდრეი პაველი (რუმინეთი)	193
26.24. ალბერტ კოსტა (ესპანეთი)	191
27.34. ჰიშამ არაზი (მაროკო)	187
28.36. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	185
29.32. ბაირონ ბლეიქ (ზიმბაბვე)	184
29.27. ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ)	184
32.33. რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია)	181
33.29. მარსელო რიოსი (ჩილე)	178
40.38. კარლოს მოია (ესპანეთი)	156

ქალები

1.1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	5 812
2.2. ლინდსი დევენპორტი (აშშ)	5 281
3.3. ვინუს უილიამსი (აშშ)	3 867
4.5. მონიკა სელეში (აშშ)	2 889
5.4. მარი პირსი (საფრანგეთი)	2 716
6.6. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	2 715
7.7. ნატალი ტოზია (საფრანგეთი)	2 432
8.8. სერენა უილიამსი (აშშ)	2 306
9.9. არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)	2 130
10.11. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი)	1 756
11.13. ანა კურნიკოვა (რუსეთი)	1 742
12.10. ანკე ჰუბერი (გერმანია)	1 742
13.12. ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა)	1 703
14.16. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	1 675
15.14. ჩანდა რუბინი (აშშ)	1 574
16.15. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	1 507
17.18. ჟული ალარი (საფრანგეთი)	1 494
18.17. დომინიკ ვან რუსტი (ბელგია)	1 407
19.19. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1 397
20.20. ემი ფრეზერი (აშშ)	1 255
21.25. ბარბარა შეტი (ავსტრია)	1 203
22.21. ლაიზა რეიმონდი (აშშ)	1 107
23.22. სილვია ტალაია (ხორვატია)	1 096
24.23. ნატალი დეში (საფრანგეთი)	1 071
25.27. მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი)	1 053
26.24. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1 038
27.26. კიმ კლაისტერსი (ბელგია)	1 019
28.28. ანა-გეილ სიდო (საფრანგეთი)	998
29.31. ელენა დოკიჩი (ავსტრალია)	966
30.29. ელენა ლიხოვცევა (რუსეთი)	960
44.55. ანასტასია მისკინა (რუსეთი)	743
60.61. დაია ბედანოვა(ჩეხეთი)	550
330.393. მაკა ჩახნაშვილი (საქართველო)	52

ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 2000-ში

1. მარატ საფინი	2 194 109	1. მარტინა ჰინგისი	2 280 474
2. პიტ სამპრასი	1 924 598	2. ლინდსი დევენპორტი	2 078 484
3. გუსტავო კუერტენი	1 875 410	3. ვინუს უილიამსი	2 030 650
4. მაგნუს ნორმანი	1 393 269	4. მარი პირსი	1 208 018
5. ევგენი კაფელნიკოვი	1 235 699	5. კონჩიტა მარტინესი	953 930
6. ლეიტონ ჰიუიტი	1 150 172	6. სერენა უილიამსი	926 818
7. ალექს კორეჩა	1 106 565	7. მონიკა სელეში	870 850
8. ტომას ენკვისტი	1 079 160	8. ჟული ალარი	761 470
9. ანდრე აგასი	987 793	9. არანჩა სანჩეს-ვიკარიო	725 289
10. დომინიკ ჰრბატი	985 417	10. აი სუგიამა (იაპონია)	651 635
11. ტიმ ჰენმანი	855 073	11. ანა კურნიკოვა	557 105
12. სედრიკ პიოლინი	853 039	12. ნატალი ტოზია	551 911
13. უეინ ფერერა	699 624	13. სანდრინ ტესტიუ	507 384
14. პატრიკ რაფტერი	697 586	14. ლაიზა რეიმონდი	491 574
15. ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია)	662 871	15. ამანდა კუტცერი	476 157
16. ფრანკო სკილარი	660 658	16. ელენა დემენტიევა	447 577
17. მარკ ვუდფორდი (ავსტრალია)	647 160	17. ანკე ჰუბერი	447 441
18. ხუან კარლოს ფერერო	618 916	18. ელენა ლიხოვცევა	427 814
19. ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი)	613 683	19. ჩანდა რუბინი	427 795
20. მაქს მირნი (ბელარუსი)	596 948	20. ჯენიფერ კაპრიატი	422 761



REUTERS ქრონიკიორი

პირველივე წრეზე ავარიამ ხუან მონტოიას (№1) ტიტული დაუკარგვინა

ჩემპიონს კალიფორნია დაასახელებს

CART

კარტმა წლეულს მეოთხედ დატოვა აშშ-ის საზღვარი — მორიგ ეტაპს ავსტრალიამ უმასპინძლა. მანამდე იყო გასვლა ბრაზილიაში, იაპონიასა და კანადაში.

ბოლოსწინა, მე-19 რბოლას სატურნირო ცხრილში საგრძნობი გადაადგილებები მოჰყვა — უძლიერესთა ათეულში შვიდ პილოტს შეეცვალა ადგილი. აღსანიშნავია, რომ დაწინაურებულთა სამეულიდან ერთმაც კი ვერ შეძლო თუნდაც ქულის შოვნა. შედეგად, პოლ ტრეისი და რობერტო მორენომ დათმეს პოზიციები. რაც შეეხება ჟილდე ფერანს, მართალია, ბრაზილიელმა შეინარჩუნა ლიდერობა, მაგრამ 19-ქულიანი უპირატესობა თითქმის ხელში შემოადნა. არადა, ფერედაიზში გამარჯვებით ვადამდე გახდებოდა ჩემპიონი. „სამოთხის" ქუჩებში რბოლა ფერანისთვის ოთხიოდ წუთში დასრულდა. ხუან მონტოიას „ლოლასთან" პირველივე წრეზე შეჯახების შემდეგ ლიდერის „რეინარდს" წინა მარჯვენა შეკიდულობა ისე დაუზიანდა, რომ ბოქსებამდე მიღწევა კი შეძლო, მაგრამ შველა ვეღარ მოხერხდა. ამ ინციდენტმა კოლუმბიელის ამბიციური მიზნებიც შეიწირა. სხვათა შორის, მომხდარში ბევრი სწორედ მას ადანაშაულებს. მონტოიამ პოლის მოგებით სტარტი ყველაზე წინ კი აიღო, მაგრამ პირველივე მოსახვევთან შეცდომა დაუშვა, რაც ავარიის მიზეზი გახდა. მორიგმა, მერვე მარცხმა ჩემპიონი მეცხრე ადგილზე გადაისროლა და ტიტულის შენარჩუნების ყოველგვარი შანსი მოუსპო.

მსგავს დღეშია ექსჩემპიონი მაიკლ ანდრეტიც. მის „ლოლას" ფინიშამდე ასიოდე კილომეტრით ადრე ცეცხლი გაუჩნდა და ბრძოლას გამოეთიშა. ამერიკელი პილოტი, რომელიც თვენახევრის წინ სათავეში ედგა გათამაშებას, სეზონს უსახელოდ ამთავრებს — ბოლო ექვს რბოლაში ორად ორი ქულა აიღო და რა გასაკვირია, რომ წოდების დაბრუნებაზე ოცნებას საბოლოოდ დაეშვიდობა. იგი ალბათ საპრიზო ადგილსაც დაკარგავს.

REUTERS ქრონიკიორი

ადრიან ფერნანდესმა ავსტრალიაში წრე შეკრა

„სამოთხეში" ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ცხადია, ადრიან ფერნანდესის მოულოდნელი გამარჯვება გახდა. მექსიკელი სტარტზე ძალიან უკან, მე-17 იდგა, მაგრამ სწორი ტაქტიკის წყალობით ფინიშთან პირველი მიიჭრა. წლეულს მეორე ეტაპის მოგებით მან ერთბაშად სამი საფეხურით გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა და ლიდერთან ჩამორჩენაც ხუთ ქულამდე შეამცირა. აღსანიშნავია, რომ ვეტერანმა ქუინსლენდში თავისებური წრე შეკრა — უკვე კარტის მასპინძელი ხუთივე ქვეყნის (აშშ, კანადა, ბრაზილია, იაპონია, ავსტრალია) დიდ პრიზს ფლობს და სეზონის ფინიშზე, კალიფორნიაში წარმატების შემთხვევაში ჩემპიონობასაც გამოჰკრავს ხელს. ბოლო ტურების სტატისტიკაც ხომ ფერნანდესის სასარგებლოდ მეტყველებს — ზედიზედ მე-12 რბოლაა, უქულოდ არ დარჩენილა, ასეთი უწყვეტი სერია კი სხვას არავის აქვს.

ძალიან ახლოს იდგა კარიერაში პირველ გამარჯვებასთან დებიუტანტი კენი ბრაკი, რომელიც თანაგუნდელთან უმცირესი სხვაობით დამარცხდა. მიუხედავად ამისა, შვედ პილოტს მართალია უმნიშვნელო, მაგრამ საჩემპიონო შანსი მაინც შერჩა, ისევე როგორც პოლ ტრეისის. თუმც საამისოდ მათ 19-ქულიანი დეფიციტის დაძლევა მოუწევთ.

ვნახოთ, ყველაფერი 29 ოქტომბერს ფონტანაში გაირკვევა.

გია ახალაძე

FEDEX CART

მე-19 ეტაპი

სერფერს ფერედაიზ (ავსტრალია)

HONDA INDY 300

59 წრე — 265,3 კმ

1. ადრიან ფერნანდესი (რეინარდ-ფორდი) — 2:01.14 (საშ. სიჩქარე 131,33 კმ/სთ);
2. კენი ბრაკი (რეინარდ-ფორდი) — ჩამორჩა 0,32 წამით;
3. ჯიმი ვასერი (ლოლა-ტოიოტა) — 4,06;
4. კრისტიანო და მატა (რეინარდ-ტოიოტა) — 4,8;
5. პატრიკ კარპენტიე (რეინარდ-ფორდი) — 5,23;
6. პელიო კასტრონევეში (რეინარდ-ჰონდა) — 10,34;
7. მიშელ ფურდენი (ლოლა-მერსედესი) — 11,0;
8. ტონი კანაანი (რეინარდ-მერსედესი) — 15,77;
9. ორიოლ სერვა (რეინარდ-ტოიოტა) — 18,18;
10. მაურისიო გუჟელმინი (რეინარდ-მერსედესი) — 18,58;
11. მარკ ბლანდელი (რეინარდ-მერსედესი) — 18,72;
12. ლუის გარსია (რეინარდ-მერსედესი) — 15 რით.

საერთო ჩათვლა

1. ჟილ დე ფერანი (ბრაზილია) — 153 ქულა; 2. ადრიან ფერნანდესი (მექსიკა) — 148; 3. პოლ ტრეისი (კანადა) — 134; 4. კენი ბრაკი (შვედეთი) — 134; 5. რობერტო მორენო (ბრაზილია) — 131; 6. ჯიმი ვასერი (აშშ) — 131; 7. მაიკლ ანდრეტი (აშშ) — 127; 8. პელიო კასტრონევეში (ბრაზილია) — 125; 9. ხუან მონტოია (კოლუმბია) — 123; 10. კრისტიანო და მატა (ბრაზილია) — 112.

ნუ დაიძინებ, ჯერ ადრეა

II ნრის III ტურის
გამოტოვებული მატჩი
თბილისი. ვარკეთილი
18 ოქტომბერი

სტუ-ყორნები — ლოკომოტივი 1
25:24 (13:12)

ყოჩები: ფირიაშვილი, ხოსროშვილი, გუშარაშვილი, ჩაკვეტაძე (ბურცილავა), თედორაძე, ცხვედიანი (გ. ხაბეიშვილი), ჭელიძე, კობახიძე, ხელაძე, ტრაპეიძე, იმნაძე, ბარძიმიშვილი, კაჭარავა, კ. მხეიძე, იურინი

3ლ — ხელაძე, კობახიძე, გუშარაშვილი
2ს — კობახიძე (2)
2გ — კობახიძე (2)

ლოკომოტივი 1: მაჭუტაძე, ხინჩაგაშვილი (თოფურიძე), კურესელიძე (მოგელაძე), გიორგაძე (ცხომელიძე), ბურდული (ბერიაშვილი), სუდაშვილი, კახიანი, ბ. უდესიანი, კოტრიკაძე, ძნელაძე, ბუგიანიშვილი, ალანია, ცხადაია (მათიაშვილი), სორდია, ასათიანი (ფ. უდესიანი)

4ლ — კოტრიკაძე, ბ. უდესიანი, ასათიანი, ბუგიანიშვილი
2გ — ძნელაძე (2)
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: გ. ჭუმბურიძე

ეს მატჩი, წესით და რიგით მეორე წრის მესამე ტურში უნდა გამართულიყო, მაგრამ მისი ჩატარება მხოლოდ გუშინ მოხერხდა. როგორც ჩანს, ამით „ყოჩებმა" უფრო იხეირეს, ვიდრე რკინიგზელებმა. ამ პირველობაზე „ლოკომოტივი 1" თავის გუშინდელ მეტოქეს მეოთხედ შეხვდა და პირველად დამარცხდა. არადა, არც ამ მატჩში ჰქონდათ რკინიგზელებს საქმე წასაგებად, მაგრამ შეხვედრის მეორე ტაიმში მოპოვებული უპირატესობა ქარს გაატანეს და მხოლოდ პრემიალურ ქულას დასჯერდნენ. ყოჩებმა კი ბოლომდე იბრძოლეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. არადა მატჩი რკინიგზელთა შეტევებით დაიწყო და უკვე პირველ ტაიმში მათ ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან: დაცვაში ეულად დარჩენილმა ყოჩმა ცხვედიანმა სალელოე მოედანში შედწეულ ბუგიანიშვილს ბურთი არ დაადებინა და ტრავმის ფასად დაძაბულობა განმუხტა, თუმც სტუმართა მორიგი შეტევისას კოტრიკაძემ ივარგა და თავისი გუნდის პირველი ლელო გაიტანა. ამის შემდეგ „ყოჩები" გააქტიურდნენ, თუმც მეტოქის კართან რეალური საფრთხის შექმნა ვერ მოახერხეს. კობახიძემ მხოლოდ საჯარიმო დარტყმით შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ განახლდა თუ არა ცენტრიდან თამაში, რკინიგზელმა უდესიანმა კარგა მანძილის გარბენის შემდეგ ყოჩთა სალელოე მოედანს ბურთიანად უწია და მასპინძლები მეორედ დაალელოვა. ძნელაძემ გარდასახა. ამას ყოჩების გაფიცხება მოჰყვა, მართალია, „ლოკომოტივი 1"-ის უკანახაზელები ანერხებდნენ მეტოქის შეტევების შეჩერებას, მაგრამ ერთი იერიში მაინც გამოეპარათ, შერკინებიდან გამოტანილი ბურთი ხელაძემ მოიხელთა, თანაგუნდელებმა მოლიც მიახმარეს და ასე შეაღწიეს რკინიგზელთა სალელოე მოედანში. კობახიძემ ზუსტად გარდასახა, ტაიმის მიწურულს კი საჯარიმო დარტმაც მიაყოლა და ამ შეხვედრაში პირველად ყოჩები დაწინაურდნენ.

მთავარი მოვლენები მატჩის მეორე ორმოცწუთიანში დატრიალდა. დაიწყო თუ არა, რკინიგზელები ჯიქურ ეკვეთნენ მეტოქეს და შედეგმაც არ დააყოვნა. ასათიანმა ყოჩების უკანახაზელებს თავი დააღწია და ამ მატჩში მესამედ დალაშქრა მასპინძელთა სალელოე მოედანი. ამის შემდეგ ყოჩთა დაცვა ერთხანს საკმაოდ კარგად ირჯებოდა, რაც ძირითადად მორკინალთა დამსახურება იყო, მაგრამ ბუგიანიშვილის გარღვევას ვერაფერი მოუხერხეს, რაც კიდევ ერთ გაშვებულ ლელოდ დაუჯდათ. რკინიგზელებმა კი საგრძნობი უპირატესობა და პრემიალური ქულა მოიპოვეს 24:13. ამის შემდეგ ის მოხდა, რაც ხშირად ხდება ხოლმე: მატჩის მიწურულს წინ გასული გუნდი მოდუნდა, ჩამორჩენილი კი გააქტიურდა. საფინალო სასტვენამდე ათიოდე წუთი რჩებოდა, როდესაც „ყოჩმა კობახიძემ მეტოქის უყურადღებობით ისარგებლა, მოწინააღმდეგის სალელოე მოედანში შეაღწია და სხვაობა შეამცირა, ხოლო მატჩის ბოლო წუთზე კი გუშარაშვილმა დაალელოვა რკინიგზელები და სხვაობა ერთი ქულაღა გახდა. ამ ეპიზოდმა დიდი დავა-კამათი გამოიწვია, რკინიგზელთა აზრით, გუშარაშვილს ბურთი წინ გაუვარდა, მაგრამ გვერდით არბიტრთან კონსულტაციის შემდეგ მთავარმა მსაჯმა ნოდან რობიტაშვილმა ლელო ჩათვალა. კობახიძემ გარდასახვა ზუსტად გაიროლა და თავის გუნდს უძნელესი გამარჯვება მოუტანა.

ბაჩო სვანიძე

კოლინ ჩარვისმა დიეგო დომინგესი ისე უდიერად მოისროლა, მერე ამისგან მუშტი რომ მოხვდა, აღარავის გაჰკვირვებია

დამარტყამ? დაგარტყამ! ჩამიშვებ? ჩაგიშვებ!

სიტყვების შესაძლო მთქმელი რომელია, „სუონსი" თუ „სტად ფრანსე", ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სულაც არ აქვს. უბრალოდ, დაახლოებით მსგავსი დიალოგი შეიძლება გამართულიყო ამ ორ გუნდს შორის, რომლებიც ერთმანეთს ევროპის თასის მეორე ტურში შეხვდნენ. მატჩი უელსელებმა მოიგეს 18:16.

შეხვედრის განმავლობაში ბევრი იყო შეხლა-შემოხლა და მსაჯთათვის ხილული თუ დაფარული დარტყმები. შედეგად მასპინძელთაგან კოლინ ჩარვისი გააძევეს მოედნიდან და ორმატჩიანი დისკვალიფიკაციაც მისცეს, „სტად ფრანსეს" პეტერ დე ვილიე კი საკაცით გაიტანეს.

ტურნირის დებულების თანახმად მატჩის შემდეგ 48 საათის განმავლობაში ნებისმიერ გუნდს აქვს უფლება, მოწინააღმდეგის შემადგენლობიდან რომელიმე მორაგბეს ან მორაგბეებს სანქციათა კომისიაში უჩივლოს, აი, ეს მატჩის მსვლელობისას არასპორტულად მოიქცა, მსაჯებმა ვერ შენიშნეს, მაგრამ დაუსჯელი არ უნდა დარჩესო.

ჰოდა, სწორედ ასე მოიქცნენ ჯერ ფრანგები და მერე უელსელებიც „სტად ფრანსემ" მეტოქის მორკინალები, გარინ ჯენკინსი და ენდრიუ მური „ჩაუშვა". პარიზელები ვიდეოჩანაწერზე დაყრდნობით ამტკიცებენ, რომ ჯენკინსმა განზრახ ჩაარტყა მუხლი დე ვილიეს, რასაც ამ უკანასკნელის ტრავმა მოჰყვა, მურმა კი ორადუს ჩაზილი წიხლიო.

სუონსელების თქმით კი, ფრანგთა გარე ნახევარმცველმა დიეგო დომინგესმა და მათმა წინახაზელებმა ფაბრის ლანდრომ და დავიდ ორადუმ ჩაიდინეს გასაკიცხი და დასჯის ღირსი საქციელი. უელსელთა განცხადებით, დომინგესს მუშტი უთავაზებია ჩარვისისთვის, ლანდრო მოლენს შესდგომია ფეხებით და მერე მურისთვისაც დაურტყამს, ორადუ კი ოდენ მოლენის ცემით გამორჩეულა.

მტყუან-მართალს ევროპის თასის სადისციპლინო კომისია მალე გაარკვევს, დამნაშავეებსაც, ალბათ, საკმაოდ მკაცრად დასჯის და ღირსნიც იქნებიან, რადგან ამ ჯენტლმენურ სახეობას ყველაზე მეტად უხეშობა და „წელსქვემოთა დარტყმები" არ უხდება.

გაგი გურული

ველარა მამლობს დალ მაზო

ფეუცვლელი მხოლოდ ტომა კასტენიედია

ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში ევროპაში დიდი რაგბი გახურდება და ბევრი ტესტიც გაიმართება. ბებერ კონტინენტს სამხრეთელი ბობოლები ეწვევიან და მოწინავე ევროპელთა ძალებს გამოცდიან. მომავალი მატჩებისთვის მზადება უკვე დაწყებულია, მაგრამ საბოლოო შემადგენლობები ჯერ კიდევ დაუდგენელია. ასე, მაგალითად: რამდენიმე საწვრთნელი შეკრების შემდეგ ფრანგთა თავკაცმა ბერნარ ლაპორტმა ავსტრალიისა და ახალი ზელანდიისთვის დასახვედრი 22 კაცი ჯერაც ვერ დაადგინა. მან ამ დღეებში იმ 31 მორაგბის ვინაობა გაამხილა, რომლებიც 23 ოქტომბერს „მამლების" ბოლო წვრთნაში მიიღებენ მონაწილეობას. ამ ჯგუფს ზედმეტი 9 „მამალი" მეორე დღეს მოაკლდება.

ნახსენებ 31 ფრანგს შორის „პოს" კვაჭის მარკ დალ მაზოს არყოფნა მთავარი სიურპრიზია. 33 წლის მორაგბე, რომელმაც სეზონის წინ დატოვა „კოლმიე", ექვსი ერის პირველობის ყველა მატჩში ძირითად შემადგენლობაში იყო და ახლაც არავინ ელოდა მის ნაკრებს გარეთ დატოვებას. თუმცა ლაპორტმა განაცხადა, რომ იმ მორაგბეებს, რომელთა ფიზიკური ფორმაც არ დააკმაყოფილებდა, სათადარიგოებშიც არ გაამწესებდა და, ეტყობა, დალ მაზოც ამის გამო დარჩა ქვეყნის უპირველესი გუნდის მიღმა. მის ბედში კიდევ ორი მორაგბეა, რომლებიც „მამლობას" უკვე კარგა ხნის შეჩვეულები იყვნენ — ტულუზელი კრისტიან ლაბი და „სტად ფრანსეს" კრისტოფ ლოსიუკი.

ამ მორაგბეებზე თუ ნებით თქვა უარი ლაპორტმა, სამაგიეროდ, აბდელატიფ ბენაზის ტრავმის გამო მოისაკლისებს. ასევე შეიძლება სამხრეთელებს ვერ დაუხვდეს პარიზელი პეტერ დე ვილიე, ‍რომელიც ევროპის თასის მეორე ტურში დაშავდა და შეიძლება მოედანს მთელი სამი კვირით ვერ დაუბრუნდეს. ამის გამო ლაპორტმა ბოლო შეკრებაზე „ბურგუენის" შერკინების პირველხაზელი ოლივიე მილუც მიიწვია, ეგებ ტულუზელებს კრისტიან კალიფანოს და ფრანკ ტურნერს, ანდა მეორე სტადფრანსელ სილვენ მარკონესაც რაიმე ხიფათი შეემთხვეთ და ეს კაცი მარქაფში მყავდეს ყოველი შემთხვევისთვისო.

გარდა ამ 31 მორაგბისა, ლაპორტმა კიდევ სამს დაუტოვა ნაკრების კარი ღიად. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას „მამლების" თავკაცი ალენ პენოს, ემილ ნტამაკისა და ქსავიე გარბაჟოზას მდგომარეობასაც გაითვალისწინებს. ეს მორაგბეები წესით 22 კაციან სიაში უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ტრავმები უშლით ხელს. თუ ისინი ტესტებისთვის სრულიად გამოჯანმრთელდებიან, მაშინ ლაპორტმა იქნებ ჩართოს კიდეც ნაკრების შემადგენლობაში.

და ბოლოს, საინტერესოა ის დეტალიც, რომ ყველა „მამალს" ჰყავს კონკურენტი და მხოლოდ მცველის ამპლუის ერთი მოთამაშე შეურჩევია ფრანგთა დამრიგებელს. ინგლისურ „სარასენში" წლეულს გადაბარგებული ტომა კასტენიედი, ბერნარ ლაპორტის აზრით შეუცვლელია და თუ მან შემთხვევით რამე იტკინა (ღმერთმა დაიფაროს), მაშინ რა მნიშვნელობა ექნება, ვინ ითამაშებს?!

გაიოზ თალაძგაძე

THE TIMES Clipper 2000 RACE VIEWER

რეგატა «ტაიმს კლიპერ 2000»

პირველი ნაბიჯები

ათასობით კაცი მოგროვდა პორტსმუთის ნავსადგურში კვირადღეს, დიდი რეგატის, „ტაიმს კლიპერ 2000"-ის დაწყების სანახავად. რეგატის პროლოგი, ადრე გაუწყეთ, საზეიმო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ორგანიზატორთა ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განხორციელდა. ჯერ იატბების აღლუმი არ იყო განსაკუთრებით ეფექტური და მერე ქარმაც ნაკლებად იაქტიურა, ამიტომ მონაწილეებმა პორტის არხი ტაატით განსრულეს და ლამანშის სრუტეში გავიდნენ. მერე ქარმა იმატა, მაგრამ იგი ამჟამადაც ჩრდილო-დასავლეთისკენ ქრის და ზღვაოსნებს ხელსა და ნერვებს უშლის. ამგვარ მომენტებში ფსიქოლოგიურ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს და იგი ყველაზე მყარი ჯერჯერობით ორი იატის ეკიპაჟში მოჩანს. შკიპერებმა — ბობ ბეგსმა და მატ ბეიკერმა შესაბამისად „ბრისტოლსა" და „პლიმუთზე" მყოფი თავიანთი ხელქვეითები ორი დღის მანძილზე ნაყოფიერად ამუშავეს და მნიშვნელოვნად მოსწყდნენ საერთო დაჯგუფებას, რომელიც სხვა ექვს 60-ფუტიანი (დაახლოებით 19 მ) და ოციოდე უფრო პატარა იახტისგან შედგება. ისინი უკვე გავიდნენ ბისკაის ყურეში და გეზი პორტუგალიური ვილამურასკენ აიღეს, სადაც რეგატა ცოტას შეისვენებს და კუბისკენ გაიჭრება ატლანტის ოკეანეში. დაწინაურებულებს ერთმანეთშიც დიდი ქიშპი აქვთ. გუშინწინ კორნუოლელები იგებდნენ, მაგრამ ღამე მქროლავი უხეირო ქარი „ბრისტოლმა" უკეთ მოიხმარა და ახლა „პლიმუთია" მდევრის როლში. იახტებიდან ერთმანეთს ხედავენ და გარკვევითაც — მხოლოდ კილომეტრზე ცოტა მეტი აშორებთ. ჯერჯერობით თავი შეირცხვინეს დედაქალაქელებმა: „ლონდონმა" ურიგოდ არ დაიწყო, გუშინწინ მეოთხე იყო, მაგრამ მაშინვე უსიამოვნებები დაებედა. გაურკვეველ მიზეზთა გამო იახტამ სვლა მკვეთრად შეანელა და 12 საათის მანძილზე ოთხი მდევარი წინ გაუშვა. „ლონდონს" გამოკვეთილ მაჩანჩალად მაინც არ მივიჩნევთ, ორ ლიდერს თუ არ ჩავთვლით, დანარჩენებს არაუმეტეს 17 მილის რადიუსში მისდევს. ვილამურამდე ჯერ კარგა გზა რჩება, ეს პორტი პორტუგალიის სამხრეთშია. მეტეოროლოგები ქარის უფრო სასურველ მხარეს შემობრუნებას ვარაუდობენ და ბრძოლის გამძაფრება მოსალოდნელია.

დავით გულუა

18 ოქტომბრის ვითარება		
„ბრისტოლი"	647,3	0
„პლიმუთი"	648	0,7
„ლივერპული"	681	33,7
„პორტსმუთი"	683,4	36,1
„გლაზგო"	685,5	38,2
„ჯერსი"	687,9	40,6
„ლიდსი"	694,8	47,5
„ლონდონი"	697,2	49,9

მეორე სვეტში მოცემულია მანძილი (საზღვაო მილებში) ეტაპის ფინიშამდე, მესამეში — ჩამორჩენა ლიდერთან

BT Global Challenge
The world's toughest yacht race

რეგატა «BT გლობალ ჩელენჯი»

მარჯვნივ ამერიკაა

„BT ჩელენჯი" „უითბრედის" შემდეგ ღირსებით მეორე მრგვალი რეგატა, რომელსაც მუდამ გამოსაჩენი სახელის მქონე სპონსორები მფარველობენ. წლეულს ისინი კომპიუტერული გიგანტები არიან: „კომპაქი", „კომპიუტერ ეოსშეიტს" და „ინტელი". თავად იახტებიც (12), რომელთა ზომები ტოლია და 52 ფუტს (16 მ) შეადგენს, სხვადასხვა ცნობილ ფირმას ეკუთვნის და, ცხადია, პირველ რიგში მათი რეკლამისთვის არიან მოწოდებულნი. აი, ისინიც: „ბი-პი" (შკიპერი მარკ დენტონი, დიდი ბრიტანეთი), „კომპაქი" (უილ ოქსლი, ავსტრალია), „აილ ოფ მენი" (ლინ პარკერი, დიდი ბრიტანეთი), „ელ-ჯი ფლატრონი" (კონრად ჰემფრიზი, დიდი ბრიტანეთი), „ლოჯიკე" (ჯერომი ტრაუტონი, დიდი ბრიტანეთი), „ნორვიჩ იუნიონი" (ნილ მიურეი, დიდი ბრიტანეთი), „ოლიმპიკ გრუპი" (მენლი ჰოპკინსი, დიდი ბრიტანეთი), „ქუად სტოუნი" (ალექს ფილიპსი, დიდი ბრიტანეთი), „სერკო" (ნიკოლას ფენტონი, დიდი ბრიტანეთი), „სპირიტ ოფ ჰონგ კონგი" (სტეფენ უილკინსი, ავსტრალია). „ტიიმ სპირიტი" (ჯონ რედი, დიდი ბრიტანეთი), „ვერიტასი" (უილ კერნეგი, დიდი ბრიტანეთი). რეგატის მარშრუტი 28710 საზღვაო მილს შეიცავს და შვიდი ეტაპისგან შედგება; ინგლისური საუთჰემპტონიდან ამერიკულ ბოსტონამდე 3200 მილი უკვე გაილია, ახლა ექსპედიცია არგენტინაში, ბუენოს აირესისკენ მიიწევს, საიდანაც მაგელანის სრუტით ახალ ზელანდიაში ველინგტონს უწევს, მერე იქნება პირველი სპრინტი ველინგტონიდან სიდნეიმდე, გადაილახება ინდოეთის ოკეანე კეიპტაუნამდე. „ტაიმს კლიპერ 2000"-ისგან განსხვავებით, იახტები ამერიკისკენ სვლით გზას არ გაიგრძელებენ და პირდაპირ გასწევენ საწყისი პუნქტისკენ, ოღონდ იქამდე ფრანგ ჰუგენოტთა ოღინდელ ბუდეს, ლა როშელს მოიხილავენ და იქიდან საუთჰემპტონამდე 400-მილიანი დასკვნითი სპრინტით დაასრულებენ მოღვაწეობას.

პირველი ეტაპი „ქუადსტოუნმა" მოიგო, რომელიც ბოსტონში 18 დღე-ღამეში, 2 საათში, 17 წუთსა და 55 წამში ჩავიდა (დიახაც, დრო წამების სიზუსტით აღირიცხება). ამერიკის კონტინენტის გასწვრივაც ჯერჯერობით იგივე იახტა პირველობს.

დავით გულუა

18 ოქტომბრის ვითარება		
„ქუადსტოუნი"	5312	0
„სერკო"	5314	2
„ოლიმპიკ გრუპი"	5316	4
„კომპაქი"	5316	4
„ელ-ჯი ფლატრონი"	5328	16
„სპირიტ ოფ ჰონგკონგი"	5330	18
„აილ ოფ მენი"	5332	20
„ბი-პი"	5334	22
„ვერიტასი"	5337	25
„ტიიმ სპირიტი"	5337	25
„ლოჯიკე"	5343	31
„ნორვიჩ იუნიონი"	5413	101

მეორე სვეტში მოცემულია მანძილი (საზღვაო მილებში) ეტაპის ფინიშამდე, მესამეში — ჩამორჩენა ლიდერთან

საერთო ჩათვლა

1. „ქუადსტოუნი" — 15 ქულა; 2. „ბი-პი" — 14; 3. „ელ ჯი ფლატრონი" — 13; 4. „კომპაქი" — 12; 5. „ვერიტასი" — 11; 6. „აილ ოფ მენი" — 10; 7. „სპირიტ ოფ ჰონგ კონგი" — 8; 8–9. „სერკო", „ლოჯიკე" — 7; 10. „ტიიმ სპირიტი" — 6; 11. „ნორვიჩ იუნიონი" — 5; 12. „ოლიმპიკ გრუპი" — 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატჩი მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს ჩემპიონის ტიტულისთვის

საპრიზო 2 მილიონი $

LONDON 2000

VI პარტია

კასპაროვი vs კრამნიკი

2,5 — 3,5

ქარი გრიგალის წინ

გრიგალი, სათაურში რომ ვახსენებთ, იქნებ არც დაჯერდეს, მაგრამ ერთობ მოსალოდნელია: მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლამ საცაა ეკვატორს უნდა უწიოს და ჯერ ყველაფერი ვლადიმირ კრამნიკის კარნახით მიდის. თეთრებით პრეტენდენტმა ერთი პარტია მოიგო და ორ დანარჩენშიც გარი კასპაროვმა ძლივს ცოცხალმა გაასწრო, ხოლო შავებით კრამნიკი თამაშობს დინჯად, აუღელვებლად და სამში ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, ჩემპიონისთვის გამარჯვების რაიმე ხელშესახები შანსი მიეცა. პრეტენდენტი ფინალს იგებს და მისი სრული სამატჩო ინიციატივის აღკვეთა მეტად საშური საქმეა, ამიტომ ვვარაუდობთ, რომ კასპაროვი დღეს მაინც დფაზე გრიგალს დაატრიალებს.

მეექვსე პარტიაში კი სათაურისვე ღონიერი ქარი კრამნიკისგან ჰქროდა. კიდევ ერთხელ განმეორდა პრეცენდენტი: კენტი პარტიები სვლების ნაკლები და ლუწები (როცა კრამნიკი თეთრებითაა) მათი საკმაოდ ჭარბი რაოდენობით, გუშინწინ მზარეებმა 66 სვლა გააკეთეს. კასპაროვი მეოთხე პარტიაში ლაზიერის მიღებულმა გამბიტმა ხომ საშინლად გაამწარა და კინაღამ დაღუპა, მაგრამ ახლაც ეს დაწყება არჩია. ჩემპიონი ამჯერად კატასტროფის წინაშე არ იდგა, მაგრამ ჭირის ოფლი ძაინც უნვად ღვარა. მე-13 სვლიდან გამოხტა კრამნიკის მეფის ფრთის კიდური პაიკი და შავი მეფის ბანაკამდე თავხედურად მარტომ იარა. ამასთან, კრამნიკმა არ გაცვალა ლაზიერები (სიახლეა) და შეტევა დიდი ძალებით სცადა. კასპაროვმა აკურატულად მოიგერია ყველა მუქარა და ცოტათი უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ ეს უკვე მერამდენედ, დადგა მკვლელი ციტნოტი და პრეტენდენტის უფრო ახალგაზრდა ტვინმა სწრაფქმედებაში იმარჯვა. კრამნიკის მძიმე ფიგურები C ვერტიკალიდან შავების ბანაკში შეჯირითდნენ და სამიოდე ჯაჭის შემდეგ მეტოქეს ორი პაიკი გამოაკლეს. აქ კი კრამნიკმაც ეს უკვე მეორედ მოგებასთან ფრიადი სიახლოვე ვერანაირად გამოიყენა და კასპაროვმა მუდმივი ქიშის აბლაბუდა მოქსოვა, საიდანაც თეთრი მეფის დახსნა უტოპია იყო. „როდემდე ითამაშებს კრამნიკი იღბალთან? — კითხულობს რუსი კომენტატორი, დიდოსტატი სერგეი შიპოვი — ფეხბურთიდან ვიცით: არ გაიტან, გაგიტანენ! კრამნიკსაც უეჭველად ეცოდინება.“

დღეს კასპაროვი თეთრებით თამაშობს. იქნება ნეტავ გრიგალი?

დავით გულუა



შარი — ტრაგედია

როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, ამ გაზაფხულზე ჰიმალაის რვაათასიან მასივ ლჰოცზეზე ქართულ-რუსული ექსპედიცია ბენო ქაშაკაშვილის მეთაურობით წარმატებით გასრულდა და... წარუმატებლადაც. წარუმატებლად იმიტომ, რომ ექსპედიციის მთავარი მიზანი ამ მასივის დღემდე დაულაშქრავ შუათანა, ასევე რვაათასიან პიკზე ასვლა იყო, რაც შესაძლებელია მხოლოდ მთავარი ან ლჰოცზე შარის დალაშქვრით და იქიდან გზის გაგრძელებით.

სამწუხაროდ, ფეხშეუდგმელი პიკი ფეხშეუდგმელადვე დარჩა, თუმცა ექსპედიციის ყველა წევრი მთავარ ლჰოცზეზე (8516) მაინც ავიდა, რაც წარმატებაა.

გამოხდა ხანი და, როგორც ვიუწყებოდით, ლჰოცზეს ქედმოუხრელ პიკს რუსეთის სხვა გუნდმა, ცნობილი მთამსვლელის მიხეილ ტურკევიჩის მეთაურობით დაადგა თვალი. საშემოდგომო სეზონისთვის ექსპედიცია მართლაც მიადგა ლჰოცზეს მასივს. მის წევრებს, როგორც ნეპალის ტურიზმისა და სამოქალაქო ავიაციის სამინისტრო იუწყება, მთავარ ლჰოცზეზეც განუზრახავთ ასვლა და ლჰოცზე შარზეც (8368), ფეხშეუდგმელ პიკზე ასვლის თაობაზე კი დუმს.

ასეა თუ ისე, რუსეთის ამ დიდ ექსპედიციას ყველა გეგმა ჩაეშალა, რადგან მისი ერთი წევრი ვლადიმირ ბონდარევი თოვლიან ზვავში მოჰყვა და დაიღუპა. ამგვარად, იგი გახდა მეორე რუსი მთამსვლელი, რომელიც ლჰოცზეს მასივს შეეწირა.

ბონდარევის დაღუპვისა და უამინდობის გამო რუსთა ექსპედიციამ, როგორც ივივე სამინისტრო იუწყება, ლაშქრობაზე ხელი აიღო.

ალექსანდერ ლაიპოლდს მედალს ართმევენ

კურტანიძეს ეს არას არგებს

აქამდე მალული ერთი გვარი დასახელდა და საქართველოს ოლიმპიურ გუნდს დარჩა იგივე შედეგი, რომლითაც სიდნეის ოლიმპიადა დატოვა, ანუ ექვსი ბრინჯაო. ლაპარაკია მოჭიდავეზე, ვისთვისაც დოპინგი უპოვიათ და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭო ოქროს მედლის წართმევას უპირებს. ეს სპორტსმენი გახლავთ ალექსანდერ ლაიპოლდი, რომელიც 76 კილოგრამამდე წონაში მოჭიდავე გერმანელია და არა უფრო ტანმაძიმე რუსი, რისაც ჩვენ გვეიმედებოდა, რადგან რუსის დასჯით ელდარ კურტანიძის ბრინჯაოს ფერიცვალება მოგვიტანდა ერთს მაინც განსხვავებულ ოლიმპიურ მედალს, ვერცხლისას.

კვამლივით იმედი, როგორც ალბათობის თეორიით იყო მოსალოდნელი, უცებ გაგვეფანტა, ხოლო დასახელებული გერმანელი შოკშია. მისი ცოლი, იულიანა, ცრემლად იღვრებოდა სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს ოფისთან და ხალხს მოუწოდებდა, ჩემი მეუღლის ტკივილი გაიზიარეთო, მაგრამ ოლიმპიური ოფიციოზი, სამედიცინო კომისიის თავკაცის, ალექსანდრ დე მეროდის პირით შეუვალი იყო: „ნანდროლონი აკრძალული ნივთიერებაა. როცა მისი კონცენტრაცია დასაშვებს ათჯერ აღემატება, სალაპარაკოც არაფერია“. ანუ, ლაიპოლდს იქნებ კი არა, დანამდვილებით მოსთხოვენ ოქროს მედლის ჩაბარებას და მას მიიღებს ამერიკელი ბრენდონ სლეი, რომელმაც ფინალი გერმანელთან დრამატულად წააგო და გულდამდუღრული არც მას ჩაეხუტა მისალოცად და არც მსაჯს ჩამოართვა ხელი. „ვერ ვიტყვი, რომ სიხარულით გადავირიე — უთხრა სლეიმ „როიტერის“ ჟურნალისტს, როცა სიახლე გააგებინეს — ჩემი ოცნება ოქროს ბრძოლით მოპოვება იყო“. ლაიპოლდს კი იმედი არ გადაუწურავს. „რას მელაპარაკება ეს ხალხი? — კითხულობს იგი — ნანდროლონი არაა ის დოპინგი, რასაც ჩვეულებრივ მოჭიდავე ხმარობს, მით უმეტეს, ყველა ხედავდა, რომ მე ძალისმიერი კი არა, ტექნიკური ჭიდაობის მიმდევარი ვარ. ჯერ კიდევ მაქვს მედლის დანარჩუნების იმედი, რადგან არაფერი მიმიქარავს“. 31 წლის გამყიდველისთვის მედლის დაკარგვა მძიმე დარტყმა იქნება: მეოთხე ოლიმპიადაზე ძლივს გახდა ჩემპიონი (მსოფლიოსი იყო, სამჯერ ევროპისაც), ახლა კი...

ასჯერ ნაკლები ექნება სანერვიულო უნბილეგ პურევბაატას. ეს მონღოლი ბიჭი დიურეტიკით დამუხტული ნახეს, მაგრამ ხანდახან დიურეტიკიც ვერ შველის საქმეს, პურევბაატა 58-კილოიანებში მხოლოდ მეხუთე იყო. ამ შედეგს უეჭველად გაუუქმებენ.

დავით გულუა

რუა!

17 ოქტომბერი

ვაშინგტონი — კოლორადო 3:4

0:2 2:0 1:1 0:1

0:1 ტანგეი 1'11 (1); 0:2 ბეიდუკი 16'32 (3); 1:2 დალინი 20'43 (1); 2:2 ბონდრა 36'08 (3); 3:2 ბონდრა 40'25 (4); 3:3 საკიკი 43'27 (1); 3:4 ფორსბერგი 62'37 (3)

პატრიკ რუამ დიდხანს არ გვალოდინა, მხოლოდ ორნახევარი წუთით ზედმეტი მოანდომა ჰოკეის ისტორიაში ახალი ფურცლის ჩაწერას. ის-ის იყო, პეტერ ფორსბერგის ოსტატურად დარტყმული შაიბა ბადეში გაეხვა, რომ მოპირდაპირე კართან მთელი თავისი აღკაზმულობა აქეთ-იქით მოისროლა და გიჟივით აცეკვდა. ეს კოლორადოელთა მეკარე გახლდათ. 2000 წლის 17 ოქტომბერს, ვაშინგტონთან შეხვედრის ოვერტაიმში, რუამ თავის უმდიდრეს აქტივს კიდევ ერთი მიღწევა შემატა, ამიერიდან იგი 448 მოგებით (+448=105-264) ლიგის ერთ-ერთი პრესტიჟული რეკორდის მფლობელია. ლეგენდარულმა ტერი საჭუკმა 447 მოგებით ნჰლ-ის ყველაზე წარმატებულ გოლკიპერთა სიაში მეორე ადგილზე ჩანაცვლა. „ეს წარმატება ჩემთვის სამ სტენლის თასზე მეტად ფასობს, რადგან იგი მრავალწლიანი თავდაუზოგავი შრომის ნაყოფია“ — თქვა მატჩის შემდეგ ბედნიერმა რუამ, რომელმაც სულ 6 მატჩი იკმარა საიმისოდ, რომ რეკორდის დასამხობად საჭირო 4 გამარჯვება ეზეიმა. ამიერიდან ლიგის საუკეთესო მეკარეთა ათეული ასე გამოიყურება: რუა — 448 მოგება, საჭუკი — 447, ჯაკ პლანტი — 435, ტონი ესპოზიტი — 423, გლენ ჰოლი — 407, გრანტ ფიური — 403, ენდი მუგი და მაიკ ვერნონი — 372, ჯონ ვანბისბრუკი — 358, როჯე ვაშინი — 355. მათგან დღესდღეობით მხოლოდ ორი — ვერნონი და ვანბისბრუკი თამაშობს და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ისინი რუას თანატოლები არიან, ახალდამყარებულ რეკორდს ხანგრძლივი არსებობა უწერია. სწორედაც რომ დაიმსახურა რაუმ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ჟან კრეტიენის სატელეფონო მილოცვა, მანამდე კი პარტნიორების მხრებზე მოკალათებულმა ტრიუმფალურად დატოვა ყინული.

ფილადელფია — ოტავა 1:6

0:3 0:1 1:2

0:1 დაკელი 4'38 (2); 0:2 იაშინი 7'17 (2); 0:3 ბონკი 18'31 (2); 0:4 ალფრედსონი 27'29 (1); 0:5 ბოსა 43'44 (2); 1:5 პრიმო 57'30 (3); 1:6 ბონკი 59'37 (3)

ატლანტა — ნიუ ჯერსი 3:3

1:0 1:2 1:1 0:0

1:0 ოდეტი 5'23 (3); 1:1 სტივენსი 26'55 (1); 1:2 ელიაში 27'20 (1); 2:2 ფერარო 28'52 (2); 3:2 კალიო 40'42 (1); 3:3 ბრილინი 56'13 (2)

მონრეალი — ბუფალო 4:3

2:1 1:1 1:1

1:0 ზუბრუსი 3'13 (3); 2:0 ლინდენი 9'39 (1); 2:1 ბარნსი 10'58 (2); 3:1 ზუბრუსი 32'28 (5); 3:2 ფიტნეი 34'40 (1); 3:3 ბარნსი 46'24 (3); 4:3 რუჩინსკი 59'04 (1)

დეტროიტი — სენტ ლუისი 2:1

0:0 2:0 0:1

1:0 ფიოდოროვი 36'01 (3); 2:0 ლაპოინტი 37'22 (3); 2:1 ჰეტტი 57'39 (3)

ბილენდერსი — ანაჰაიმი 3:4

2:1 1:3 0:0

0:1 მაკინისი 2'04 (3); 1:1 პერიში 14'02 (1); 2:1 კვაშა 16'14 (2); 2:2 ლეკლერი 26'44 (2); 2:3 ტრავერსი 51'05 (1); 3:3 პერიში 36'55 (2); 3:4 სელიანე 39'59 (3)

ედმონტონი — ბოსტონი 6:1

2:0 2:1 2:0

1:0 გერინი 5'50 (5); 2:0 ლაკუტური 7'40 (1); 3:0 მარნანტი 23'54 (1); 4:0 სვანსონი 26'35 (1); 4:1 როლსტონი 28'36 (3); 5:1 გერინი 41'23 (6); 6:1 მიურეი 41'32 (3)

ნეშვილი — ლოს ანჯელესი 1:1

0:0 1:1 0:0 0:0

0:1 ბ. ჯონსონი 23'34 (1); 1:1 იანშენეი 32'36 (1)

სატურნირო ვითარება

ჩრდილო აღმოსავლეთი

ოტავა	5	4	1	0	0	20:7	9
ბოსტონი	7	3	1	0	3	19:25	7
მონრეალი	6	3	0	0	3	19:22	6
ბუფალო	5	2	0	0	3	14:16	4
ტორონტო	5	2	0	0	3	8:14	4

ატლანტა

პიტსბურგი	4	3	0	0	1	15:12	6
ნიუ ჯერსი	4	2	1	0	1	16:12	5
რენჯერსი	4	2	0	0	2	14:14	4
ფილადელფია	6	1	1	0	4	15:27	3
აილენდერსი	4	0	1	0	3	8:12	1

სამხრეთ-აღმოსავლეთი

კაროლინა	4	1	2	0	1	11:9	4
ტამპა	4	1	1	0	2	14:13	3
ვაშინგტონი	6	0	2	1	3	11:20	3
ფლორიდა	3	0	1	1	1	7:10	2
ატლანტა	4	0	2	0	2	9:13	2

ცენტრი

ნეშვილი	5	3	1	0	1	10:7	7
სენტ ლუისი	6	3	1	0	2	17:12	7
დეტროიტი	6	3	0	0	3	16:14	6
ჩიკაგო	5	2	0	1	2	13:17	5
კოლუმბუსი	5	1	0	0	4	9:19	2

ჩრდილო-დასავლეთი

ედმონტონი	7	5	1	0	1	23:16	11
კოლორადო	6	4	2	0	0	18:10	10
ვანკუვერი	6	4	0	0	2	23:20	8
კალგარი	5	2	0	0	3	12:12	4
მინესოტა	5	0	1	0	4	8:17	1

წყნარი ოკეანე

ფინიქსი	5	4	0	0	1	21:12	8
ლოს ანჯელესი	7	3	2	0	2	29:18	8
ანაჰაიმი	6	3	0	1	2	16:19	7
დალასი	6	3	1	0	2	15:12	7
სან ხოსე	3	2	0	0	1	8:7	4

სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი.
I ტური. 18 ოქტომბერი

A ჯგუფი

ულძერი 80:69 სპლიტი
რაანანა 86:71 სიენა

B ჯგუფი

ირაკლისი 73:80 კრკა

საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი.
I ტური. 17 ოქტომბერი

A ჯგუფი

მარუსი (საბერძნეთი) — პამესა (ესპანეთი) 82:75, შალონი (საფრანგეთი) — ჰაპოელი (ისრაელი) 72:67, პივოვარნა (სლოვენია) — ქარშიაქა (თურქეთი) 76:80

მარუსი	1	1	0	82:75	2
შალონი	1	1	0	72:67	2
ქარშიაქა	1	1	0	80:76	2
პივოვარნა	1	0	1	76:80	1
ჰაპოელი	1	0	1	67:72	1
პამესა	1	0	1	75:82	1

B ჯგუფი

პორტუ (პორტუგალია) — არკადია (ავსტრია) 88:81, ბეშიქთაში (თურქეთი) — არისი (საბერძნეთი) 87:101. ზაგრებმა (ხორვატია) უარი თქვა საპორტას თასზე ასპარეზობაზე, ამიტომ ყველა მეტოქესთან ორივე მატჩში ჩაეთვალა 0:20 ტექნიკური მარცხი.

არისი	3	1	0	141:87	6
პორტუ	3	1	0	128:81	6
არკადია	3	0	1	121:88	5
ბეშიქთაში	3	0	1	127:101	5
უნიკსი	2	0	0	40:0	4
ზაგრები	10	0	0	0:200	0

C ჯგუფი

ტელეკომი (გერმანია) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) 97:82, კერავნოსი (კვიპროსი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 93:79, რასინგი (საფრანგეთი) — საკალი (ლიტვა) 79:67

ტელეკომი	1	1	0	97:82	2
კერავნოსი	1	1	0	93:79	2
რასინგი	1	1	0	79:67	2
საკალი	1	0	1	67:79	1
ცრვენა ზვეზდა	1	0	1	79:93	1
სან ფერნანდო	1	0	1	82:97	1

D ჯგუფი

ანტვერპენი (ბელგია) — იმოლა (იტალია) 79:71, ლუპტა (ფინეთი) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 76:102, ანვილი (ბოლონეთი) — ბორაცი (ბოსნია) 87:83

სლოვაკოფარმა	1	1	0	102:76	2
ანტვერპენი	1	1	0	79:71	2
ანვილი	1	1	0	87:83	2
ბორაცი	1	0	1	83:87	1
იმოლა	1	0	1	71:79	1
ლუპტა	1	0	1	76:102	1

II ტური გაიმართება 24 ოქტომბერს

ტრავმათა ქარიშხალში მალარიაც გამოერია

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ახალი, 2000-01 წლების სეზონი ჯერ არ დაწყებულა და ტრავმების ქარიშხალმა უკვე წალეკა ლიგა. მოგეხსენებათ, ოკეანის გაღმა სეზონისთვის მოსამზადებელი პერიოდია. გუნდები ერთმანეთის ძალას საგამოფენო შეხვედრებში ცდიან. აქ თავს მაინცდამაინც არავინ იკლავს, ყველა ერიდება ტრავმის მიღებას, თუმც ზოგიერთს ეს სიფრთხილეც არას შველის. არ გაუმართლა ჯალენ როუზს, არავიდას საბონისს, ლუკ ლონგლის და კიდევ მრავალ სხვას. ისინი თავიანთი გუნდების პირველ ოფიციალურ თამაშებს იძულებით გამოტოვებენ. ორი დღის წინ გამართულმა საგამოფენო თამაშმა, რომელშიც ერთმანეთს „ორლანდო“ და „ნიუ ჯერსი“ დაუპირისპირდნენ, ტრავმირებულთა საკმაოდ გრძელ სიას კიდევ ერთი ვარსკვლავი შეემატა. ნიუ ჯერსელმა თავდამსხმელმა კიტ ვან ჰორნმა ორლანდოელებთან ფარქვეშ ბურთისთვის ბრძოლისას ფეხი მოიტეხა და ოთხიდან ექვს კვირამდე ბურთს ვერ გაეკარება. არადა, სეზონი ორ კვირაში იწყება და გასულ წელს „ნიუ ჯერსისთვის“ მატჩში საშუალოდ 19,2 ქულისა და 8,4 მოხსნის მომტანი ვან ჰორნი თავის გუნდს ძალიან დააკლდება.

ჯერჯერობით „ნიუ ჯერსის“ ახლად გამომცხვარი დამრიგებლის, ბაირონ სკოტის სამწვრთნელო დებიუტს ნამდვილად არ უჩანს კარგი პირი. თითქოს სასტარტო ხუთეულის ორი წევრის — მსროლელი კერი კიტლზის და ცენტრი ჯეიმი ფეიკის ტრავმები არ კმაროდა, რომ მათ მესამე ხუთეულელიც — ვან ჰორნიც დაემატა. ახლა სკოტს სეზონის დასაწყისში იმ მოთამაშეებზე დაყრდნობა მოუწევს, რომელთა გვარებიც ამერიკაშიც ბევრს არავის გაუგია. დაგვეთანხმებით, ვერაფერი სიხარულია ახალბედა მწვრთნელისთვის, რომელიც გუნდში დიდი ამბიციებით მივიდა.

„ეს თითქოს ბედისწერაა. ბოლო რამდენიმე წელია, სეზონი ისე არ დაიწყება, რომ ვინმე წამყვანი კალათბურთელი არ დავკარგოთ. ორი წლის წინ სემ კასელი გვაკლდა, შარშან — ჯეისონ ვილიამსი, ახლა კი ლამის ნახევარი გუნდით მოგვიწევს თამაში. არსად მინახავს მსგავსი რამ. უბრალოდ, იღბალი არა გვაქვს. ალბათ, მაისურები უნდა შევცვალოთ, რომ ბედმა ასე არ გაგვწიროს“ — კიდევ ერთი ნიუჯერსელი ქენდალ გილი ტრავმების ქარიშხალს დაუზაფრავს.

ბაირონ სკოტს კი სამი ხეირიანი კაცილა შემორჩენია — გილი, სტივენ მარბერი და პერსპექტიული ახალბედა, დრაფტის პირველი ნომერი კენიონ მარტინი. „ვფიქრობთ, სადღაც დეკემბერში ყველა გეყოლება. მანამდე კი იმ კალათბურთელებით უნდა ვითამაშოთ, რომლებიც ჯანზე არიან, სხვა რა გზა გვაქვს. ეს ჩვენი საქმეა და, ავად თუ კარგად, უნდა გავაკეთოთ“ — ამბობს სკოტი.

სერიოზული დანაკლისი განაცხადა „ატლანტა ჰოქსმა“. ჯორჯიელები სეზონს ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრის, დიკემბე მუტომბოს გარეშე დაიწყებენ, ოღონდ ამის მიზეზი ტრავმა კი არა, ავადმყოფობაა. თურმე ზაირელი მუტომბო მშობლიურ აფრიკაში ჩასვლისას სერიოზულად დაავადდა არცთუ სახუმარო სენით, მალარიით. მუტომბოს სამშობლო ცენტრალურ აფრიკაშია, სადაც წვიმა ყოველდღიური მოვლენაა და ქვეყანა, სადაც ნესტი და კოღო მეფობს, მალარიის უშველებელი ბუდეა. ახლა მუტომბო იძულებულია, სულ მცირე, სამი კვირა ებრძოლოს სენს და გამოჯანმრთელებული რა ფორმაში იქნება, არავინ უწყის. არადა, 34 წლის მოთამაშე წინა სეზონში ბრწყინვალე ფორმაში იყო და თავისი გუნდისთვის მატჩში საშუალოდ 11,5 ქულა, 14,1 მოხსნა (პირველი შედეგი ლიგაში) და 3,5 დაფარება (მეორე შედეგი) მოჰქონდა.

კიტ ვან ჰორნი



დიკემბე მუტომბო



კარლ მელოუნი

საგამოფენო თამაშებმა კიდევ ერთი კალათბურთელი აზარალა. თვით ისეთმა რკინის კაცმა, როგორიც იუტელი კარლ მელოუნია, დაიშავა ფეხი. მელოუნმა ნბა-ში თხუთმეტი წელი ისე ითამაშა, სერიოზული ტრავმა არ მიუღია, ახლა კი... 17 ოქტომბერს „იუტა“ შინაურ „დელტა ცენტრში“ „კლივლენდს“ ხვდებოდა, მიმდინარეობდა მატჩის მესამე მეოთხედი, როდესაც მეტოქესთან ჭიდილში 120-კილოგრამიანმა მელოუნმა წონასწორობა დაკარგა, უხერხულად დაეცა და მუხლი იტკინა. ნახევარი სოლტ ლეკ სიტი სინანულით აღევნებდა თვალს თავის კერპს, რომელიც სხვების დახმარებით ტოვებდა მოედანს. ეუმც მელოუნს ვან ჰორნსა და სხვებზე მეტად გაუმართლა, მისმა გამოწრთობილმა სხეულმა სატკივარს გაუძლო. ექიმები ქომაგებს ამშვიდებენ, სერიოზული არაფერია და სეზონის დაწყებას კარლი ძველებურად ჯანზე შეხვდებაო. აღსანიშნავია, რომ სტაბილურობით გამორჩეული მელოუნი ტრავმას იშვიათად შეუწუხებია. იუტელს ამის გამო კარიერის განმავლობაში რეგულარული სეზონის სულ სამი შეხვედრა გამოუტოვებია.

ივანე კოტიუშვილი

მურნინგი სეზონს დააკლდა

ორშაბათს, 16 ოქტომბერს, „მაიამი ჰითმა“ საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყო და იქ თავმოყრილ მრავალრიცხოვან აუდიტორიას ცუდი ამბავი ამცნო. გუნდის ლიდერი ალონზო მურნინგი თირკმლის დაავადების გამო სულ მცირე ერთ სეზონს გამოტოვებს, თუმც არც ისაა გამორიცხული, 30 წლის ვარსკვლავს აქტიური სპორტისთვის თავის დანებება მოუხდეს. ეს ცნობა მეხივით დაატყდა „მიამის“. ყველამ კარგად იცის, თუ რა ძალაა მურნინგი თავისი გუნდისთვის. უიმისოდ მაიამელთა ოცნებას, მინიმუმ პლეი ოფის ფინალამდე მიეღწიათ, გვარიანად შეეკვეცა ფრთები.

მურნინგს დაავადება 3 ოქტომბერს აღმოუჩინეს. მეორე დღეს „მაიამის“ საწვრთნელი ბანაკი იხსნებოდა და ალონზო, ისევე როგორც ყველა მისი თანაგუნდელი, ჯანმრთელობის ტესტს აბარებდა. ანალიზებმა აჩვენა, რომ კალათბურთელის თირკმელი არასწორად ფუნქციონირებდა. მას შემდეგ ექიმებმა ეს ორგანო საფუძვლიანად გამოიკვლიეს და რამდენიმე დღის წინ საბოლოო, არცთუ სანუგეშო დიაგნოზი დასვეს — საფრთხე ემუქრება არა მარტო მურნინგის ბრწყინვალე კარიერას, არამედ მის სიცოცხლესაც. სამედიცინო ენაზე კალათბურთელის დაავადებას ფოკუსური გლომერულოსკლეროზი ეწოდება. ეს ასე იშიფრება — თირკმლის ფუნქცია დარღვეულია და იგი შარდში პროტეინს უშვებს. დროთა განმავლობაში თირკმლის ფილტრები ზიანდება და აუცილებელი ხდება ორგანოს გადანერგვა. თუმცა ზოგჯერ ავადმყოფს ესეც არ შველის და მაშინ სიკვდილი გარდაუვალია. ნიუიორკელი ექიმის, ჯერალდ ეფიელის თქმით, უცნობია, თუ რა იწვევს ამ ავადმყოფობას. აი, ასეთი რამ სჭირს ნბა-ს ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს. დოქტორმა ეფიელმა ისიც აღნიშნა, რომ ფოკუსური გლომერულოსკლეროზი განსაკუთრებით შავკანიანებში შეინიშნება და მასთან ბრძოლა არც ისე ადვილია. მკურნალობის კურსი ექვსთვიანია და მისი დამთავრების შემდეგაც არაა იმის გარანტია, რომ პაციენტი ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდება. დაავადებულთა მხოლოდ ნახევარი თუ იკურნება საბოლოოდ, ნახევარს კი ქრონიკული ფორმა უვითარდება. ეფიელმა ისიც თქვა, ამ სენთან ხუმრობა არ შეიძლება, რადგან სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ თირკმელი ორგანოთა შორის მეოთხეა, რის გამოც ამერიკის შეერთებულ შტატებში ხალხი იღუპებაო.



REUTERS სიდნეიდან

დამწუხრებული ალონზო მურნინგი და პატ რაილი პრესკონფერენციაზე

საბედნიეროდ, ალონზო მურნინგის დაავადება განვითარების ადრეულ სტადიაზეა, ამიტომ კალათბურთელი შეესაძლოა მკურნალობის ექვსთვიანი კურსით გადარჩეს, თუმცა საბოლოო გამოჯანმრთელებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ისე კი, იქნებ მასაც ისევე გაუმართლოს, როგორც სანანტონიელ შონ ელიოტს. ელიოტს ისე ჰქონდა საქმე, მხოლოდ ორგანოს გადანერგვა შველოდა, მაგრამ იგი ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული, არათუ გამოჯანმრთელდა, არამედ ოპერაციიდან შვიდი თვის შემდეგ მოედანზე გასვლაც შეძლო, თუმც ძველი ფორმა დღემდე ვერ დაიბრუნა. აღსანიშნავია, რომ ელიოტი პირველი სპორტსმენია, რომელიც თირკმლის გადანერგვის შემდეგ აქტიურ სპორტს დაუბრუნდა.

ირაკლი ფირაუშვილი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲪᲣᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲪᲮᲕᲝ

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲐᲡᲔ ᲓᲐ ᲘᲡᲔ... ᲒᲔᲣᲜᲘᲐᲗ?



ᲛᲐᲘᲙ ᲢᲐᲘᲡᲝᲜᲘ

არაფრის მეშინია, არც დანის, არც პისტოლეტის და არც მაფიის.

ᲒᲝᲚᲝᲢᲐᲡ თითი ტაისონისკენ გაიშვირა. კარგად გამოუვიდა? ალბათ. საპირისპირო რამ თქვა, მოკრივისთვის შეუფერებელი — მეშინიაო, ბოლოს კი ეფექტური ფრაზა დააყოლა და მსმენელთა განწყობილება ამოატრიალა. მაგრამ დედამიწაზე ჯერ ის დრო არ დამდგარა, პოლონელმა შოუმენობაში ამერიკელს აჯობოს — როგორც ამბობენ, ამჯერადაც ასე იყო: მაიკ ტაისონმა ბრძოლისწინა ლანძღვა-გინებასა და თეატრალურ ღრენაში ანჯეი გოლოტა დაჩაგრა.

ამავე აზრისანი იყვნენ ფოტორეპორტიორები, რომელთა გამჟღავნებულ ფირებზე ნათლად გამოჩნდა, რომ მრისხანედ დაჯღანული ამერიკელი უფრო ეფექტური სანახავი იყო, ვიდრე მომღიმარი, შენობაშიც მზის სათვალით გაპრანჭული პოლონელი.

არის ერთი ობიექტური მომენტიც: გოლოტასთვის ინგლისური უცხო ენაა და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ კარგად ფლობს, მაინც მორიდებულია, მით უფრო ასეთი ლანძღვ-შოუს დროს, როდესაც პატარა შეცდომა შეიძლება დიდ გაშაყირებად დაუჯდეს.

მაიკ ტაისონი — 34 წლის, 178 სმ, 104 კგ. 48 ბრძოლა, 3 დამარცხება

ანჯეი გოლოტა — 32 წლის, 195 სმ, 109 კგ. 34 ბრძოლა, 4 დამარცხება

— მერე რა, ჩემთვის ის მაინც პატარა ბიჭია. რა ბედენაა 195 სანტიმეტრიანი და 109 კილოიანი კაცის ცემა? ძალიან ციცქნა ყოფილა — გაიღრიჭა ნიუიორკელი.

გოლოტას პრომოუტერმა დენ გუსენმა ამის პასუხად ერთი ილეთის ჩატარება სცადა — ანჯეი ლაპარაკს არ აპირებს, ტრაბახი რა საკადრისია, თეთრი და შავი რინგზე ვნახოთო, მაგრამ ტაისონმა არ დაანება: — არა! მომასმენინეთ ერთი, რისი თქმა შეუძლია.

რაღა ჩარა იყო. გოლოტა მიკროფონთან მივიდა და მორცხვად თქვა:

— ამ ბრძოლისთვის სერიოზულად ვემზადებოდი. შევეცდები რინგზე საუკეთესო თვისებები გამოვავლინო. ბოლო დროს რამდენიმე ბრძოლა ნავაგე, რამაც გული დამწყვიტა.

ᲐᲜᲯᲔᲘ ᲒᲝᲚᲝᲢᲐ

მე ყოველი ბრძოლის წინ მეშინია, რადგან ეს კრივია. ერთადერთი, აი, ვინ ვერ მაშინებს...

ახლა, მართალია, ტიტულისთვის არ ვჩხუბობ, მაგრამ რაც არის, ნახევარფინალს ჰგავს და თუ მოვიგე WBA-ს ჩემპიონ ევანდერ ჰოლიფილდთან ან WBC-ს ჩემპიონ ლენოქს ლუისთან ბრძოლის შანსი მომეცემა.

ზემოთ თეთრი და შავი ვახსენეთ. ახლა ნახეთ, რა რასისტია ტაისონი, რომელსაც ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა:

— გახსოვთ თქვენი ქცევა, რომლის გამოც დაგსაჯეს? იმას მოგახსენებთ, ჰოლიფილდს ორჯერ რომ უკბინეთ.

— არასდროს ჩამიდენია ისეთი რამ, რაც აი, ამას არ გაუკეთებია. ერთი ჰკითხეთ, თავად როგორ იკბინებოდა — მიუთითა ტაისონმა გოლოტასკენ.

— მე თქვენ გეკითხებით.

— ამას ჰკითხე, შე თეთრო. ხომ ხედავთ, რასის გამო სულ დაუცველი ვარ. რატომ მლანძღავენ ეს თეთრი ბიჭები დაუღალავად?

ერთი სიტყვით, ცუდ ბიჭობანაში ოდესღაც უძლეველმა იმარჯვა, რინგზე კი პარასკევს, 10 რაუნდიან ბრძოლაში გაირკვევა ყველაფერი.

რაც შეეხება მსაჯს, იგი გახლავთ ფრენკ გარცა, რომელიც ამ ჩხუბის რეფერად გამოცხადებამ იმდენად პოპულარული გახადა, რომ რესტორანში ცნობენ და აბა, შენ იციო, ეუბნებიან. თავად კი ასე ტრაბახობს:

— მე ორივეს ავტოგრაფი მაქვს.

ᲗᲣᲗᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ

REUTERS სიდნეიდან

ᲡᲐᲗᲘᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ

ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲨᲘ პარაოლიმპიადა გაიხსნა — თამაშები ინვალიდთათვის. ამ ადამიანებს, ბუნებამ რომ ყველაზე მძიმე ხვედრი არგუნა, საგანგებო ყურადღება და მოფერება სჭირდებათ. პარაოლიმპიადა — ამის ერთ-ერთი გამოვლენაა. მისი გახსნის ცერემონიალი ნამდვილი ოლიმპიადისაზე არანაკლები იყო, გიზგიზა ცეცხლითა (რიგითმა ოზმა პარაოლიმპიელმა, ლუიზ სავეჯმა რომ აანთო) და დიდებული შოუთი, ფოტოზე ნაჩვენები ტურფა მომღერალ კილი მინოგიუს და მისთანების მონაწილეობით.

ᲐᲥᲐ ᲕᲓᲒᲐᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲫᲐᲚᲛᲘᲫᲡ!

ᲒᲝᲠᲓᲝᲜ ᲑᲔᲜᲥᲡᲘ კარში — დიდად ნოსტალგიური სურათია. ვითომ ახლახან იყო, მაგრამ 34 წელი გასულა, მსოფლიო პირველობის ტრიუმფატორ ინგლისს კარის დარაჯად ეს აწ დარბაისელი კაცი რომ ეყენა. ბენქსი ახლა ფეხბურთის თამაშს, ასაკიდან გამომდინარე, ატლანტურ კრუიზებს არჩევს და აი, ლისაბონშიც შეუვლია, რათა „ალვალედეს“ სტადიონზე წარსული დრო გაეხსენებინა. ლისაბონში იმ ხანის სხვა გმირებიც არიან — ეუსებიო, მაგალითად...

REUTERS ლისაბონიდან

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

ᲗᲐᲕᲐᲠᲘ
მთავარი რედაქტორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲔᲥᲕᲔᲚᲘᲐ
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო ᲙᲝᲢᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ᲧᲣᲤᲣᲜᲘᲐ, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge